

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა:

ამერიკისმცოდნეობა

მარინე ჩანგიანი

აშშ-საქართველოს ურთიერთობა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის  
პერიოდში

ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორი ვასილ კაჭარავა †

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი მიხეილ ბარნოვი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარული და

სოციალური მეცნიერებების სკოლის ასოც. პროფესორი ნიკა ჩიტაძე

თბილისი

2023

## აბსტრაქტი

სადოქტორო დისერტაციის კვლევის ობიექტს წარმოადგენს აშშ-საქართველოს ურთიერთობა დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში.

კვლევის მთავარი მიზანია ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ძირითადი ასპექტების შესწავლა, ამის საფუძველზე დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან პოლიტიკური თანამშრომლობის დინამიკა, რაც საქართველოსთვის არის სტაბილურობის, უსაფრთხოების და დემოკრატიული განვითარების გარანტი და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის - სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა. საკვლევი საკითხის აქტუალობას, აგრეთვე, განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული მიზნის მისაღწევად ქვეყნის სწორი საგარეო პოლიტიკის გატარების აუცილებლობა.

სადოქტორო ნაშრომის მნიშვნელობას რამდენიმე საკითხი განსაზღვრავს:

1. ამერიკის და საქართველოს ურთიერთობა საერთო ინტერესებზე და ღირებულებებზე დაყრდნობით დამყარებული და ეს ურთიერთობები მუდმივად ვითარდება და მეტად ნაყოფიერი ხდება;
2. რეგიონში საქართველო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სანდო პარტნიორია, რომლის მოსახლეობის უმეტესობის არჩევანია დასავლური კურსი;
3. ამერიკის გავლენის გაზრდა რეგიონში ხელსაყრელია საქართველოს განვითარებისთვის;
4. საქართველომ ამერიკის მხარდაჭერით უნდა გაამდიეროს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და გააუმჯობესოს ნატო-ს ძალებთან თავსებადობა.

კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს და შეისწავლოს ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში და საქართველოსთან ურთიერთობა - მათ შორი იმის კვლევა, თუ რა როლს თამაშობდა შტატები რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში, იმის გამოვლენა, თუ რა მიმართულებით უფრო გაღრმავდა ურთიერთობა

საქართველოსთან, რა შედეგების მომტანი იყო მრავალრიცხოვანი ოფიციალური ვიზიტები და ორმხრივი შეხვედრები. ასევე, პოლიტიკური კრიზისი საქართველოში და შეერთებული შტატების შეფასებები პანდემიისა და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე - მათ შორის ის, თუ რა როლს ასრულებდნენ ამერიკელი ოფიციალური პირები საქართველოში პოლიტიკური კრიზისის დროს.

კვლევა ეფუძნება ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში მიღებულ სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა კრიტიკული ანალიზის, შედარებითი ანალიზის, პირველწყაროების ანალიზის, შინაარსის ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის, აგრეთვე, შემთხვევის შესწავლის მეთოდი და სხვ. იგი დაფუძნებულია ინტერდისციპლინურ კვლევაზე, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგსა და მიმართულებას.

კვლევა, ძირითადად, ეფუძნება პირველწყაროებს, როგორებიც არის: საავტორო წიგნები, ოფიციალური დოკუმენტები, წერილები, კომენტარები, შესაბამისად, გამოყენებული იყო პირველწყაროების ანალიზისა და შინაარსის ანალიზის მეთოდები.

რადგან კვლევა მოიცავს უახლოესი ისტორიის მოვლენების შესწავლას, შესაბამისად, ინფორმაცია და მასალები თითქმის არ მოიპოვება ქართულ ენაზე, მიგვაჩნია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში ორი ქვეყნის პარტნიორობის ფარგლებში პოლიტიკური მოვლენების განვითარების გამოვლენა და შესწავლა თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ამერიკისმცოდნეობის, ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისა და განვითარების თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომი სასწავლო მასალად შეიძლება იყოს გამოყენებული საუნივერსიტეტო სივრცეში, მაგალითად, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტში. აღნიშნული კვლევისას დამუშავებული მასალები შემდგომ სამეცნიერო კვლევებში მათი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

რადგან დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ჰუმანიტარულ, სოციალურ, პოლიტიკური მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს, მისი შედეგები დაეხმარება შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს ცოდნის გაღრმავებაში.

ამასთანავე, აღნიშნული სამეცნიერო კვლევის შედეგები საინტერესო იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვისაც, განსაკუთრებით, ნაშრომის ის ნაწილი სადაც დეტალურად განხილულია ორი ქვეყნის ურთიერთობის გაგრძელება ტრამპის პრეზიდენტობის პირველივე წელს და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული თავდაცვის, უსაფრთხოების და სხვა მიმართულებით.

ნაშრომი შედგება აბსტრაქტის, შესავლის, 3 თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და 211 ნომრიანი ბიბლიოგრაფიისგან.

## Abstract

The object of research of the dissertation is the U.S.-Georgia relations under the administration of President Donald Trump.

The main task of the research is to study the aspects of the U.S.- Georgia cooperation during the Trump administration, draw conclusions and develop recommendations based on this.

The significance of the research is determined by the dynamics of political cooperation with the strategic partner of Georgia, which is a guarantee of stability, security and democratic development for Georgia, and for the United States of America - protection of geopolitical interests in the South Caucasus. The relevance of the research issue is also determined by the need to pursue the right foreign policy of the country in order to achieve the national goal of Georgia.

Several issues determine the importance of the dissertation:

1. The relations between the U.S. and Georgia are based on common interests and values, and these relationships are constantly developing and becoming more fruitful;
2. In the region, Georgia is one of the most reliable partners of America, the majority of whose population chooses the Western course;
3. Increasing the American influence in the region is favorable for the development of Georgia;
4. Georgia, with the support of the USA, should strengthen the country's defense capability and improve compatibility with NATO forces.

The research aims to identify and study the foreign policy of the Trump administration in the South Caucasus and relations with Georgia - including the study of what role the States played in the political events in the region, the direction in which relations with Georgia were deepened, the results of numerous official visits and Bilateral meetings. In addition, the political crisis in Georgia and assessments of the United States during the pandemic and geopolitical changes - including the role of American officials during the political crisis in Georgia.

The research is based on various methods used in the humanities, social and political sciences, such as critical analysis, comparative analysis, primary source analysis, content analysis,

induction, deduction, as well as case study method and others. It is based on interdisciplinary research that combines different fields and directions.

The research data is mainly drawn from primary sources such as authors' books, scientific literature, official documents, letters, commentaries, reports and others.

Hence the research includes the study of the events of recent history, therefore, information and materials are almost not available in the Georgian language, we believe that revealing and studying the development of political events within the framework of the partnership between the two countries during the Trump administration will make a modest contribution to the study and development of American studies, history and international relations. The dissertation can be used as teaching material in the university space, for example, in the Institute of American Studies. The materials processed during the mentioned research provide the opportunity to use them in further scientific research.

In addition, the results of the mentioned scientific research will be interesting for specialists in international relations, especially the part of the paper where the continuation of relations between the two countries in the first year of Trump's presidency and important steps taken in defense, security, and other directions are discussed in details.

The dissertation consists of abstracts in Georgian and English languages, an introduction, 3 chapters, 9 subchapters, a conclusion and a bibliography which includes 211 sources.

## შინაარსი

აბსტრაქტი .....	I
Abstract .....	IV
აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი .....	VII
შესავალი .....	1
<b>თავი 1: ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში და აშშ-საქართველოს ურთიერთობა ტრამპის ადმინისტრაციის პირველ წელს .....</b>	<b>23</b>
1.1. დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლა და ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები .....	23
1.2. ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში .....	34
1.3. აშშ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა 2017 წელს .....	46
<b>თავი 2: აშშ-საქართველოს ურთიერთობა და შეერთებული შტატების გზავნილები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე 2018-2019 წლებში .....</b>	<b>65</b>
2.1. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება 2018-2019 წლებში...	65
2.2. საპრეზიდენტო არჩევნებისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების შეფასება შეერთებული შტატების მიერ.....	74
2.3. შეერთებული შტატების გზავნილები და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების პოლიტიკური შეფასებები.....	87
<b>თავი 3. აშშ-საქართველოს ურთიერთობა პანდემიის, შიდა პოლიტიკური კრიზისისა და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე 2020 წელს .....</b>	<b>103</b>
3.1. საპარლამენტო არჩევნები საქართველოში .....	103
3.2. შტატების დახმარება პანდემიის დროს.....	120
3.3. გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში .....	131
<b>დასკვნა .....</b>	<b>142</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>151</b>

## აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი

CIA – Central Intelligence Agency, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო

DFC – Development Finance Corporation, განვითარების საფინანსო კორპორაცია

FBI – Federal Bureau of Investigation, გამოძიების ფედერალური ბიურო

GDRP- Georgia Defense Readiness Program, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა

GSOIA -General Security of Information Agreement, ინფორმაციის ზოგადი უსაფრთხოების შეთანხმება

IRI –International Republican Institute, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი

RSM – Resolute Support Mission, მტკიცე მხარდაჭერის მისია

ODIHR - Office for Democratic Institutions and Human Rights, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი

OPIC – Overseas Private Investment Corporation, საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია

USAID – United States Agency for International Development, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

VOA – Voice of America, ამერიკის ხმა



## შესავალი

1991 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა. 1992 წელს ოფიციალურად დაიწყო ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობა. მართალია, აშშ-საქართველოს ურთიერთობის დინამიკა ხშირად იცვლებოდა, თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ აშშ-ის რომელი პრეზიდენტი და ადმინისტრაცია იყო ხელისუფლებაში, ის მუდამ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს სუვერენიტეტს და ხელს უწყობდა მის დემოკრატიულ განვითარებას. საქართველოსთვის ამერიკის მხარდაჭერა ბევრჯერ გადამწყვეტი აღმოჩნდა, განსაკუთრებით – აგვისტოს ომის დროს (გეგეშიძე 2017).

დიპლომატისა და მწერლის – გელა ჩარკვიანის აზრით, დღეს რომ საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორი არის ოკეანისმიღმა მდებარე სუპერსახელმწიფო, რომელთანაც გვაქვს მჭიდრო ერთგული ურთიერთობები, არა მხოლოდ შტატების რეგიონალური ინტერესებით არის განპირობებული, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა მთავრობა ესწრაფვოდა და მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავდა შტატების ადმინისტრაციასთან კონტაქტის ჯერ დასამყარებლად და მერე უკვე გასაღრმავებლად. დღეს რომ საქართველოში თავისუფალი საზოგადოება არსებობს, სწორედ რომ შეერთებულ შტატებთან მტკიცე დიპლომატიური ურთიერთობის შედეგია (ჩარკვიანი 2017).

როგორც აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი არჩილ გეგეშიძე თავის პუბლიკაციაში „საქართველო და ამერიკა: თანამედროვე ორმხრივი ურთიერთობების ევოლუციის ძირითადი შტრიხები“ წერს, საქართველო-ამერიკის ურთიერთობა, ძირითადად, ვითარდებოდა რეგიონში აშშ-ის ინტერესების, საქართველოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საჭიროებების თანახმად. ორი ქვეყნის ინტერესები და საჭიროებები ხშირად ერთმანეთთან შესაბამისობაში იყო, რის გამოც ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორობაში ოფიციალურად გადავიდა; თუმცა ამერიკის დემოკრატიული და რესპუბლიკური ადმინისტრაციის მონაცვლეობასთან და საქართველოს ხელისუფლების

ცვლილებასთან ერთად, გარკვეულ წილად იცვლებოდა პარტნიორობის პრიორიტეტული მიმართულებები (გეგეშიძე 2017).

2017 წელს ამერიკის შეერთებული შტატების რიგით ორმოცდამეხუთე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა. ამერიკის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქვეყნის პრეზიდენტს არ ჰქონდა პოლიტიკური გამოცდილება და ის ბიზნესიდან პირდაპირ პოლიტიკაში მოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს სერიოზული ცვლილებების მოლოდინი ჰქონდა მეტ წილად ეკონომიკურ საკითხებში და მისი განხორციელებისთვის შესაფერის კანდიდატად ტრამპს ასახელებდნენ, თუმცა სხვა ნაწილს ქალი-პრეზიდენტი სურდა პოლიტიკური გამოცდილებით. რაც შეეხება პრესას, ის, როგორც ყოველთვის, უფრო სკანდალებისა და კონფლიქტების გაშუქებით იყო დაინტერესებული და ხშირად მისი კრიტიკის საგანი ტრამპის გამოსვლები და პირდაპირი უხეში განცხადებები იყო.

ბევრი ექსპერტი საუბრობდა და ამტკიცებდა, რომ ტრამპს არ ჰქონდა მოგების შანსები და სკეპტიკურად უყურებდა ამ საკითხს. თუმცა დონალდ ტრამპის გარშემო იყო მისი ოჯახი და ის ადამიანები, რომლებსაც დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ის პრეზიდენტი გახდებოდა. როგორც ტრამპის შვილები ამბობდნენ ერთ-ერთ ინტერვიუში, მამას პრეზიდენტობა მხოლოდ იმიტომ უნდოდა, რომ თავისი ქვეყანა გადაერჩინა, რადგან კარგად ხედავდა ქვეყნის პრობლემებს და პოლიტიკოსებს, რომლებიც „არაფერს აკეთებდნენ მათი მოგვარებისთვის“. ეს საკმაოდ დამაბული კამპანია იყო ცხარე დებატებითა და კრიტიკით.

აღსანიშნავია ტრამპის სწრაფი ნაბიჯები, რომლებიც მან პრეზიდენტობის პირველივე წელს გადადგა. მაგალითად, საზღვრების ჩაკეტვა იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებიც ასოცირდებოდნენ ტერორიზმთან. ტრამპმა იმუშავა კონგრესთან, რათა 28 კანონი ამოქმედებინა მისი ადმინისტრაციის პირველ 100 დღეში (White House 2017).

მართალია, პოლიტიკაში მოსვლისას ტრამპის მთავარი გზავნილი იყო – „ამერიკა უპირველესად“ (America First) და ეს ალბათ უფრო იზოლაციონიზმისკენ იყო მიმართული, მაგრამ ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა – „მე საგარეო პოლიტიკის პრეზიდენტი ვარ“ და

სწორედ მისი ადმინისტრაციის პერიოდში საინტერესო ცვლილებები მოხდა საგარეო პოლიტიკასა და ზოგიერთ ქვეყანასთან ურთიერთობაში.

დონალდ ტრამპმა ერთ წელიწადში ბევრი პოლიტიკური ცვლილება განახორციელა როგორც ქვეყანაში, ასევე ქვეყნის გარეთ. ვფიქრობთ, რომ მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხედვები და საქართველოსთან ურთიერთობის კვლევა და შესწავლა წარმოადგენს არა მხოლოდ პოლიტიკოსების ან ისტორიკოსების ინტერესის საგანს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური მდგომარეობა და საგარეო კურსი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სტაბილურობისთვის და, მით უფრო, მისი დემოკრატიული განვითარებისთვის.

დონალდ ტრამპმა ჯერ კიდევ 2015 წელს, თავის წიგნში, დეტალურად აღწერა, თუ რა სჭირდება მის ქვეყანას წინსვლისა და განვითარებისთვის. წიგნის სათაურიც მისი ერთ-ერთი გზავნილი იყო – „დასახიჩრებული, დამახინჯებული ამერიკა: როგორ გავხადოთ ამერიკა ისევ დიდებული“ (Crippled America: How to Make America Great Again). „დროა ამერიკა თავის ნამდვილ მეპატრონეს დავუბრუნოთ – ამერიკელ ხალხს!“ ტრამპი წერს, რომ ის არ აპირებს პოლიტიკოსების თამაშის გაგრძელებას – მხოლოდ ლაპარაკს და არავითარ ქმედებას იმ დროს, როცა ლობისტები და ვიწრო ინტერესები კარნახობენ ამერიკაში კანონებს. წიგნში მოცემულია ქვეყნის განვითარების ტრამპისეული ხედვა და გეგმები. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან საპრეზიდენტო არჩევნების პროგრამა ერთ წიგნში დეტალურად გადმოსცა (Trump 2015). აქ მკითხველი იხილავს სწორედ იმ საკითხებს, რომლებიც ტრამპმა თავის პროგრამაში ჩართო: არალეგალური იმიგრაცია, საგარეო პოლიტიკა, განათლება, ენერგეტიკა, ჯანდაცვის პროგრამა, იარაღის ტარების უფლება, ინფრასტრუქტურა, ფასეულობები, გადასახადები და მიკერძოებული მედია.

მიუხედავად იმისა, რომ დონალდ ტრამპს არ ჰქონდა პოლიტიკური გამოცდილება, მით უმეტეს, საგარეო საკითხებში, ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ მისი საგარეო კურსი. საინტერესოა, რომ ტრამპის წიგნის ერთ-ერთი თავის სათაურია „საგარეო პოლიტიკა: მშვიდობისთვის ბრძოლა“ (Foreign Policy: Fighting For Peace). იკვეთება მისი მიდგომა: ტრამპის აზრით, საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპია საკუთარი სამხედრო ძალების სიძლიერის შენარჩუნება – „ჩვენ უნდა ვაჩვენოთ იმ ქვეყნებს, რომლებიც მუშაობენ ჩვენთან

ერთად, რომ მათი დახმარების სურვილი გვაქვს და დავსაჯოთ ის ქვეყნები, რომლებიც ამას არ აკეთებენ“ (Trump 2015, 37). მისი თქმით, ამერიკამ ისევ უნდა შეასრულოს „პოლიციელის როლი“ მსოფლიოში, ოღონდ შეძლებული ქვეყნების დაცვა არ უნდა ხდებოდეს უანგაროდ. ამავდროულად, ტრამპი ფიქრობს, რომ ამერიკამ უნდა აჩვენოს ძალა, რათა რეალურად მოაგვაროს კონფლიქტები, სუსტი და რბილი მიდგომებით ეს არ გამოვა.“

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ტრამპი ხშირად ხაზგასმით ამბობდა, რომ ამერიკის ჩარევა სხვა ქვეყნების კონფლიქტებში უნდა ხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ამერიკისთვის: „ერაყი არ იყო ჩვენთვის საფრთხე. ამერიკელი ხალხი აზრზე არ არის, ბუმის ადმინისტრაციამ შეტევა რატომ გადაწყვიტა“ (Trump 2016). მისთვის მიუღებელია ის, რომ ამერიკელი ჯარისკაცები სხვა ქვეყნის დასაცავად იბრძვიან და ბევრი ოჯახი კარგავს ახლობელს უმიზეზოდ. რასაკვირველია, მისი ამომრჩევლისთვის მისაღები იყო ასეთი ხედვა.

რაც შეეხება ისლამურ სახელმწიფოს, აისისს (ISIS), ის ნამდვილად საფრთხეა ამერიკისთვის და სხვა ქვეყნებისთვის, ამიტომაც ტრამპს ჰქონდა მისი ლიკვიდაციის გეგმა. მოგვიანებით, ტრამპის გამოსვლებში, ხშირად ჟღერდა სიტყვები, რომ „ჩვენ ვაპირებთ ტერორიზმის, აისისის, დამარცხებას ძალიან ძალიან მალე, მე მაქვს დიდებული გეგმა...“ (Trump 2016). მისმა დემოკრატიკა ოპონენტმა, ჰილარი კლინტონმა, პირველივე საპრეზიდენტო დებატებში ტრამპის ამ შეპირებას ირონიულად შეხედა და განაცხადა: „მან თქვა, რომ ეს საიდუმლო გეგმაა, მაგრამ ერთადერთი საიდუმლო იმაშია, რომ მას გეგმა არ აქვს“ (Clinton 2016). ტრამპისთვის, აგრეთვე, მიუღებელი იყო ობამას პოლიტიკა ირანთან მიმართებაში. „ირანი ძლიერი ქვეყანა იყო, სანამ გამოჩნდნენ რელიგიური ფანატიკოსები“, ჩინეთს ის საერთოდ ორ ნაწილად ყოფს: „კარგი ჩინეთი“, რომელიც აშენებს დიდებულ ქალაქებს, მილიონობით ადამიანს განათლებით უზრუნველყოფს და „ცუდი ჩინეთი“, რომელიც ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, აკონტროლებს მოქალაქეებს, კრძალავს და ხურავს განსხვავებული აზრის მქონე გაზეთებს... მაგრამ ამერიკას ჩინეთთან მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი გააჩნია, რაზეც ის მუშაობას აპირებდა (Trump 2016).

რაც შეეხება საქართველოს, სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთან აქტიურად გაგრძელდა და ყოველივე ეს დასტურდება ჩვენი ქვეყნის ლიდერების საკმაოდ

ხშირი ვიზიტებითა და ოფიციალურ პირებთან შეხვედრებით. სტრატეგიული პარტნიორობის გაგრძელების ერთი-ერთი მაგალითია კონგრესმენების წერილი და ტრამპის გადაწყვეტილება დაფინანსების შეწყვეტაზე იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ან რაღაც ფორმით მხარი დაუჭირეს ამას. ეს ყოველივე კი იმაზე მიანიშნებდა, რომ შტატები კვლავ აპირებდა სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციებისა და ინტერესების დაცვას. ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნიორთან უფრო გამყარდა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში პრიორიტეტული იყო ურთიერთობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

2019 წელს, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში, კონგრესის ორივე პარტიის მიერ მიღებული იყო საქართველოს მხარდაჭერის აქტი, რომელშიც შედიოდა რამდენიმე პუნქტი:

- დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა;
- ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა;
- ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა;
- ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა და სხვ.

ცხადია, რომ ამერიკა მხარს უჭერს ქართველ ხალხსა და ქართულ სახელმწიფოს და არა კონკრეტულად რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან იდეას.

სამწუხაროდ, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში საქართველოს მმართველი გუნდის და, ასევე, ოპოზიციური პარტიების მიერ რამდენიმე ანტიდემოკრატიული ნაბიჯი გადაიდგა, რამაც ამერიკის კონგრესმენების შეშფოთება გამოიწვია. საქართველოს მთავრობის ოფიციალურმა პირებმა ნეგატიური გზავნილებიც მიიღეს აშშ-ის ორივე პარტიის წარმომადგენლებისგან. წერილების შინაარსი საქართველოს პრემიერ-მინისტრის და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მისამართით, ადასტურებს აშშ-ის ნეგატიურ დამოკიდებულებას პოლიტიკურ მოვლენებზე და, აგრეთვე, შეიცავს რეკომენდაციებს. მსგავსი მოვლენები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე. თუმცა მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური გზავნილი შტატებიდან,

კრიტიკულიც კი, უნდა აღიქმებოდეს გამოცდილი პარტნიორის რჩევად, რადგან ორი სახელმწიფოს ურთიერთობა თანასწორობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემაზეა აგებული.

**კვლევის საგანი.** ჩვენ ვიკვლევთ აშშ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას, მიღწევებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს პრეზიდენტ დონალ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი საკითხი, ძირითადად, საქართველო-ამერიკის ურთიერთობას ეხება, კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილია, აგრეთვე, აშშ-ის გავლენა და ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკური ურთიერთობების მთავარი ასპექტები და პერსპექტივები რეგიონის სხვა ქვეყნებთან: სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, უკრაინასთან და სხვ., რადგან მიგვაჩნია, რომ საქართველოს განვითარება და საგარეო კურსი გეოპოლიტიკური მდგომარეობის ფონზე უნდა განიხილებოდეს. ამ ქვეყნების ურთიერთობა ამერიკასთან და რუსეთთანაც შეიძლება პირდაპირ აისახოს საქართველოზე, მის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკაზე და ა.შ. რაც უფრო „მეტი ამერიკა“ იქნება რეგიონში, საქართველოს გარშემო, მით უკეთესი იქნება როგორც საქართველოს, ასევე, მეზობელი ქვეყნების კეთილდღეობისა და განვითარებისთვის.

თემის ფარგლებში, ასევე, განხილულია ტრამპის ადმინისტრაციის ინტერესები და ურთიერთობა რეგიონის სხვა ქვეყნებთან, მაგალითად, პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ამერიკის როლი ყარაბაღის კონფლიქტში, დონალდ ტრამპის ურთიერთობა თურქეთთან, რომელიც ერთადერთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა რეგიონში. განხილულია ადმინისტრაციის აზრი რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე, მის ქმედებებსა და ჩარევაზე რეგიონის კონფლიქტებში.

**კვლევის ჰიპოთეზა.** აშშ-საქართველოს ურთიერთობა მუდმივად ვითარდება, მიუხედავად აშშ-ის პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის აქტიურობისა საგარეო პოლიტიკის საკითხებში, თუმცა ხშირად იცვლება ორი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები და პრიორიტეტები თანამშრომლობის სფეროებში. კვლევის ჰიპოთეზა გულისხმობს იმას, რომ ტრამპის ადმინისტრაციის დროს აშშ-საქართველოს პარტნიორობა გაღრმავდა

თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და რუსეთის საფრთხის გამო.

**საკვლევი კითხვა.** როგორ შეიცვალა აშშ-საქართველოს პარტნიორობა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლისას, რატომ გაიზარდა მხარდაჭერა თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით და რა გავლენა ექნება ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკის ცვლილებას როგორც საქართველოს უსაფრთხოების, ასევე მისი სამხედრო გაძლიერების დონეზე.

**ნაშრომის კვლევის მიზანი.** კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს და შეისწავლოს შემდეგი საკითხები:

- ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში და საქართველოსთან ურთიერთობა – მათ შორის, იმის კვლევა, თუ რა როლს თამაშობდა შტატები რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში; იმის გამოვლენა, თუ რა მიმართულებით უფრო გაღრმავდა ურთიერთობა საქართველოსთან, რა შედეგების მომტანი იყო მრავალრიცხოვანი ოფიციალური ვიზიტები და ორმხრივი შეხვედრები, მათ შორის, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის ვიზიტი საქართველოში ტრამპის ადმინისტრაციის პირველივე წელს. აგრეთვე, ის, თუ რა პოლიტიკური ძვრებითა და მოვლენებით იყო დატვირთული ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდი, რიკოშეტით როგორ მოდიოდა ჩვენამდე, როგორ აისახებოდა, როგორ ხდებოდა პოლიტიკაში იმპლემენტაცია;
- შეერთებული შტატების გზავნილები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე – მათ შორის, იმის გარკვევა, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში თუ რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იყო მიღებული. კონგრესმენების წერილებისა და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილი ბრძანების მნიშვნელობის წარმოჩენა. ასევე, იმის შესწავლა, როგორ უჭერდა მხარს შტატები საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში და რა იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის ჯონ ბოლტონის, გენერალ კურტის მ. სკაპაროტის, გენერალ-მაიორ რასელ სანბორნის – საზღვაო ძალების მეთაურის

ევროპის/აფრიკის მიმართულებით, სტივენ რ. ლიონისა და კავოლის ვიზიტების მთავარი მიზნები;

- პოლიტიკური კრიზისი საქართველოში და შეერთებული შტატების შეფასებები პანდემიისა და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე – მათ შორის ის, თუ რა როლს ასრულებდნენ ამერიკელი ოფიციალური პირები საქართველოში პოლიტიკური კრიზისის დროს, რამ განაპირობა ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავება და რა გახდა ბოიკოტისა და პოლარიზაციის მიზეზი; როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში რუსეთის რბილი ძალის გააქტიურების მცდელობის შემდეგ; ამერიკის, როგორც ერთ-ერთი დემოკრატიული ქვეყნის, შეფასებები საქართველოს ხელისუფლების ანტიდემოკრატიულ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, მოსამართლეთა არჩევის საქმეზე, ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერებაზე და ა.შ.;
- რა მიზანი ჰქონდა შტატების სახელმწიფო მდივნის – მაიკ პომპეოს ვიზიტს საქართველოში და რა გზავნილები გაუღერდა საქართველოს მისამართით; როგორია აშშ-ის დახმარება პანდემიის დროს და სახალხო დიპლომატიის როლი. ასევე, იმის კვლევა, თუ რა გავლენა ექნება 2020 წლის ყარაბაღის ომს საქართველოზე და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერების აუცილებლობის წარმოჩენა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სადოქტორო ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ყველა მიმართულების შესწავლა, გამოვლენა და ამომწურავი შეფასება. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მცდელობა – წარმოაჩინოს და გააანალიზოს 2017-2020 წლებში საქართველოსა და შტატების თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და მიღებული შედეგები.

**კვლევის ამოცანა.** მიზნის მისაღწევად კვლევის დასაწყისში დავისახეთ შემდეგი ამოცანები: სამინისტროების და სხვა ოფიციალური უწყებების ვებგვერდებზე



გამოქვეყნებული დოკუმენტების გაცნობა, დეპარტამენტთა ანგარიშების შესწავლა, ლიტერატურის გაცნობა, მაგალითად, ტრამპის საავტორო წიგნების, ასევე, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გაცნობა და ა.შ.

**ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები.** კვლევა ქრონოლოგიურად მოიცავს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდს 2017 წლიდან 2021 წლამდე. ზოგი საკითხის შესწავლის დროს საჭირო გახდა სხვა პერიოდის, მაგალითად, 2016 წელს, დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის პერიოდში, საგარეო მიმართულებით საკითხების მიმოხილვა; აგრეთვე, 2009 წლის აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის რამდენიმე პუნქტის გაანალიზება.

**საკვლევი თემის აქტუალობა.** თემის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება, რაც საქართველოსთვის არის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარების გარანტი და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის – სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა. საკვლევი საკითხის აქტუალობას, აგრეთვე, განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული მიზნის მისაღწევად ქვეყნის სწორი საგარეო პოლიტიკის გატარების აუცილებლობა.

ამავდროულად, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მიმდინარეობა და განვითარება წარმოადგენს ინტერესის საგანს არა მხოლოდ აკადემიურ სივრცეში, განსაკუთრებით ამერიკისმცოდნეობის დარგში, არამედ ფართო საზოგადოებაშიც.

საკვლევი თემის აქტუალობას ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნის, როლის გაძლიერებაც განაპირობებს. ამერიკა არის ის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია შეაკავოს რუსეთის იმპერიალისტური გაფართოების ამბიციები. ამის ნათელი მაგალითია 2008 წლის აგვისტოს ომი.

ნაშრომში საუბარია 2020 წელს, მსოფლიო პანდემიის დროს, აშშ-ის მხრიდან საქართველოსთვის გაწეულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე, რომელიც საქართველოს კრიზისის დაძლევაში დაეხმარა. ასევე, ნაჩვენებია თბილისში ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრის (გაიხსნა 2011 წელს აშშ-ის დაფინანსებით) როლი საქართველოში პანდემიის გავრცელების შეჩერებაში.

მართალია, აშშ-ში პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა დონალდ ტრამპის რეიტინგზე და, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნების წაგების ერთ-ერთი მიზეზიც გახდა, თუმცა კვლევისთვის შესწავლილია ეს საკითხი მხოლოდ საქართველო-ამერიკის თანამშრომლობის, ამერიკის მხარდაჭერისა და დახმარების კონტექსტში.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ამერიკული მხარის დაინტერესება ორი ქვეყნის თანამშრომლობაში თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით. აშშ ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის ძალების მიახლოებას ნატო-ს სტანდარტებთან. ტრამპის ადმინისტრაციის დროს თანამშრომლობა ამ კუთხით უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა. შტატების ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი საქართველოს შერეულ საავიაციო ბაზაზე „ღირსეული პარტნიორი 2017“ მრავალეროვნულ წვრთნებში მონაწილე ამერიკელ და ქართველ სამხედროებს პირადად შეხვდა, სადაც სიტყვით გამოსვლისას სტრატეგიულ პარტნიორს ამერიკის სრული მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი კიდევ ერთხელ გამოუცხადა.

ვფიქრობთ, რომ ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა დინამიკურად ვითარდება, თუმცა იცვლება პრიორიტეტები. ასე, მაგალითად, კვლევის შედეგების თანახმად, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო თავდაცვა და უსაფრთხოება. საქართველოსთვის, როგორც რთულ და ტურბულენტურ რეგიონში მდებარე ქვეყნისთვის, ამერიკის მხარდაჭერა და ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაზრდა და გაძლიერება მეტად მნიშვნელოვანია.

სადოქტორო ნაშრომის თემის აქტუალობასა და მნიშვნელობას რამდენიმე საკითხი განსაზღვრავს:

- ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობა საერთო ინტერესებზე და ღირებულებებზეა დამყარებული და ეს ურთიერთობები მუდმივად ვითარდება და მეტად ნაყოფიერი ხდება;
- რეგიონში საქართველო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სანდო პარტნიორია, რომლის მოსახლეობის უმეტესობის არჩევანია დასავლური კურსი;

- ამერიკის როლის გაზრდა რეგიონში ხელსაყრელია საქართველოს განვითარებისთვის;
- საქართველომ ამერიკის მხარდაჭერით უნდა გააძლიეროს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და გააუმჯობესოს ნატო-ს ძალებთან თავსებადობა.

თემის აქტუალობას, ასევე, განაპირობებს საქართველოს დასავლური კურსის შენარჩუნების აუცილებლობა. კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ პერიოდში გაძლიერდა რუსული რბილი ძალის აქტიურობა საქართველოში. მაგალითისთვის მოვიყვანთ რუსი დეპუტატის გამოსვლას საქართველოს პარლამენტში. მართალია, ეს მართლმადიდებლობის საპარლამენტათმორისო გენერალური ასამბლეის ფარგლებში მოხდა, მაგრამ ფაქტი, რომ გავრილოვმა, რუსეთის დუმის დეპუტატმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრებს, საკმარისი აღმოჩნდა ოპოზიციური პარტიის დეპუტატების შემფოთებისთვის და ამ შეხვედრის ჩაშლისთვის. ამ ყოველივეს მოჰყვა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების ტალღა საქართველოში, პოლიტიკური კრიზისის ესკალაცია და შესაბამისი ნაბიჯები და მწვავე კრიტიკა რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია არა მხოლოდ უკანონო ბორდერიზაციით, არამედ რბილი ძალის გამოყენებით საქართველოს სუვერენიტეტს მუდმივად უქმნის სერიოზულ საფრთხეს. საქართველოში პრორუსული პოლიტიკური აზროვნებისა და განწყობის მეტი ადამიანი გამოჩნდა. ხშირად პოლიტიკოსები ერთმანეთს რუსეთის აგენტობასაც აბრალებენ. ცხადია, რომ საქართველოში დესტაბილიზაციისა და დიდი საფრთხის მიზეზია როგორც რუსეთის მუდმივი აგრესია, ასევე შიდა პოლიტიკური პრობლემები, დესტრუქციული ქმედებები და სხვ.

2020 წლის ყარაბაღის ომმა რეგიონში რუსული გავლენის გაძლიერებაც გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის პარტნიორობის გაძლიერება შტატებთან და სწორი პოლიტიკის არჩევა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველო თავისი რთული გეოპოლიტიკური მდებარეობით მუდამ ბევრი გამოწვევის წინაშე იდგა. ნათელია, რომ შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობა, განსაკუთრებით, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოსთვის გამოყოფილი მატერიალური და ტექნიკური დახმარება ამ მიმართულებით ცხადყოფს, რომ საქართველო ამერიკის სანდო და ერთგულ პარტნიორად რჩება რეგიონში.

საკვლევი საკითხის აქტუალობას განაპირობებს, აგრეთვე, ამერიკისმცოდნეობის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, მიმართ ქართული აკადემიური წრეების და, ზოგადად, საზოგადოების დიდი ნაწილის მზარდი ინტერესი. მეტი ადამიანი ინტერესდება ამერიკის შეერთებული შტატებით, როგორც მსოფლიოში დემოკრატიის, თავისუფლების, მუდმივი განვითარების სიმბოლოთი, უდიდესი გამოცდილებისა და გავლენის მქონე ქვეყნით.

ნაშრომს აქტუალურს ხდის ის გარემოებაც, რომ საქართველოს აკადემიურ სივრცეში ჯერჯერობით არ არსებობს სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია საქართველო-ამერიკის ურთიერთობის განვითარება ტრამპის ადმინისტრაციის დროს, რომელიც მოიცავს ზემოაღნიშნულ საკითხებს, თუმცა არის რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაცია, სადაც განხილულია საკვლევი თემის ზოგიერთი საკითხი.

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევა ეფუძნება ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში მიღებულ სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა კრიტიკული ანალიზის, შედარებითი ანალიზის, პირველწყაროების ანალიზის, შინაარსის ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის, აგრეთვე, შემთხვევის შესწავლის მეთოდი და სხვ. იგი დაფუძნებულია ინტერდისციპლინურ კვლევაზე, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგსა და მიმართულებას.

კვლევა, ძირითადად, ეფუძნება პირველწყაროებს, როგორებიც არის: საავტორო წიგნები, ოფიციალური დოკუმენტები, წერილები, კომენტარები, შესაბამისად, გამოყენებული იყო პირველწყაროების ანალიზისა და შინაარსის ანალიზის მეთოდები.

შედარებითი ანალიზი გამოყენებულია ინფორმაციის დამუშავებისა და შესწავლის დროს, რომლის წყარო იყო სხვადასხვა მედიასაშუალება.

ასევე, აუცილებელი გახდა ყარაბაღის ომის საკითხზე სამეცნიერო ნაშრომებიდან მოპოვებული მასალების შედარება, მაგალითად, რუსი მეცნიერის ჩერნიავსკის სტატიის «Нагорно-Карабахский конфликт в контексте меняющейся региональной геополитики» (მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი შეცვლილი რეგიონური გეოპოლიტიკის კონტექსტში) სომეხი მეცნიერის დუნამალიანის ნაშრომის „South Caucasus Region in the context of new geopolitical realities: "Transcaucasia" or "Greater Middle East" (სამხრეთ კავკასიის რეგიონი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის კონტექსტში..), თურქი მეცნიერის, კამერ კასიმის ნაშრომის „American Policy toward the Nagorno-Karabakh Conflict and Implications for its Resolution“ (ამერიკის პოლიტიკა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ და მისი გადაჭრის არსი) და სხვ., რაც მნიშვნელოვანი იყო საკვლევე საკითხის სხვადასხვა რაკურსიდან დანახვისა და შესწავლისთვის.

შემთხვევის ანალიზის საშუალებით დეტალურად შევისწავლეთ ე.წ. „გავრილოვის ღამის“ მიზეზი, მისი გავლენა პოლიტიკურ მოვლენებზე საქართველოში და შედეგები.

კვლევის დროს გამოყენებულია ინტერვიუს პრინციპიც, რადგან საკვლევე საკითხი დაკავშირებულია უახლოეს ისტორიულ მოვლენებთან. შესაბამისად, ინტერვიუს გზით მოპოვებული მასალა მნიშვნელოვანია თემის დამუშავებისას. ინტერვიუ ჩაწერეთ საქართველოს პირველ ელჩთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, თედო ჯაფარიძესთან, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციის დროს ოფიციალური დელეგაციის წევრი იყო პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის აშშ-ში ვიზიტისას. ინტერვიუს დროს მან დეტალურად აღწერა შეხვედრებისა და მოლაპარაკებების ძირითადი საკითხები, რაც მნიშვნელოვანი მასალა იყო კვლევისთვის. საინტერესო იყო, ასევე, ინტერვიუ აშშ-ში ყოფილ ელჩთან არჩილ გეგეშიძესთან, რომელმაც შეაძარა აშშ-საქართველოს ურთიერთობა ობამასა და ტრამპის პრეზიდენტობის დროს.

სამწუხაროდ, კვლევის დროს, კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი მივიღეთ აშშ-ის ელჩისგან, კელი დეგნანისგან და საქართველოს ყოფილი ელჩისგან აშშ-ში, დავით ბაქრაძისგან. მიუხედავად ამისა, ქალბატონ დეგნანს სტუდენტებთან შეხვედრის დროს მივმართე შეკითხვით. მან შეაძარა ობამას ადმინისტრაციის პრიორიტეტები ტრამპის

ადმინისტრაციას, თუმცა შეეხო მხოლოდ ზოგად საკითხებს, როგორებიცაა კლიმატის ცვლილების პროგრამა, მიგრაციის საკითხები და სხვა.

ნაშრომის ძირითადი შედეგი გამოიხატება მის სიახლეში, რადგან ის წარმოადგენს მცდელობას წარმოაჩინოს საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარების ძირითადი ასპექტები 2017-2020 წლებში.

**წყაროთმცოდნეობითი ბაზა.** იმის გამო, რომ საკვლევითი თემა საკითხის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობაა, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია, ძირითადად, ეფუძნება პირველად წყაროებს, კერძოდ:

- სხვადასხვა სამინისტროს (საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო), საქართველოს მთავრობის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას, დოკუმენტებს, დადებულ შეთანხმებებს (Congress.gov); საელჩოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციასა და განცხადებებს, სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრის შეჯამებას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების და დეპარტამენტთა ანგარიშებს (მაგალითად, Freedom House);
- საპარლამენტო სხდომათა ჩანაწერებს;
- ოფიციალური პირების სიტყვით გამოსვლებს;
- პრესის მასალებს, რადგან კვლევის თემა უკავშირდება უახლოეს ისტორიულ მოვლენებს. გამოყენებულია, ასევე, სანდო მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, მაგალითად, ამერიკის ხმის (Voice of America), ბიბისის (BBC), სიენენის (CNN), ვაშინგტონ პოსტის (Washington Post) და ა. შ.;

- ისტორიულ პირთა მიერ დაწერილ დოკუმენტებს;
- ინტერვიუებს – მიგვაჩნია, რომ ინტერვიუს მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი მნიშვნელოვანი იყო კვლევისთვის, რადგან საკითხი უკავშირდება უახლოეს ისტორიას;

კვლევის დროს ასევე გამოყენებულია მეორეული წყაროები:

- სხვადასხვა დარგის სამეცნიერო სტატიები;
- წიგნები, საკონფერენციო მასალები;
- დისერტაციები, მონოგრაფიები და სხვ.

კვლევისთვის გამოყენებული იყო სტატიები „მენდელეიდან“ (Mendeley), რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომების უდიდეს ბაზას.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთი საკითხის შესწავლისას დაგვჭირდა მასალა ეკონომიკის მიმართულებით, კერძოდ, ანაკლიის პორტის მშენებლობის მნიშვნელობის წარმოჩენა ფინანსური კუთხით და სხვ.

სამეცნიერო ნაშრომებიდან საყურადღებოა რუს მეცნიერთა აზრი საქართველო-ამერიკის ურთიერთობასა და ზოგიერთ პოლიტიკურ მოვლენაზე საქართველოში. ამ თვალსაზრისით გამოვეყოფთ, მაგალითად, ი. ფედოროვსკაიას ნაშრომს – „პოლიტიკური კრიზისი საქართველოში“ (И. Федоровская, «Политический кризис в Грузии»).

ანაკლიის პორტის მშენებლობის ფინანსური უპირატესობის უკეთ გაგებისთვის შევისწავლეთ რამდენიმე მკვლევრის ნაშრომი, მაგალითად, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ვლადიმერ პაპავასა და ეკონომიკის დოქტორის, ვახტანგ ჭარაიას სამეცნიერო სტატია – „Belt and Road Initiative: Implications for Georgia and China-Georgia Economic Relations“; ასევე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლარისა ყორღანაშვილის ნაშრომი – «Грузия как транспортный узел Китайской инициативы «ПОЯС И ПУТЬ» (საქართველო, როგორც ჩინეთის ინიციატივის „სარტყელი და გზა“

სატრანსპორტო კვანძი), სადაც მკვლევარი ანაკლიის პორტის პროექტის მნიშვნელობაზე წერს, რომ პორტი ხელს შეუწყობს საქართველოს სატრანსპორტო კვანძად ჩამოყალიბებაში, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია.

ამასთანავე, კვლევისთვის საინტერესო იყო დონალდ ტრამპის საავტორო წიგნი „Great Again“ (ისევ დიდებული), სადაც ერთ-ერთი თავი – „Foreign Policy: Fight for Peace“ (საგარეო პოლიტიკა: მშვიდობისთვის ბრძოლა) ტრამპის საგარეო პოლიტიკის ხედვას ეძღვნება. მასალამ მოგვცა შედარების საშუალება – თუ რა გეგმებით მოვიდა დონალდ ტრამპი და რეალურად რისი განხორციელება შეძლო პრეზიდენტობის დროს. საკითხი არ ეხება უშუალოდ საქართველოს, თუმცა მოცემულია ინფორმაცია საგარეო პოლიტიკასა და რუსეთთან ურთიერთობაზე, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც.

ასევე, საინტერესო იყო დ. ვიდის წიგნი „ტრამპის თეთრ სახლში, მისი პრეზიდენტობის ნამდვილი ამბავი“ (Wead D., Inside Trump’s White House, The Real story of his Presidency), განსაკუთრებით მე-16 თავი – „საგარეო პოლიტიკის პრეზიდენტი“. ამ მასალამ საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა ტრამპის ხედვა საგარეო პოლიტიკის სფეროში. ავტორმა ნაშრომში გამოიყენა ტრამპისა და მისი ოჯახის წევრებისგან აღებული ინტერვიუების შინაარსი. წიგნი, ამასთანავე, ტრამპის, როგორც პრეზიდენტის, ინტერესებისა და ფასეულობების გარკვევაშიც დაგვხმარა.

აუცილებელი გახდა ისეთი ავტორების ნაშრომების მიმოხილვა და შესწავლა, რომლებიც აკრიტიკებენ დონალდ ტრამპს. მაგალითად, ვულფის წიგნის „ცეცხლი და რისხვა“ (Wolff M., Fire and Fury, Inside the Trump White House), სადაც უარყოფითად არის დახასიათებული ტრამპი, როგორც პიროვნება, ბიზნესმენი, ასევე, მისი პრეზიდენტობის პირველი ორასი დღე. ვულფის აზრით, ტრამპი აგრესიული და ზედმეტად თავდაჯერებული პრეზიდენტია, რომელიც გახდა უთანხმოებისა და განხეთქილების მეფე. ავტორის თქმით, ტრამპის ინაუგურაციასთან ერთად შეერთებული შტატები პოლიტიკური ქარიშხლის ცენტრში აღმოჩნდა.

დონალდ ტრამპზე საკმაოდ ვრცლად წერს ფიონა ჰილი თავის წიგნში „აქ შენთვის არაფერია: შესაძლებლობების პოვნა ოცდამეერთე საუკუნეში“ (Fiona Hill, There is nothing for you here: Finding opportunity in the twenty-first century). ფიონა ჰილი 2017 წლიდან 2019



წლამდე იყო უფროსი დირექტორი ევროპისა და რუსეთის მიმართულებით აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოში. ავტორი წიგნში საინტერესოდ ადარებს ორი ქვეყნის ლიდერს: დონალდ ტრამპსა და ვლადიმერ პუტინს. ასევე, ის წერს ტრამპის ამბიციებზე, მის ხასიათზე, გამოთქმებზე და სხვა ქვეყნების ლიდერებთან ურთიერთობაზე.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდის შესწავლა აშშ-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს და პირველ მცდელობას, წარმოაჩინოს იმ პერიოდის მიღწევების მნიშვნელობა და გავლენა ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კვლევები და ნაშრომები არსებობს სამეცნიერო სივრცეში, მაგალითად,

“The Trump Administration Policy towards South Caucasus”, Gegelashvili (2019);

“American Foreign Policy in the Age of Donald Trump” Schultz, (2019);

“The Trump foreign policy record and the concept of transformational change”

Ashbee, Hurst (2020);

“US policy in the South Caucasus prior to and after the 2020 Karabakh War in the Context of the Evolving Regional and International Geopolitics”, Poghosyan (2022);

“Populism and President Trump’s approach to foreign policy: An analysis of tweets and rally speeches”, Lacatus (2021);

“The Case for Trump s Foreign Policy” Kroenig (2022);

“Trump and the US foreign policy crisis“ Mahmood N. Iqbal P. (2018);

“Key Features of the U.S.-Georgia Relations: Mutual Alliance and Strategic Partnership”, Lomia (Conference material 2019, IBSU);

“The U.S. Republican President - Donald Trump's Support Policy towards Georgia Announced in His Agenda of 2017-2019” Vanishvili (Conference material 2019, IBSU);

“Top Five Priorities for the U.S.–Georgian Relationship in 2020” Mrachek (2020)

„Фактор Трампа в российско-американских отношениях“ Арбатов , Арбатова (2017)

„Политика Трампа и международные институты“ Ларионова, Сахаров, Шелепов,  
(2018)

და სხვ, ისინი ჩვენი კვლევისთვის საინტერესო საკითხებს არ შეისწავლიან.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დეტალურად არის შესწავლილი და დამუშავებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და თეთრი სახლის მასალები, რომლებიც საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვამწოდებენ. გარდა ამისა, აღნიშნული მასალების ანალიზი აკადემიურ და პოლიტიკურ სფეროებში ჯერჯერობით მწირია, მცირე ინფორმაცია მოიპოვება, ძირითადად, სამეცნიერო სტატიების სახით (mendeley.com, google scholar).

**კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** აშშ-საქართველოს ურთიერთობა სხვადასხვა ეტაპზე არის ინტერესის საგანი არა მხოლოდ შესაბამისი დარგის მეცნიერებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. ამ თემაზე არაერთი სტატია თუ დისერტაცია არის დაწერილი. ინსტიტუტის საბაკალავრო პროგრამაში ერთ-ერთი საგანია „საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორია“, რომლის მიზანია სწორედ ამ საკითხების შესწავლა.

რადგან კვლევა მოიცავს უახლოესი ისტორიული მოვლენების შესწავლას და, შესაბამისად, ინფორმაცია და მასალები თითქმის არ მოიპოვება ქართულ ენაზე, მიგვაჩნია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში ორი ქვეყნის პარტნიორობის ფარგლებში პოლიტიკური მოვლენების განვითარების შესწავლა თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ამერიკისმცოდნეობის, ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისა და განვითარების საქმეში.

წინამდებარე ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სასწავლო მასალად საუნივერსიტეტო სივრცეში, მაგალითად, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტში, ასევე – შემდგომ სამეცნიერო კვლევებში.

რადგან დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ჰუმანიტარულ, სოციალურ, პოლიტიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს, მისი შედეგები დაეხმარება შესაბამისი მიმართულებების სპეციალისტებს ცოდნის გაღრმავებაში: პოლიტიკური მეცნიერებების წარმომადგენლებისთვის, ამ სამეცნიერო კვლევის შედეგად, ხელმისაწვდომი იქნება მასალა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიცვალა პოლიტიკური ცხოვრება და გეოპოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში და, ზოგადად, რეგიონში ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში.

ამასთანავე, აღნიშნული კვლევის შედეგები საინტერესო იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვისაც, განსაკუთრებით, ნაშრომის ის ნაწილი, სადაც დეტალურად არის განხილული ორი ქვეყნის ურთიერთობა ტრამპის პრეზიდენტობის პირველივე წელს, როდესაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თავდაცვის, უსაფრთხოებისა თუ სხვა მიმართულებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება კვლევის შედეგები და რეკომენდაციები იმ ექსპერტებისთვის, არასამთავრობო სექტორში დასაქმებულებისთვის, საქართველოს პოლიტიკური საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ზრუნავენ ქვეყნის სწორ განვითარებაზე.

**კვლევის პროცედურა.** კვლევა სამეცნიერო ხელმძღვანელების, პროფესორ ვასილ კაჭარავას, ასოც. პროფესორ ნიკა ჩიტაძის და ასოც. პროფესორ მიხეილ ბარნოვის ხელმძღვანელობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და კერძო ბიბლიოთეკის ბაზაზე წარიმართა.

კვლევის პირველ ეტაპზე მეტი აქცენტი გაკეთდა დონალდ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ვექტორების გამოვლენაზე. ამ საკითხის შესწავლისთვის გამოვიყენეთ საგარეო ურთიერთობების საბჭოს (Council on Foreign Relations, CFR) გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია და დონალდ ტრამპის წიგნი, სადაც ავტორი დეტალურად წერს თავის პოლიტიკურ ხედვებსა და სამომავლო გეგმებზე. ყველაზე საინტერესო იყო მისი საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა. სამწუხაროდ, ტრამპი არ საუბრობს საქართველოზე, თუმცა წერს უკრაინასა და რუსეთზე, ამერიკის ინტერესებზე ამ

ქვეყნებთან მიმართებაში, რაც საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. საკითხის შესწავლისას მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, თეთრი სახლის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტის გათვალისწინება, სადაც ტრამპის პრეზიდენტობის პირველი 100 დღეა აღწერილი.

პირველ ეტაპზე, ასევე, შევისწავლეთ ტრამპის პრეზიდენტობის პირველ წელს მისი ადმინისტრაციის თანამშრომლობა რეგიონის სხვა ქვეყნებთან, რისი შედეგებიც ნაშრომის I თავის პირველ და მეორე ქვეთავებშია მოცემული. მესამე ქვეთავში წარმოვაჩინეთ საქართველოს პარტნიორობის გაგრძელება ახალ ადმინისტრაციასთან, ამისთვის კი დაგჭირდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის, საქართველოს თავდაცვის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა ოფიციალურ საიტებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შესწავლა.

მეორე ეტაპზე კვლევის საგანი იყო საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამისთვის შევისწავლეთ როგორც საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია შეხვედრებზე, ვიზიტებზე, ბრძანებებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ასევე, ამერიკის სახელმწიფოს მხრიდან გავრცელებული მასალა. გარდა ამისა, გავანალიზეთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, მაგალითად, „ფრიდომ ჰაუსის“ (Freedom House) ყოველწლიური ანგარიში საქართველოზე, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის „აირაის“ (IRI) ცენტრის ანგარიშები და სხვ.

სადოქტორო ნაშრომის II თავის მეორე ქვეთავში ვცდილობთ, წარმოვაჩინოთ რუსული რბილი ძალის აქტიურობის შედეგები საქართველოში რუსი დეპუტატის – გავრილოვის საქართველოს პარლამენტში გამოჩენის შემთხვევის შესწავლის საფუძველზე. ნაშრომში, აგრეთვე, მოცემულია საქართველოში პოლიტიკური კრიზისის მიზეზებისა და აშშ-ის პოლიტიკური შეფასებების ანალიზის მცდელობა.

კვლევის მესამე ეტაპზე შევისწავლეთ ორი ქვეყნის ურთიერთობა პანდემიისა და რეგიონში გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე. ამისთვის გავეცანით შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებს და სტატისტიკურ მონაცემებს. თემაზე მუშაობისას, ქართულ ენაზე

ვთარგმნეთ ოფიციალური დოკუმენტები, ამერიკელი ოფიციალური პირების სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული წერილები, კომენტარები (მაგალითად, ტვიტერის, ფეისბუქის და სხვ.) და პრესაში გავრცელებული მასალები.

**ნაშრომის აპრობაცია.** კვლევის სხვადასხვა ეტაპზე შედეგები ფართო საზოგადოებას სამეცნიერო კონფერენციების საშუალებითა და პუბლიკაციების გამოქვეყნებით გავუზიარე. გამოვეყოფთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობას, სადაც წარვადგინე შემდეგი მოხსენებები:

- „საქართველოს პრემიერ-მინისტრების ოფიციალური ვიზიტები აშშ-ში და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან შეხვედრები“;
- „საქართველო-აშშ-ის ურთიერთობა საქართველოში შიდა პოლიტიკური კრიზისის ფონზე 2018-2020 წლებში“;
- „ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს პანდემიის პერიოდში“;

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარვადგინეთ მოხსენება:

- „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში“

კვლევის შედეგები, აგრეთვე, გამოვაქვეყნეთ რამდენი ნაშრომის სახით, მათ შორის:

1. ევროპულ სამეცნიერო ჟურნალში (European Scientific Journal) გამოქვეყნდა სტატია **“The Foreign Policy of Donald Trump’s Administration in Transcaucasia”** (დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა ამიერკავკასიაში);

2. შავი ზღვის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში (Journal in Humanities) – **“Georgia-USA Political Relations under President Donald Trump Administration in 2017”** (საქართველო-აშშ-ის პოლიტიკური ურთიერთობა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში 2017 წელს);

3. სამეცნიერო ჟურნალში „Georgian Scientists“ დაიბეჭდა სტატია **“The concerns of the United States about antidemocratic political processes in Georgia in 2018-2021”** (ამერიკის შეერთებული შტატების შეშფოთება ანტიდემოკრატიულ პროცესებზე საქართველოში 2018-2021).

**ნაშრომის სტრუქტურა.**

ნაშრომი შედგება აბსტრაქტის, შესავლის, 3 თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და 211 ნომრიანი ბიბლიოგრაფიისგან.

# თავი 1: ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში და აშშ-საქართველოს ურთიერთობა ტრამპის ადმინისტრაციის პირველ წელს

## 1.1. დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლა და ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

ამ ქვეთავის მიზანია პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის, ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის მიერ 2017 წელს განხორციელებული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯებისა და ცვლილებების მიმოხილვა და ანალიზი.

კვლევა დაფუძნებულია მრავალფეროვან საინტერესო ლიტერატურაზე, რომლის ავტორები არიან როგორც თავად ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, ასევე მისი ოპონენტები და კრიტიკოსები; აგრეთვე, თეთრი სახლის, საქართველოს მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალურ გვერდებზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და სტატიებზე.

გავიხსენოთ დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის მთავარი სლოგანი – „ამერიკა უპირველესად“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ამერიკელი ხალხის უმრავლესობას სწორედ ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ამერიკის ჩართულობა სხვადასხვა სახელმწიფოს კონფლიქტების მოგვარებასა თუ დახმარებაში. ხალხი იზიარებდა ტრამპის აზრს, რომ ამერიკა თავისი საკუთარი პრობლემების გადაჭრით უნდა იყოს დაკავებული.

ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება გლობალური ცვლილებების ფონზე მოხდა და მათი ლოგიკური გაგრძელებაა. მსოფლიო პოლიტიკაში გავრცელდა აგრესიაზე დაფუძნებული საარჩევნო კამპანია, პოპულიზმი, იზოლაციონიზმი და ისეთი რადიკალური მოთხოვნები, როგორებიცაა საზღვრების ჩაკეტვის სურვილი და სხვ. ყოველივე ეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში უკვე

პრიორიტეტად იქცა, რაც ალბათ უნდა მივიღოთ და აღვიქვათ როგორც უკვე დამკვიდრებულ ლიბერალურ ღირებულებებზე შეტევა.

პოლიტიკურ მოვლენებს თუ გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ ზემოაღნიშნულ პროცესებს გლობალური ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, არჩევნებში ტრამპის გამარჯვებას წინ უძღოდა დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება და სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში რადიკალური ნაციონალიზმის პოლიტიკის წინ წამოწევა. საინტერესოა, რომ ცნობილი პოლიტ-ეკონომისტი ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომში – „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ (The End of the History and the Last Man) წერს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თანამედროვე სამყაროში ლიბერალურ დემოკრატიასა და თავისუფალ ბაზარს კონკურენტი არ ჰყავს და იგი დროთა განმავლობაში ყოვლისმომცველ სახეს მიიღებს (Fukuyama 1992). თუმცა ბევრი ექსპერტისთვის მხოლოდ 2016 წელს მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკური პროცესები და საარჩევნო კამპანიის მთავარი გზავნილები აღმოჩნდა საკმარისი, რომ ამ პოზიციას არ დათანხმებოდა.

დონალდ ტრამპის გამოსვლები არაორდინალური და საკმაოდ კრიტიკული იყო. ნდობის კრიზისი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი, მათ შორის, ხელისუფლების, სასამართლოს, კონგრესისა და მედიის მიმართ არის დონალდ ტრამპის პოპულარობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი და სანამ ეს კრიზისი იქნება, ასეთი ლიდერები მომავალშიც მოიპოვებენ ხმებს. ხალხში აღარ არის ღრმა რწმენა, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტები რეალურად მათ ინტერესებს ემსახურებიან. ამიტომაც ბევრი მათგანი გამოსავალს ხედავს ისტებლიშმენტის წინააღმდეგ მოძრაობების მხარდაჭერასა და ისეთ ლიდერში, როგორც ტრამპია.

ამკარაა, რომ ბევრ განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივი ნდობა შემცირდა. ხშირად ლიდერის პერსონალიზაცია ხდებოდა, რაც განაპირობებდა ხალხის მხარდაჭერას. ტრამპის საარჩევნო კამპანია და პროგრამა იყო კონკრეტული და რადიკალური ცვლილებების შემოტანის ნათელი მაგალითი. ზოგიერთ საკითხზე მისმა რადიკალურმა მემარჯვენე ხედვამ ამერიკის საშუალო კლასის, ძირითადად, თეთრკანიანი მოსახლეობის მოწონება მაშინვე



დაიმსახურა. დონალდ ტრამპმა თავისი კამპანია სწორედ იმ მთავარ პრობლემებზე ააგო, რომლებიც საშუალო სტატისტიკურ ამერიკელს აწუხებდა.

ტრამპის საარჩევნო პროგრამაში ვხედავთ მის, როგორც ბიზნესმენის და არა პოლიტიკოსის, მიდგომას სხვადასხვა საკითხისადმი. ძირითადად, ეს ეკონომიკას ეხება, რაც ჩანს მის მოწოდებაში თავისუფალი ვაჭრობის გადახედვასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, ეს ხედვები პოპულარობით სარგებლობდა ამერიკელ ბიზნესმენებში, დასაქმებულებში. ალბათ, გარკვეულწილად, პოპულიზმმაც განაპირობა ტრამპის გაპრეზიდენტება. მისი საუბარი ხალხისთვის მარტივად გასაგები იყო. სოციალური ქსელების ხშირი გამოყენება და აზრის გამოქვეყნება ხომ ტრამპის სტილია.

დონალდ ტრამპის ნაციონალიზმი ამერიკელების უდიდესმა ნაწილმა დადებითად აღიქვა – მთავარმა სლოგანმა „ამერიკა უპირველესად“ და იზოლაციონიზმის პოლიტიკამ კარგად იმუშავა. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ მათ ლიდერს უფრო ქვეყნის კეთილდღეობა, უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება აინტერესებდა.

დონალდ ტრამპის კრიტიკა არა მხოლოდ დემოკრატიული პარტიის პრიორიტეტებისკენ იყო მიმართული, არამედ იგი უფრო რესპუბლიკური პარტიის ისტებლიშმენტის მიერ მოძველებულ ან თუნდაც იდეისგან დაცლილ პოლიტიკურ კურსს აკრიტიკებდა. ასეთი პოლიტიკის „მოწესრიგებისთვის“ ტრამპმა თავისი სამოქმედო გეგმა დაწერა, რომლის მთავარი ასპექტი იყო საიმიგრაციო პოლიტიკა: ამერიკაში შემოსვლის აკრძალვა იმ ქვეყნებიდან, სადაც ტერორიზმი ისევ არსებობს (მუსლიმების მიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში), „განახლებული ამერიკა წარმატების გზაზე სიარულს მიგრანტების გარეშე განაგრძობს“ (ტრამპი 2016).

პრეზიდენტობის კანდიდატმა საკუთარი ხედვა წარადგინა ნატო-ს მომავალთან დაკავშირებითაც: „მე განვიხილავ ნატო-ს როგორც კარგ საქმეს – მე ვუყურებ უკრაინას და ვფიქრობ, უკრაინა ჩვენ გაცილებით ნაკლებად გვეხება, ვიდრე სხვა ქვეყნებს, მაგრამ ჩვენ ვასრულებთ რთულ სამუშაოს, სხვა ქვეყნები კი არაფერს აკეთებენ. მე ვსვამ კითხვას: რატომ არ აგვარებს უკრაინის პრობლემას ნატო-სთან ერთად გერმანია? რატომ არ აგვარებენ ამ პრობლემას უკრაინის მეზობლები? რატომ ვართ ყოველთვის წინ, რატომ მივექანებით პოტენციური მესამე მსოფლიო ომისკენ რუსეთთან? რატომ ვაკეთებთ ყოველთვის ამ

საქმეს?“ „ვაშინგტონ პოსტის“ (The Washington Post) კითხვაზე – სწორად მოიქცა თუ არა ამერიკა, როცა რუსეთს ყირიმის გამო სანქციები დაუწესა და გაახანგრძლივებს თუ არა ამ სანქციებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში? –ტრამპმა განაცხადა: „ვფიქრობ კი, მაგრამ არ მგონია სხვებმა ამ მიმართულებით რამე მოიმოქმედონ... ჩემი მოსაზრებით, ჩვენ აღარ ვართ ისეთ მდგომარეობაში, როგორც ადრე, ჩვენ ვიყავით ძალიან გავლენიანი, ძალიან ძლიერი სახელმწიფო. ახლა კი ჩვენი ქვეყანა ღარიბია. ეს მევალე ქვეყანაა... ჩვენ მოძველებული ჯავშანმანქანები გვყავს. საუკეთესოები მტერს მივეცით. ჩვენ ისინი გადავეცით ჩვენს მოკავშირეებს ახლო აღმოსავლეთში. ერთი გასროლა ჰაერში საკმარისია, რომ ისინი გაიქცნენ, მტრები კი ყველაფერს ხელში ჩაიგდებენ“ (ტრამპი 2016).

ვფიქრობთ, დონალდ ტრამპმა საპრეზიდენტო არჩევნები იმიტომ მოიგო, რომ მას უფრო ზუსტი გზავნილები ჰქონდა განსაზღვრულ ადრესატებთან, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი ცხოვრებით, ფინანსური მდგომარეობით, უმოქმედო მთავრობით, რომელსაც ხალხის ხმა აღარ ესმოდა.

შევაჯამოთ და გამოვყოთ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი მახასიათებლები:

1. ოპონენტების კრიტიკა - ტრამპმა არაერთხელ გააკრიტიკა თავისი ოპონენტები და ისიც აღნიშნა, რომ ყველაფრის გაუქმებას აპირებდა, რაც ობამამ დააწესა;
2. სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაცია - ტრამპმა გამოიყენა ინოვაციური მიდგომა მისი საარჩევნო კამპანიის დროს. ამომრჩეველთან კომუნიკაციისთვის, მან გამოიყენა ტვიტერი (Twitter). ტრამპი თავისი კამპანიის რეკლამირებისა და პოპულარიზაციისთვის იყენებდა სოციალურ ქსელებს;
3. ყველაზე ხმამაღალი და მკვეთრი განცხადებები - მის გამოსვლებში იყო ხმამაღალი განცხადებები. (მაგ. კამპანიის სლოგანი „Make America great again“) ტრამპის განცხადებებს ჰქონდა განსაცვიფრებელი ეფექტი აუდიტორიაზე.

აღსანიშნავია ტრამპის საგარეო პოლიტიკის ხედვა რუსეთთან მიმართებით. საარჩევნო კამპანიის დროს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ტრამპი დადებითად დაახასიათა და მილიარდერი ბიზნესმენის საპასუხო „კომპლიმენტი“ კი დაიმსახურა. სწორედ ამან გამოიწვია ის ფაქტი, რომ დემოკრატმა კონკურენტმა ჰილარი

კლინტონმა ერთ-ერთი სატელევიზიო დებატის დროს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს „რუსეთის მარიონეტი“ უწოდა (Clinton 2016). გასაკვირი არ არის, რომ მოგვიანებით, ტრამპის რუსეთთან შესაძლო კავშირზე სასამართლო საქმეც კი აღიძრა.

პუტინსა და ტრამპს ადარებს ერთმანეთს ფიონა ჰილი თავის წიგნში. ავტორი წერს, რომ თუ კარგად დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ტრამპსა და პუტინს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო შიდა პოლიტიკური ტაქტიკისა და სტრატეგიის თვალსაზრისით, მედიასთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის კუთხით. თუმცა ჰილი იმასაც ამბობს, რომ პუტინის მიდგომა აშკარად ეწინააღმდეგებოდა ტრამპის მცდელობას, ხაზი გაესვა განხეთქილებისთვის ამერიკაში და წაექეზებინა ერთმანეთის წინააღმდეგ პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები, სახალხო მოძრაობები, რასობრივი და რელიგიური ჯგუფები 2016 და 2020 წლებში. პუტინს ერთი რუსეთი სურდა, ტრამპს – ბევრი ამერიკა. ჰილის აზრით, ტრამპს მოსწონს პუტინის მსგავსი ადამიანი, რომელიც ერთდროულად ავტოკრატიც არის და, როგორც ცნობილია, უმდიდრესიც, თან ელიტას წარმოადგენს. ტრამპსაც სურდა საერთაშორისო დონეზე საკუთარი თავი დაენახა, როგორც ძალიან მდიდარი, ძალიან ძლევამოსილი და ძალიან ცნობილი ადამიანი (ჰილი 2021, 220).

„რესენტემენტის პოლიტიკის გამტარებლები ერთმანეთს ადვილად ცნობენ. ის სიმპათია, რომლითაც ვლადიმერ პუტინი და დონალდ ტრამპი ერთმანეთის მიმართ არიან განწყობილნი, არა მარტო პიროვნულია, არამედ ორივე მათგანისთვის დამახასიათებელი ნაციონალიზმიდანაც გამომდინარეობს“ (ფუკუიამა 2018, 23). ნათელია, რომ რუსეთს სურდა ტრამპის გამარჯვება, რადგან მისი იზოლაციონიზმის პოლიტიკა მათთვის ხელსაყრელი იყო; ძალიან აწყობდათ საგარეო ურთიერთობებში გამოუცდელობაც. თუმცა არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ტრამპს რუსეთთან ზოგიერთ საკითხში შეთანხმების მიღწევის სურვილი ჰქონდა. გავიხსენოთ რონალდ რეიგანის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რამდენად დამაბული და ნეგატიური იყო ის თავიდან, მაგრამ მოგვიანებით სწორედ მან და გორბაჩოვმა, „ამ ორმა ადამიანმა შეძლო და ისტორიული გარღვევა მოახდინა ომის შემდგომ მსოფლიო პოლიტიკაში...“ (ჯაფარიძე 2016, 169).

საქართველოშიც განიხილავდნენ ტრამპის სამომავლო ურთიერთობას რუსეთთან. საქართველოში იმ დროს პრეზიდენტი იყო გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი –

გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი – მიხეილ ჯანელიძე. საქართველო-ამერიკას შორის 2016 წლის მანძილზე გამართულ შეხვედრებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მდივნის – ჯონ კერის ვიზიტი იყო, რომელიც ნატო-ს ვარშავის სამიტის წინ გაიმართა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო. ოქტომბრის არჩევნები თეთრმა სახლმა შეაფასა, როგორც დასტური იმისა, რომ დემოკრატიული რეფორმების კუთხით, საქართველო რეგიონში ლიდერია. თეთრი სახლის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა განაცხადა, რომ „პოლიტიკური სპექტრის ლიდერებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, როდესაც საკუთარ მხარდამჭერებს მოუწოდებდნენ თავშეკავებისკენ, რის გამოც ქართველ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, რომ თავისუფლად მიეღო გადაწყვეტილება“ (Price 2016).

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ რეზოლუციის შემუშავებაში, რომელშიც განისაზღვრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები – საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარება, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში საქართველოს აქტიური ჩართულობა, საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით რუსეთის ფედერაციასთან რაციონალური და პრინციპული პოლიტიკის გატარება, ქმედითი და დაბალანსებული რეგიონალური პოლიტიკის განხორციელება, ტრანსნაციონალურ პროექტებში ქვეყნის ჩართულობა, ეკონომიკური დიპლომატია, დიასპორებთან ურთიერთობა და საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა” (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2016). ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის საგარეო კურსი საქართველოსთვის, როგორც მისი სტრატეგიული პარტნიორისთვის, ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა.

2016 წლის დამაბული საარჩევნო კამპანია აშშ-ში კრიტიკის ფონზე მიმდინარეობდა. ორი კანდიდატი გამიზნულად ეძებდა ერთმანეთის კომპრომატებს, რათა საჯაროდ გაეკრიტიკებინა და ჩამოეცილებინა მეტოქე. ჰილარი კლინტონმა გააკრიტიკა ტრამპის უნივერსიტეტი მისი თაღლითური სტრუქტურით და ტრამპის საქველმოქმედო ფონდი (Clinton 2016).

მიგვაჩნია, რომ კლინტონის პრეზიდენტობის შანსების შემცირებას ხელი შეუწყო იმ სკანდალმაც, რაც დაკავშირებული იყო მისი ელ-ფოსტით ოფიციალური წერილებისა და გასაიდუმლოებული ინფორმაციის გაგზავნის ბრალდებასთან. როცა ჰილარი კლინტონი სახელმწიფო მდივნის პოზიციაზე იყო, ფედერალურმა სამსახურმა აღმოაჩინა, რომ მან პირადი ფოსტით, დაახლოებით, 14.9 ათასი ელექტრონული წერილი გააგზავნა, რომლის ნაწილი კლინტონის პროფესიულ საქმიანობასთან იყო კავშირში და არ იყო პირადული მიმოწერა (FBI 2016).

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რუსეთის ჩარევა არჩევნებში. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო შეფასების მიხედვით, რუსეთის მხრიდან ჩარევა მოხდა აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რათა დონალდ ტრამპს გამარჯვებაში დახმარებოდა (Washington Post 2016). გამოცემის თანახმად, ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ (CIA) დაადგინა იმ პირების ვინაობა, რომლებსაც რუსეთის მთავრობასთან ჰქონდათ კავშირი და „ვიკილიქს“ (ორგანიზაციას, რომელიც ანონიმური წყაროებიდან მოპოვებულ, ხშირად – საიდუმლო დოკუმენტებს აქვეყნებს) ათასობით ელექტრონული შეტყობინება მიაწოდეს დემოკრატიული პარტიის სერვერის გატეხვის შედეგად. გამოცემა თანამდებობის პირებზე დაყრდნობით წერს, რომ ეს ფაქტი უფრო ფართომასშტაბიანი რუსული ოპერაციის ნაწილი იყო, რათა ტრამპის გამარჯვებისთვის ხელი შეეწყოთ და კლინტონის პრეზიდენტობის შანსები შეემცირებინათ (Washington Post 2016).

ტრამპი რუსეთთან კავშირს უარყოფდა. ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურების მაღალჩინოსნები კი მიიჩნევენ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი პირადად ხელმძღვანელობდა კიბერთავდასხმებს, რომლებიც ამერიკის

შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების დროს განხორციელდა. ეს იყო შურისძიება ჰილარი კლინტონზე“ (NBC 2016).

მედიასაშუალებამ ექსკლუზიურად მოიპოვა ინფორმაცია აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსნებისგან.

2016 წლის დეკემბერში აშშ-ის სპეცსამსახურებმა მოამზადეს სპეციალური ანგარიში ამერიკულ არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ, რის შემდეგაც კონგრესის სამმა კომიტეტმა და სპეციალურმა პროკურორმა, FBI-ის ყოფილმა დირექტორმა რობერტ მიულერმა საქმის გამოძიება დაიწყეს. „სიენენმა“ (CNN) და „ნიუ იორკ თაიმსმა“ (New York Times) კი ბევრი მასალა გაავრცელეს, რომლებშიც ტრამპი რუსეთის ჯაშუშად წარადგინეს. რუსულ საქმეზე გამოძიება ასე დასრულდა: „დასკვნის მიხედვით, არ იკვეთება შეთქმულებისა თუ კონსპირაციის არც ერთი ფაქტი. აგრეთვე, არ დგინდება ტრამპისა და მისი გარემოცვის რომელიმე წევრის მხრიდან სახელმწიფოს ღალატის არც ერთი შემთხვევა“ (U.S. Department of Justice, Mueller 2019). საქმის გამომძიებელი სპეცპროკურორი რობერტ მიულერი თანამდებობიდან გადადგა.

დონალდ ტრამპი პირველი პრეზიდენტია, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ პოლიტიკურ სისტემაში მუშაობის გამოცდილება არ გააჩნდა. არჩევნებამდე „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა: „თუ ის მოიგებს, ის მსოფლიო ეკონომიკას დაანგრევს“ (Washington Post 2016).

ბევრი ნეგატიური განცხადება გაკეთდა წინასაარჩევნო პერიოდში, ბევრი ექსპერტის შეფასება იყო უარყოფითი, ბევრს საერთოდ არ სჯეროდა მისი გამარჯვების.

საინტერესოა ამერიკაში საქართველოს პირველი ელჩის – თედო ჯაფარიძის აზრი ტრამპსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე. მისი აზრით, პირველად ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში თეთრ სახლში მოვიდა ანტიისტებლიშმენტის წარმომადგენელი, რომელსაც აღიზიანებდა ვაშინგტონის ბიუროკრატია. ტრამპმა პოლიტიკაში ექსცენტრიზმი შემოიტანა და ბევრი მომხრეც მოიზიდა. დღესაც ამერიკა გაყოფილია „ტრამპისტებად“ და „ანტიტრამპისტებად“. ტრამპის ადმინისტრაციისთვის საქართველოსადმი პოლიტიკა დიდად პრიორიტეტული არ იყო. ის უფრო ინერციული ხასიათის იყო. ინერციის შლეიფი გამოჰყვა ობამადან, რომელსაც დახვდა ჩაშლილი

პოლიტიკა რუსეთთან. მიუხედავად მისი გადატვირთვის პოლიტიკისა, არაფერი შეცვალა და ტრამპმაც გადმოიბარა ეს პოლიტიკური მდგომარეობა (ჯაფარიძე 2023).

ტრამპის სკანდალური და ხშირად მკაცრი განცხადებების გამო, მსოფლიოს არაერთ კუთხეში შეშფოთება ბევრჯერ გამოთქვეს. რაც არ უნდა კარგი და ქვეყნისთვის სასარგებლო იდეების განხორციელების სურვილი ჰქონდეს ლიდერს, ტრამპის ტონი, უხეში სიტყვები და არადიპლომატიური მიდგომები ბევრი ქვეყნის მეთაურისთვის, უბრალოდ, მიუღებელი იყო. როგორც ფრენსის ფუკუიამა წერს თავის წიგნში: „ტრამპის ძირითადი მიზანი თვითრეკლამა იყო, რომლის მისაღწევად ის არც უწესო თამაშს მორიდებია“ (ფუკუიამა 2018).

როგორც ჯეიმს ბეიკერმა, აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჯაფარიძესთან პირად საუბრებში აღნიშნა: „ჩვენ ვთვლით, რომ ამერიკის უსაფრთხოების და სტაბილურობის ინტერესებშია, რომ მსოფლიოში რაც შეიძლება მეტი იყოს სტაბილურობისა და დემოკრატიის კლასტერები, რომლებიც რაც შეიძლება შორს უნდა იყონ ამერიკიდან და მათი დისტანციაზე ყოფნა არის გარანტია იმის, რომ ამერიკაც სტაბილურია“ (ბეიკერი 2017).

როგორც ვხედავთ, ტრამპის საარჩევნო კამპანია გამოირჩეოდა მისი არაორდინალური გამოსვლებითა და პროგრამით, რასაც თან ახლდა მთავარი ოპონენტის, ჰილარი კლინტონის მწვავე კრიტიკა და ბრალდებები. პირველად ამერიკის ისტორიაში საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო კანდიდატმა, რომელსაც არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნდა და თეთრ სახლში მოვიდა როგორც ანტიისტებლიშმენტის წარმომადგენელი. ტრამპის ადმინისტრაციის პირველივე წელს ბევრი პოლიტიკური ნაბიჯი გადაიდგა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში და მისი სურვილი, ურთიერთობა მოეგვარებინა ვლადიმერ პუტინთან.

მაშინ აზიაში ჩინეთის გაძლიერების, რუსეთის ამბიციების, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებისა და ყველა თანმდევი პრობლემის გათვალისწინებით, ძალიან რთული იყო იმის თქმა, თუ როგორი იქნებოდა ტრამპის პრეზიდენტობით თეთრი სახლის

როლი მსოფლიოში და საგარეო პოლიტიკაში გამოუცდელი ლიდერი რამდენად ჩაეროდა გლობალურ საკითხებში (Steff 2020).

აქვე აღვნიშნოთ ტრამპის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, „მშვიდობა ძალის მეშვეობით“ (Peace through Strength). ტრამპმა საარჩევნო კამპანიის დროს თქვა, რომ მისი, როგორც პრეზიდენტის პირველი ნაბიჯი იქნება ყველაფრის გაუქმება, რაც გააკეთა ობამამ. მან გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი შტატების ძალაუფლების გაძლიერების აუცილებლობის გამო.

სამეცნიერო ნაშრომში „ტრამპის საგარეო პოლიტიკის კურსი: პრობლემები და პრესპექტივები“ (Внешнеполитический курс Д. Трампа: проблемы и перспективы) ავტორი წერს, რომ ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზნები იყო სწორი ურთიერთობა მოწინააღმდეგებთან, რომლებიც პირობითად შეიძლება გავყოთ ასე:

1. აგრესიული პოლიტიკური აქტორები (რუსეთი და ჩინეთი);
2. „თაღლითი“ სახელმწიფოები (ირანი და ჩრდილოეთ კორეა);
3. ჯიჰადისტური ტერორისტული ჯგუფები (Василькин 2018).

მთავარი ყურადღება ექცევა ჩინეთს და რუსეთს, რადგან ისინი ეჭვქვეშ აყენებენ აშშ-ს გლობალურ ინტერესებსა და ღირებულებებს.

ძირითადი საფრთხეები, რომლებიც მოდის რუსეთისა და ჩინეთიდან, მოიცავს:

- აშშ-ს გავლენის შემცირება ევროპასა და აზია-წყნარ ოკეანის რეგიონში;
- ენერგეტიკის, სამხედრო, სამრეწველო და სხვა სფეროებში აშშ-ის ეკონომიკის დასუსტების მცდელობა;
- საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება მედიის, ინტერნეტისა და სხვა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით;
- კიბერარაღის გამოყენება სხვა ქვეყნების სუვერენიტეტში ჩარევისთვის;
- სამხედრო ძალაუფლების აქტიური ზრდა.



საფრთხეები ირანიდან და ჩრდილოეთ კორეიდან:

- არადემოკრატიული რეჟიმები;
- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების, განვითარებისა და გამოყენების საფრთხე;
- ტერორიზმის დახმარება.

ჯიჰადისტური ტერორისტული ჯგუფების ტრანსნაციონალური საფრთხეები:

- ტერორისტული საფრთხის გავრცელება;
- მსოფლიო წესრიგის დარღვევა;
- ტერორისტული თავდასხმების საფრთხე.

ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრამპის ადმინისტრაციის სტრატეგიას აქვს უფრო რეალური და პრაგმატული შეხედულება, ვიდრე ობამას კონცეფცია. ის ნათლად განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის ძირითად საფრთხეებს. ეს სტრატეგია ბრძოლას მოითხოვს მრავალპოლარულ სამყაროსთან, რომელიც ემუქრება აშშ-ს ლიდერობის დაკარგვით.

ამდენად, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია არის შეერთებული შტატების მთავარი საგარეო პოლიტიკის დოკუმენტი. ის მოიცავს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საფრთხეებს და მიზნებს.

## 1.2. ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში

საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომელიც საკმაოდ არასტაბილურ რეგიონში მდებარეობს, მნიშვნელოვანია შტატების საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში. ამიტომაც კვლევის ამ ეტაპზე საჭირო იყო შემდეგი საკითხების შესწავლა: როგორი მოლოდინებით დაიწყეს ურთიერთობა ახალ ადმინისტრაციასთან აზერბაიჯანმა და სომხეთმა, რა ინტერესები ჰქონდათ მათ. როგორ განვითარდა თანამშრომლობა თურქეთთან, უკრაინასთან და რუსეთთან.

2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს, დონალდ ტრამპზე ხშირად წერდნენ, რომ მას აქვს ანტიისლამური რიტორიკა (Washington Post 2016). მიუხედავად ამისა, გაპრეზიდენტებიდან მალევე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა მას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ახალარჩეულ პრეზიდენტს მალე შეხვდებოდა (ალიევი 2016).

ბარაქ ობამას პრეზიდენტობის დროს აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების ერთი ნაწილისთვის მიუღებელი იყო შეერთებული შტატების პოზიცია ყარაბაღის კონფლიქტზე და თვლიდა, რომ სომხური ლობის გავლენა ამ საკითხზე საკმაოდ დიდი იყო. ე.წ. მინსკის ჯგუფის ფორმატის ფარგლებში აზერბაიჯანული მხარე დიდი ხანია, რაც უკმაყოფილო იყო პრეზიდენტ ბარაქ ობამას მიერ დანიშნული ექსპერტის – ჯეიმს უორლიკის განცხადებებით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ოფიციალურ ბაქოს ახალი ადმინისტრაციის მხრიდან მინსკის ჯგუფის ფორმატში უფრო მეტი აქტიურობის იმედი ჰქონდა.

გარდა ამისა, წინა ადმინისტრაცია აზერბაიჯანს ხშირად უთითებდა ადამიანის უფლებების შელახვაზე, თავისუფალი სიტყვისა და ჟურნალისტების დევნაზე. აზერბაიჯანში თვლიან, რომ ეს ყველაფერი მათ ურთიერთობაზე დასავლეთთან უარყოფითად აისახება. გარდა ამისა, აზერბაიჯანულ პოლიტიკურ ელიტაში იმედს გამოთქვამდნენ, რომ შესაძლოა პრეზიდენტ ტრამპს, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში უფრო აქტიური როლი შეესრულებინა (Embassy of the Republic of Azerbaijan to the United States of America).

აზერბაიჯანი, რომელიც მდებარეობს ირანსა და რუსეთს შორის, თურქეთის დიდი ხნის პარტნიორი და ირანის მოწინააღმდეგეა. გარდა ამისა, ოფიციალურ ბაქოს საკმაოდ მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო ურთიერთობები აკავშირებს საუდის არაბეთთან და ისრაელთან. მეორე მხრივ, ისრაელიც და საუდის არაბეთიც შტატების პარტნიორი ქვეყნები არიან.

აზერბაიჯანს დიდი ხანია რუსეთის ფედერაციასა და შეერთებულ შტატებს შორის გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში ე.წ. „ოქროს შუალედი“ უჭირავს. ასევე, პრეზიდენტი ილხამ ალიევი ამყობს, რომ მის ქვეყანაში რელიგიური ნიშნით არავინ იღვევება. აზერბაიჯანს, როგორც ნავთობითა და გაზით მდიდარ ქვეყანას, კასპიის ზღვისა და კავკასიის რეგიონში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მიწოდების უსაფრთხოებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია. აზერბაიჯანმა დიდი ხანია ბუნებრივი რესურსებით შტატები, ევროკავშირი და შუა აზიის ქვეყნების ნაწილი დააინტერესა (ალიევი 2018).

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ შტატებისა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა გრძელვადიან პერსპექტივაში საეჭვოა. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ოფიციალური ბაქო არ აპირებს კრემლი დასავლეთთან მჭიდრო კავშირის გამო გაანაწყენოს და არც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ღირებულებების დაცვით არის დაინტერესებული. დიდი ხანია, რაც რუსეთის ფედერაცია, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის წყალობით, აზერბაიჯანსა და სომხეთს თავისუფალი არჩევანის საშუალებას არ უტოვებს და კავკასიაშიც „მთავარი პოლიციელის“ როლს კარგად თამაშობს.

კრემლს არაერთხელ განუცხადებია, რომ რუსეთი მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეა სამხრეთ კავკასიაში და დასავლეთისთვის თავისი ძალაც არაერთხელ უჩვენებია. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ რამდენიმე წელიწადში აზერბაიჯანის ნავთობის მარაგი შესაძლოა, უბრალოდ, გამოილიოს. 2011 წლიდან, ნავთობის მოპოვების კუთხით, კლებადი სტატისტიკაა. აზერბაიჯანი უკვე აქტიურად მუშაობს, რომ მსოფლიოს ბაზარზე აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი განხორციელდეს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზიც ამოწურვადია (CEIC Data 2021).

რაც შეეხება შეერთებული შტატების ინტერესებს აზერბაიჯანში, ბუნებრივია, ვაშინგტონისთვის ბაქო მნიშვნელოვანი პარტნიორია კავკასიაში. შტატებისთვის, ისევე,

როგორც ევროპისთვის, აზერბაიჯანი გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა, რომლის წყალობითაც შესაძლებელია ბუნებრივი რესურსებით ევროპის დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე მაქსიმალურად შემცირდეს. ოფიციალური ვაშინგტონისთვის მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ აზერბაიჯანი 25%-ით უზრუნველყოფს ისრაელს ნავთობით და საქართველოს ეკონომიკაშიც, როგორც ნომერ პირველ პარტნიორთან კავკასიაში, დიდ როლს თამაშობს. შტატებისთვის ახლო აღმოსავლეთში აზერბაიჯანისა და ისრაელის თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია რეგიონის უსაფრთხოების კუთხით.

შტატებს არც ის ავიწყდება, რომ აზერბაიჯანი იმ მცირე რაოდენობის მუსულმანურ ქვეყნებს შორის იყო, რომლებმაც მის სამხედრო კამპანიას ერაცა და ავღანეთში მხარი დაუჭირეს (Embassy of the Republic of Azerbaijan to the United States of America 2008). 2011 წლიდან აზერბაიჯანი ამერიკელ სამხედროებს ავღანეთში საკვებითა და საწვავით უზრუნველყოფდა.

გარდა ამისა, ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, ვაშინგტონისთვის აზერბაიჯანის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხი არის და ეს მომავალშიც ასე უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან ყოველწლიურად საუდის არაბეთიდან ბაქოს და რეგიონის სხვა ქვეყნებსაც არაერთი ტურისტი სტუმრობს. ექსპერტების შეხედულებით, გამორიცხული არაა რადიკალი ექსტრემისტების სამიზნე მომავალში აზერბაიჯანიც გახდეს, რაც რეგიონის უსაფრთხოებაზე პირდაპირ აისახება.

უახლოეს მომავალში, უდავოა, რომ ვაშინგტონისთვის აზერბაიჯანი გეოპოლიტიკურად კვლავ მიმზიდველი ქვეყანა იქნება, თუმცა ორივე მათგანს მოცემულ ვითარებაში დიპლომატიური ურთიერთობების ლიმიტი კარგად ესმის. აზერბაიჯანი ახლო მომავალში არ აპირებს რომელიმე სამხედრო ალიანსის წევრი გახდეს; საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე ისიც ნათელია, რომ რუსეთის ფედერაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში „პოლიტიკურ ნაღმს“ – ტერიტორიული მთლიანობის სახით – ძალიან მოქნილად იყენებს.

აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანი, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო, საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს და ცდილობს, მოცემულ ვითარებაში არც დასავლეთი და, მით უმეტეს, არც კრემლი არ გაანაწყენოს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ ის, სამხრეთის გაზის

კორიდორის ფარგლებში, ამ პროექტის უსაფრთხოებისთვის, შტატების მეტ ჩართულობას მიესალმება.

რაც შეეხება დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკას აზერბაიჯანთან მიმართებაში, მას, დემოკრატიისა და სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარების კუთხით, აზერბაიჯანი ნამდვილად არ აინტერესებდა. ამიტომ ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა ისევ და ისევ ენერგეტიკის სფეროს ფარგლებში იყო მოსალოდნელი და მომავალში შეიძლება დიდი ცვლილება სულაც არ განიცადოს.

საეჭვოა ის მოლოდინიც, რომ ვაშინგტონი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრაში უფრო აქტიურად ჩაერთვება ან აზერბაიჯანის დემოკრატიის პრობლემებით უფრო ღრმად დაინტერესდება. შეერთებული შტატებისა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ენერგორესურსების სფეროში, ბუნებრივია, გაგრძელდება. თუმცა პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის საქმიანობის პირველ ეტაპზე პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებისკენ გადადგმული რაიმე კონკრეტული ნაბიჯები პოლიტიკურ ჰორიზონტზე არ გამოჩენილა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო კამპანიას სომხური მედია დიდი ინტერესით აკვირდებოდა. სომხეთის ხელისუფლებას შეერთებული შტატების არაერთი პრეზიდენტისგან ჰქონდა იმის იმედი და მოლოდინი, რომ მათ ეყოფოდათ ძალა და გამბედაობა იმისა, რომ ეღიარებინათ სომხების გენოციდი ოსმალეთის იმპერიის მხრიდან. თუმცა, ბუნებრივია, ისედაც დამაბულ ამერიკულ-თურქულ ურთიერთობებში ამ ნაბიჯის გადადგმა, პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. მეტიც, სომხური მედიაც, აზერბაიჯანულის მსგავსად, იმედს გამოთქვამდა, რომ სამხრეთ კავკასიაში პრეზიდენტი ტრამპი არსებული „პოლიტიკური თამაშის“ წესებს მათ სასარგებლოდ შეცვლიდა.

პრეზიდენტ ტრამპს წინასაარჩევნო პერიოდში ამ საკითხზე სიტყვაც არ დასცდენია. სომხების ერთ ნაწილს კი დიდი ხანია აღელვებს ის საკითხი, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს და საზღვარიც ჩაკეტილია, რაც სომხეთს მთელ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს ციურიხში თურქეთისა და სომხეთის მთავრობები დიპლომატიური ურთიერთობების

აღდგენაზე მსჯელობდნენ, მხარეებმა საბოლოოდ კონსენსუსს ვერ მიაღწიეს. ოფიციალური ვაშინგტონი ამ ეტაპზე აქტიურად არც სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებით არის დაინტერესებული.

პრეზიდენტი ტრამპი, ისევე როგორც შტატების წინამორბედი პრეზიდენტები, სომხების გენოციდის დღისადმი მიძღვნილ ოფიციალურ განცხადებაში სიტყვა „გენოციდს“ არ ახსენებს, რაც კიდევ ერთ უკმაყოფილებას იწვევს სომხებში (BBC News 2017). მათთვის მიუღებელია შეერთებული შტატების „არ განაწყენების“ პოლიტიკა თურქეთის ხელისუფლების მიმართ, სომხეთის ინტერესების ხარჯზე.

სომხეთი, რომელიც ევრაზიული კავშირის წევრი ქვეყანაა, დიდი ხანია კავკასიაში კრემლის „პოლიტიკური მძევალია“ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო. ძალთა გადანაწილება კი შემდეგია: რუსეთის ფედერაცია-ირანი-სომხეთი, რომლებიც თავის მხრივ გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეებად აღიქმებიან თურქეთის-აზერბაიჯანის-საქართველოს წინააღმდეგ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შტატები და ისრაელი კრემლის მოწინააღმდეგე ჯგუფთან უფრო მეტად თანამშრომლობენ.

სომხეთს რეგიონში კიდევ ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მისიას აკისრებენ. ანალიტიკოსების აზრით, ოფიციალურ ერევანს შეუძლია ირანსა და ევროპას შორის შუამავლის როლი შეასრულოს და ამით პოლიტიკური სარგებელიც ნახოს. სომხეთი უკვე დიდი ხანია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესში მთავარ როლს რუსეთის ფედერაციას აკისრებს. უფრო მეტიც, კრემლის გავლენა სომხეთის ოფიციალურ გადაწყვეტილებებზე მაქსიმალურად გაიზარდა. სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიიდან, რომელიც ევრაზიის კავშირის წევრი გახდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრემლს სამხედრო თვალსაზრისითაც უდიდესი ძალა აქვს სომხეთში სამხედრო ბაზის ფლობით.

ამ პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ტრამპი აცხადებს, რომ ის საშინაო პოლიტიკაზე უფრო მეტად იზრუნებს, სავარაუდოდ, სომხეთში შეერთებული შტატების გავლენის ზრდას ის ნაკლებ დროს დაუთმობს. მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიაში სომხეთი მის გეოპოლიტიკურ ინტერესებში არ შედის აზერბაიჯანის მაგალითის მსგავსად.

სომხეთის შემთხვევაშიც, პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის, პრეზიდენტ ტრამპს რაიმე სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს.

მიგვაჩნია, რომ ტრამპის დიდი გამარჯვება იყო სხვადასხვა ქვეყნის ციხეებიდან ასი ამერიკელი მძევლის გათავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება. ყველაზე სკანდალური აქედან ენდრიუ ბრანსონის (Andrew Brunson) საქმე იყო. ის 2016 წელს დააკავეს თურქეთში, სადაც ეკლესიის მსახურად მუშაობდა იზმირში.

ენდრიუ ბრანსონი იმ ხალხის სიაში მოხდა, რომლებიც თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მასობრივი დაკავებისა და დეპორტაციის დროს ბრანსონი, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ციხეში ჩასვეს ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირისა და ქურთისტანის მშრომელთა პარტიის მხარდაჭერის ბრალდებით. ტრამპი პირადად იყო ჩართული ამ საქმეში და მოითხოვა მისი გათავისუფლება. თურქეთის პრეზიდენტმა კი საპასუხოდ მოითხოვა თავისი მოქალაქის ებრუ ოზკანის გათავისუფლება ისრაელის ციხიდან. მიუხედავად იმისა, რომ ოზკანი ტერორიზმთან თანამშრომლობის ბრალდებით იყო დაპატიმრებული, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბრძანებით ის გაათავისუფლეს, ერდოღანმა კი ბრანსონი ციხეში დატოვა.

სწორედ მაშინ დაიძაბა ორ პრეზიდენტს შორის ურთიერთობა, რადგან ტრამპი სანქციებზე გადავიდა. ამერიკის სანქციებს სანქციებით უპასუხა თურქეთის პრეზიდენტმა, სანამ თურქეთის ვალუტა საგრძნობლად გაუფასურდა. ბოლოს, თურქეთის სასამართლოდან გათავისუფლებული ბრანსონი 24 საათში თეთრ სახლში პრეზიდენტთან შეხვედრაზე მივიდა (BBC 2018). ვფიქრობთ, როგორც წარმატებულ ბიზნესმენს, ტრამპს ძალიან კარგად ეხერხება სარფიანი გარიგება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ – მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არის ნატო-ს წევრი ქვეყანა, მისი პრეზიდენტი ხშირად, ზოგიერთ საკითხში, უპირისპირდებოდა ამერიკას და ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა გართულდა, რაც რუსეთისთვის მომგებიანი და მიმზიდველი აღმოჩნდა. ამავდროულად, თურქეთის დაახლოება რუსეთთან შეიძლება სახიფათო ყოფილიყო საქართველოსთვის; ვინაიდან თურქეთის თანამშრომლობა ამერიკის

შეერთებულ შტატებთან სუსტდება, შტატებისთვის საქართველო რჩება ერთადერთ სტრატეგიულ მოკავშირედ რეგიონში.

მიგვაჩნია, რომ ამერიკის საგარეო კურსი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მით უმეტეს, როცა ეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეხება. აღსანიშნავია ტრამპის ადმინისტრაციის დამოკიდებულება უკრაინის მიმართ.

უნდა გავიხსენოთ პრეზიდენტ ტრამპის შეფასება რუსეთის აგრესიული ქმედებებზე, რაც ყირიმის ანექსიით დასრულდა: „მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კომუნისტური საშინაობა წარსულს ჩაბარდა, ჩვენი სიმტკიცე ახალი საფრთხეების წინაშე დგას. რუსეთი მიმართავს მავნებლურ ზომებს, რათა ექვეყნებოთ დააყენოს ამერიკის ერთგულება ევროპის მიმართ, ძირი გამოუთხაროს ტრანსატლანტიკურ ერთიანობას და შეასუსტოს ევროპული ინსტიტუტები და მთავრობები. საქართველოსა და უკრაინაში შეჭრით რუსეთმა აჩვენა, რომ სურს დაარღვიოს ამ რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტი. რუსეთი აგრძელებს მეზობელი ქვეყნების დაშინებას ისეთი საფრთხის შემცველი ქმედებებით, როგორებიც არის ბირთვული იარაღით პოზიცირება და შეტევითი ხასიათის შეიარაღების განთავსება“ (Trump 2017).

თეთრი სახლის პრესსპიკერის შონ სპაისერის განცხადებით, რუსეთმა ყირიმი ობამას პრეზიდენტობის პერიოდში „მიიტაცა“ (Spicer 2017), ხოლო გაერო-ში ტრამპის მიერ დანიშნულმა აშშ-ის ელჩმა ნიკი ჰეილიმ „რუსეთის ოკუპაცია მკაცრად გააკიცხა“. „პრეზიდენტმა ტრამპმა ძალიან მკაფიოდ აღნიშნა, რომ ის ელოდება, რუსეთი მოახდენს ძალადობის დეესკალაციას უკრაინაში და დააბრუნებს ყირიმს“, ამავდროულად აშშ-ის პრეზიდენტი ელოდება და მას სურს, რომ რუსეთთან მშვიდი ურთიერთობა ჰქონდეს.“ ნიკი ჰეილიმ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ „ყირიმი უკრაინის ნაწილია და ყირიმთან დაკავშირებული რუსეთის წინააღმდეგ ამერიკის სანქციები იქამდე შენარჩუნდება, ვიდრე რუსეთი ნახევარკუნძულზე დამყარებულ კონტროლს უკრაინას არ დაუბრუნებს“ (Haley 2017).

სამწუხაროდ, ეს არ მოხდა და მალევე გაერო-ში რუსეთის მუდმივმოქმედმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა აღნიშნა, რომ ყირიმის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა



რუსეთთან მიერთებას დაუჭირა მხარი: „ყირიმელებმა თავიანთი ნება რეფერენდუმზე გამოხატეს“ (Чуркин 2017).

მოგვიანებით, 2019 წელს, ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ უკრაინას სამხედრო სფეროში დახმარების სახით 250 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო. როგორც უკრაინის მხარემ განაცხადა, ეს დახმარება ქვეყნის სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებისა და რუსული აგრესიის საკონტროლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. „მე გულწრფელად მადლობელი ვარ დონალდ ტრამპის სამართლიანი გადაწყვეტილებისა, მხარი დაუჭიროს უკრაინას თავიუსფლებისა და დემოკრატიის დაცვაში. ვაშინგტონმა არა მხოლოდ შეასრულა ჩვენი ერთობლივი შეთანხმება, არამედ აჩვენა ლიდერობის მნიშვნელოვანი მაგალითი“ (პოროშენკო 2019).

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი იყო ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. ტრამპმა ბევრჯერ ახსენა თავის გამოსვლებში, რომ მოაგვარებს რუსეთთან ურთიერთობას. ცხადია, ეს, გარკვეულწილად, შეიძლება სახიფათო ყოფილიყო საქართველოსთვის. ისტორიამ არაერთხელ გვაჩვენა, რომ ხშირად ასეთი აქტიური პოლიტიკური ფიგურები ცვლიან პოლიტიკურ ამინდს.

ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მოვლენად, ალბათ, უნდა დავასახელოთ ტრამპის შეხვედრები პუტინთან. ცხადია, ამერიკის პრეზიდენტისთვის რუსეთთან პოლიტიკა თავიდანვე განსაზღვრული უნდა იყოს.

2017 წლის ივლისში ტრამპი, პრეზიდენტის რანგში, პირველად ესაუბრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს გერმანიაში. შეხვედრა, რომელიც დაახლოებით, ორი საათი გაგრძელდა, იყო დახურული და მას მხოლოდ ორი ქვეყნის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრები და თარჯიმნები ესწრებოდნენ. შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტებმა არ დააკონკრეტეს საუბრის თემატიკა და მხოლოდ ბუნდოვანი კომენტარებით შემოიფარგლნენ.

მოგვიანებით, ოფიციალურ ვახშამზე, მათ ისევ ჰქონდათ საუბრის შესაძლებლობა. როგორც ჟურნალისტებთან ბატონმა ტილერსონმა განაცხადა, პრეზიდენტებმა მიმოიხილეს ყველა საკითხი სირიის და უკრაინის ჩათვლით (Tillerson 2017). ამას მოჰყვა

ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში რუსეთის მონაწილეობა-არმონაწილეობის თემის განხილვა.

2017 წლის ნოემბერში ორი ქვეყნის ლიდერი, ერთი საათით, არაოფიციალურად, შეხვდა ერთმანეთს „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის“ სამიტზე ვიეტნამში. ტრამპის თქმით, მათ ისაუბრეს რუსეთის ჩარევაზე არჩევნებში, რაც რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ უარყო. მაშინ სწრაფად გავრცელდა ტრამპის ნათქვამი, რომ მას პუტინის უფრო სჯერა, ვიდრე ამერიკის დაზვერვის (Trump 2017).

ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების პირველი ოფიციალური შეხვედრა 2018 წელს ჰელსინკიში გაიმართა. თეთრი სახლის განცხადებით, ლიდერები განიხილავდნენ, ძირითადად, უსაფრთხოების საკითხებს. მაშინ ტრამპი რუსეთის „დიდ რვიანში“ დაბრუნების ინიციატივით გამოვიდა, რომელიც, რუსეთის გაძევების შემდეგ (რაც ყირიმის ანექსიით იყო გამოწვეული), „დიდ შვიდიანად“ გადაიქცა.

ამ შეხვედრის დეტალებს იხსენებს დიპლომატი თედო ჯაფარიძე. მისი აზრით, ტრამპს ეგონა, რომ მოახერხებდა პუტინთან ურთიერთობების აწყობას. მისი რიტორიკა, რომ უნდა გააუმჯობესოს ურთიერთობა და მოელაპარაკოს რუსეთს, მაშინ საკმაოდ სახიფათო იყო საქართველოსთვის: „ჩვენ არ გვსურდა მოვყოლოდით ამ გარიგებაში, ჩვენ გვინდოდა ჩვენი პოზიციის დამყარება“. როგორც ბატონი თედო იხსენებს, პუტინისა და ტრამპის შეხვედრამდე, საქართველოდან წერილი გაიგზავნა პომპეოს სახელზე, რომელშიც ჩვენ მივესალმეთ ჰელსინკიში შეხვედრას და რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობას. თუმცა დონალდ ტრამპს უფრო დიდი დღის წესრიგი ჰქონდა და, ალბათ, ის ერიდებოდა რუსეთის ღია გაღიზიანებას. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ტრამპი პუტინთან პირადად, შიდა საუბრებში, განიხილავდა სამხრეთ კავკასიის საკითხს. ნაკლებად აქტიურებულ რუსეთთან ამერიკელებისთვის უფრო ადვილი იქნებოდა ჩვენს თემებზე საუბარი. როგორც დიპლომატმა გვითხრა ინტერვიუს დროს, „რუსეთი და ამერიკა, ვინც არ უნდა იყოს ამერიკის პრეზიდენტი, ვერასდროს მორიგდებიან, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ ცალკეულ საკითხებზე შეთანხმდნენ, ამიტომ საქართველოსთვის მთავარი იყო „ღობის სწორ მხარეს ყოფნა“ (ჯაფარიძე 2023).

თუ გადავხედავთ ისტორიულ მოვლენებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვნახავთ, რომ ეკონომიკურად დასუსტებული რუსეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის გავლენას რეგიონში. მისი ურთიერთობა შტატებთან სტრუქტურულად შეიცვალა. თუმცა ცივი ომის დასრულების მერე, ისევ გამოჩნდა უთანხმოების საგანი და ეს ნატო-ს გაფართოების გეგმა იყო. 2004 წელს უკვე ბალტიისპირეთის ქვეყნები გახდნენ ნატო-ს წევრები, 2008 წელს ბუქარესტის სამიტმა უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების დაპირება გააჟღერა. „დღეს, ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო და უკრაინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები გახდებიან“ (ბაქრაძე 2008). რასაკვირველია, ამან გამოიწვია რუსეთის აგრესია და გაზარდა რეგიონში გავლენების თითქმის სრული დაკარგვის ალბათობა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ გავლენიან და ძლიერ ქვეყანას, აქვს საერთაშორისო პრობლემები, რომლებსაც სჭირდება დროული გადაჭრა. მისი ურთიერთობა მსოფლიოს ქვეყნებთან განსხვავებულია. აქ შეგვიძლია გამოვყოთ ის სახელმწიფოები, რომლებიც გლობალურ საკითხებში ამერიკის წინააღმდეგ გამოდიან, ვინაიდან მის ჰეგემონიას არ ეთანხმებიან; მაგალითად, ჩინეთი და რუსეთი და ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებას დიდ საფრთხეს უქმნიან, მაგალითად – ირანი და ჩრდილოეთ კორეა. თუმცა ამერიკა იმასაც აცხადებს, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს ევროპისთვის და არგუმენტად მოჰყავს რუსეთის გააქტიურებული სამხედრო მანევრები, ბირთვული შეიარაღების მოდერნიზაცია და ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენება. და, რაც მთავარია, ის ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს რუსეთის მიერ უკრაინასა და საქართველოში ინტერვენციებს, რაც ამ ორი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შელახვაა.

შეერთებული შტატებისთვის სამხრეთ კავკასია, ბუნებრივია, პოლიტიკურად აქტუალური რეგიონია, თუმცა აქ შტატებს სტაბილურად თანაბარი გავლენა არ აქვს. საქართველო, როგორც პრიორიტეტი აშშ-ის მრავალფეროვან საგარეო პოლიტიკაში, ფაქტობრივად, არ ჩანდა, მაგრამ საუბრების თემა მუდმივად იყო. შტატების ნომერ პირველი პარტნიორი და გეოპოლიტიკური მოკავშირე საქართველოა, რომელიც დიდი ხანია ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის იბრძვის.

აზერბაიჯანსა და სომხეთს ამ დრომდე მკაფიოდ გამოხატული პროდასავლური კურსი არ აქვთ.

ბუნებრივია, აზერბაიჯანი დასავლეთის მნიშვნელოვანი პარტნიორია ენერგეტიკულ სფეროში, თუმცა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის წყალობით, კრემლს ოფიციალურ ბაქოზე კვლავ დიდი გავლენა აქვს. რუსეთის ფედერაცია, რომელიც რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტიად აცხადებს თავს, ბუნებრივია, სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშის ახალ წესებს არ დაუშვებს. რაც შეეხება სომხეთს, მის შემთხვევაშიც ნათელია, რომ ის შტატების პოლიტიკური დასაყრდენი კავკასიაში ყველაზე ნაკლებად არის.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რატომ არის გამორჩეული საქართველო-შტატების ურთიერთობები და რატომაც გაღრმავდა ის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის პირობებში. ბუნებრივია, ვაშინგტონსა და მის ახალ ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ დემოკრატიისა და სამოქალაქო ინსტიტუტების გაძლიერების გარეშე საქართველოსთან პარტნიორობა გართულდებოდა; ანალოგიურად – მთლიანად სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით. სამხრეთ კავკასია შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მონაწილეობის გარეშე არასდროს იქნება უსაფრთხო. დასავლეთის ჩართულობა არა კეთილგანწყობის, არამედ თანამშრომლობის გამოხატულება უნდა იყოს.

როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის ამბებმა დაგვანახა, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ვაკუუმის პირობებში არსებობენ ძალები, რომლებიც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ნაკლებობას საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენებენ. ამ მხრივ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ კვლავინდებურად დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ. არსებობს იმის რისკი, რომ სამხრეთ კავკასია, შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში, სამხედრო თუ არა, პოლიტიკური დაპირისპირების ადგილად იქცეს. სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაცია კი საფრთხეს არა მარტო რეგიონალურ, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოებასაც უქმნის.

პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციას, ასევე, კარგად ესმოდა, რომ რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის მთავარი გარანტია სწორედ ენერგოსადენების არსებობა იქნება. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკულ პროექტებში მისი როლი კვლავ დიდი და აქტიური იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ყველაზე აქტიური პოლიტიკა საქართველოსთან აქვს, რაც ბოლოდროინდელი პოლიტიკური ნაბიჯებით დადასტურდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციას მისცემს უფლებას საკუთარი აგრესიული პოლიტიკა თავისუფლად გაატაროს. რუსეთის ფედერაცია დიდი ხანია სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც ევროპაში, ცივი ომის დასრულების შემდეგ შექმნილ უსაფრთხოების მოდელის შეცვლას ცდილობს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

პრეზიდენტმა ტრამპმა კი სირიის მაგალითით, მკაფიოდ აჩვენა კრემლს, თუ რაზეა წამსვლელი საკუთარი ინტერესების დასაცავად. აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ მომავალში, თუკი რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკის წყალობით სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნება, თავისი ურყევი მოკავშირეების დასაცავად მოულოდნელი და მკაცრი პოლიტიკური ნაბიჯებიც კი გადადგას.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შტატების პოლიტიკური ურთიერთობა აზერბაიჯანთან და სომხეთთან ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში, განსაკუთრებით – თავიდან, ინერციით გაგრძელდა. ქვეყნების ინტერესები, ძირითადად, ეკონომიკის სფეროში გადაიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში თურქეთი არის ნატო-ს წევრი ქვეყანა, მისი პრეზიდენტი ცალკეულ საკითხებზე ხშირად უპირისპირდებოდა ტრამპის ადმინისტრაციას, რასაც ორი ქვეყნის ურთიერთობის გართულება მოჰყვა. რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობის მიუხედავად, დონალდ ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ გაამკაცრა სანქციები, ბევრჯერ გააკრიტიკა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა უკრაინაში, დაგმო ყირიმის ანექსია და 2019 წელს უკრაინას სამხედრო სფეროში დახმარების სახით 250 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო.

### 1.3. აშშ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა 2017 წელს

აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება შედიოდა საქართველოს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ პარტნიორის, ინტერესში. ტრამპის ინაუგურაციიდან სულ რამდენიმე დღეში, გაგრძელდა საქართველოს ოფიციალური პირების ვიზიტები აშშ-ში.

2017 წლის 9-10 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ შეხვედრები გამართა ტრამპის ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირებთან. ის შტატების სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს შეხვდა, მოგვიანებით კი – პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მაიკლ ფინს. ტილერსონი აღნიშნულ თანამდებობაზე 2017 წლის 1 თებერვალს დაინიშნა. ასე რომ, მიხეილ ჯანელიძე ერთ-ერთი პირველი უცხოელი დიპლომატი იყო, რომელსაც ტილერსონმა სახელმწიფო მდივნის სტატუსით უმასპინძლა.

მიხეილ ჯანელიძე, ასევე, შეხვდა კონგრესისა და სენატის სხვადასხვა თანამდებობის პირებს: აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბობ კორკერს, სენატის ასიგნებების კომიტეტის თავმჯდომარე ტედ ქოქრანს. შეხვედრებზე განიხილეს საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობისა და სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. რაც მთავარია, ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

ვიზიტის ფარგლებში, აგრეთვე, განხილული იყო საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მომავალი თანამშრომლობის საკითხები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები ტერიტორიული მთლიანობის კუთხით.

ნათელია, რომ შტატების ახალი ადმინისტრაციისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობა.

15 თებერვალს ჯანელიძემ ვაშინგტონში თავისი ვიზიტი შეაჯამა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, იან კელისთან. ხაზგასმით

აღინიშნა „აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის შექმნის ადრეულ ეტაპზევე ვაშინგტონში ქართული მხარის მიერ გამართული მაღალი დონის შეხვედრების მნიშვნელობა“ (ჯანელიძე 2017).

ყოველივე ეს ორ ქვეყანას შორის უკვე არსებული პარტნიორობის სიმტკიცის მაჩვენებელი იყო და გამოხატავდა თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს. შეხვედრიდან, აგრეთვე, ვიგებთ, რომ საქართველომ პოზიტიური შეფასებები და ურყევი მხარდამჭერი გზავნილები მიიღო ვაშინგტონში. ამ ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი შედეგი კი იყო მომავალი ნაბიჯების დაგეგმვა, მათ შორის – საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიით განსაზღვრული მიმართულებებით გათვალისწინებული შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები. ამგვარად, პირველმა ოფიციალურმა ვიზიტებმა წარმატებულად ჩაიარა და საქართველომ ისევ მიიღო შტატების მხარდაჭერა ბევრ საკითხში.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ოფიციალური შეხვედრები მალევე გაგრძელდა. მოგეხსენებათ, რომ 2017 წელს რუსეთის ფედერაციის აქტიურობა ცხინვალის რეგიონში უფრო გაიზარდა (მილიტარიზაცია, ბორდერიზაცია). სწორედ ეს პრობლემა წარმოადგენდა შემდეგი სამუშაო ვიზიტის ერთ-ერთ მთავარ საკითხს.

2017 წლის 20-23 მარტს, ვაშინგტონში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაცია აშშ-ის სენატორებს, კონგრესმენებსა და ანალიტიკური თუ ექსპერტული წრეების წარმომადგენლებს შეხვდა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მხარდაჭერას შტატებში არა მარტო აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არამედ საკანონმდებლო ორგანოშიც ერთხმად უცხადებენ. ამრიგად, ამ შეხვედრების მიმოხილვა და შედეგები ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

2017 წლის 20-21 მარტს მინისტრმა შეხვედრები გამართა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან ანალიტიკურ და კვლევით ცენტრებში. ის შეხვდა მარშალის ფონდის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტ დერეკ კოლეტს (Derek Chollet), აშშ-ის საერთაშორისო სწავლებისა და სტრატეგიული კვლევის ცენტრის პრეზიდენტ ჯონ ჰამრს (John Hamre), ამერიკის ახალი უსაფრთხოების ცენტრის დამფუძნებელ მიჩელ ფლორნოისა (Michelle Flournoy) და პრეზიდენტ რიჩარდ ფონტანს (Richard Fontaine). მიხეილ ჯანელიძე, ასევე,

შეხვდა ბრუკინგსის ინსტიტუტის პრეზიდენტ სტრობ ტალბოტს (Strobe Talbott), ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სტეფენ ჰედლის (Stephen Hadley). ამ შეხვედრების მთავარი თემა იყო ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების გარემოს შექმნა, ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონში საქართველოს როლის კიდევ უფრო გასაზრდელად.

კონგრესმენებთან და სენატორებთან საქართველოს საგარეო საქმის მინისტრის შეხვედრების შედეგები გვიდასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი ოფიციალური პირი იცავს საქართველოს ინტერესებს და მუდმივად გამოხატავს მტკიცე მხარდაჭერას. ვიზიტის ფარგლებში მიხეილ ჯანელიძე არკანზასის შტატის რესპუბლიკელ სენატორ კოტონს შეხვდა. მისი თქმით, შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც რეგიონში დემოკრატიის წარმატებულ მოდელს. „რაც მთავარია, მხარეებმა კიდევ ერთხელ დაგმეს რუსეთის დესტრუქციული ნაბიჯები, მათ შორის, რეგიონის მილიტარიზაცია, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვა. აგრეთვე, მათ დაგმეს ცხინვალის რეგიონში დაგეგმილი ე.წ. რეფერენდუმი“ (Cotton 2017).

23 მარტს მიხეილ ჯანელიძე სენატორ ტოდ იანგს შეხვდა. მხარეებმა მიმოიხილეს პარტნიორობის განვითარების კონკრეტული საკითხები, საქართველოს აქტიური ჩართულობა ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიაში. საუბარი შეეხო, უსაფრთხოების გარემოს თვალსაზრისით, რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთის ფედერაციის ქმედებებს. სენატორმა ქართულ მხარეს აღუთქვა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს, როგორც რეგიონში აშშ-ის საიმედო მოკავშირის, როლი.

გასათვალისწინებელია შეხვედრა კიდევ ერთ სენატორთან – გრემთან, ვინაიდან სწორედ მისი დახმარებით მოხდა სენატის ასიგნებების კომიტეტში საქართველოს შესახებ მოსმენის ინიცირება, სადაც აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე მოხსენებით წარსდგა. რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნისთვის ეს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემების წარდგენისა და განხილვის კიდევ ერთი შანსი იყო. ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციის მიღება კონგრესის მიერ. სწორედ ამ



საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური შეხვედრები გაგრძელდა კონგრესმენ ელიოტ ეინგელთან, სადაც, ასევე, განიხილეს სტრატეგიული პარტნიორობა და ბოლო პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით კავშირების ინტენსიფიკაცია.

შეხვედრაზე კონგრესმენმა კოლონიმ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს რეფორმებისა და დემოკრატიის პროცესს. ვფიქრობთ, რომ მან ამერიკის წარმომადგენლობით პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარის რანგში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საგარეო საქმეთა მინისტრმა კონგრესმენ კონოლის საპრეზიდენტო ღირსების ორდერი გადასცა საქართველოსთვის გაწეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის. ცნობილია, რომ კონგრესმენმა არაერთხელ დაგმო რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და მხარდაჭერა გამოხატა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. შეხვედრის დროს მან კიდევ ერთხელ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

ზემოხსენებული ვიზიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიგვაჩნია მიხეილ ჯანელიძის მონაწილეობა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გლობალური კოალიციის წევრი ქვეყნების შეხვედრაში 22 მარტს, რომელსაც 68 ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ესწრებოდა. მინისტრიალის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს „ისლამური სახელმწიფოდან“ მომდინარე საფრთხეებზე, კოალიციის მიერ წარმოებულ ოპერაციებზე, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებზე. „კონფერენციაში ჩვენი მონაწილეობა, დასტურია იმისა, რომ საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური ანტიტერორისტული საქმიანობის კუთხით“ (ჯანელიძე 2017).

მოგეხსენებათ, რომ საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ტერორისტებისთვის ხელსაყრელი დერეფანია სხვა ქვეყნებში გადასასვლელად, რის გამოც დიდი საფრთხის წინაშეა და საჭიროებს შესაბამის ნაბიჯებს ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

ამ ნაყოფიერ ვიზიტს შტატების მხრიდან უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი მოჰყვა, კერძოდ, 30 მარტს სენატორმა როჯერ უიკერმა (რესპუბლიკური პარტია) და სენატორმა ბენ კარდინმა

(დემოკრატიული პარტია) აშშ-ის სენატში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია (S. Res. 106) წარადგინეს. რეზოლუცია გმობს რუსეთის მიერ საქართველოში სამხედრო შეჭრასა და მისი ტერიტორიების ოკუპაციას, ასევე – რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთი ოსეთი) საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდინარე არალეგალურ ქმედებებს (115th Congress 2017-2018). სენატში რეზოლუციის წარდგენისას, სენატორმა უიკერმა (ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (ჰელსინკის კომისია) თავმჯდომარემ) აღნიშნა, რომ „რუსეთის ფედერაცია უკვე დიდი ხანია ცდილობს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. დროა აშშ-მა კიდევ ერთხელ, მკაფიოდ აჩვენოს, რომ ჩვენ არ ვცნობთ რუსეთის მიერ მისი მეზობლების ტერიტორიების მიტაცებას. რუსეთმა უნდა შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 2008 წელს ხელმოწერილი შეთანხმება, საქართველოდან გაიყვანოს თავისი ჯარები და საერთაშორისო მონიტორებსა და ჰუმანიტარული დახმარების პერსონალს მისცეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის შესაძლებლობა“ (Wicker 2017).

აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თანათავმჯდომარის, სენატორ კარდინის განცხადებით, „რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა რუსეთის მხრიდან ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპების უხეშ დარღვევას, პუტინის რეჟიმის მიერ ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების ნორმებისა და დემოკრატიული ფასეულობების ხელყოფის ნიმუშს წარმოადგენს, რასაც აშშ და ჩვენი მოკავშირეები მტკიცედ უნდა აღუდგნენ წინ“ (Cardin 2017).

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი აშშ-ის კონგრესის ორივე პალატაში არსებული მტკიცე ორპარტიული მხარდაჭერა აშკარაა. სენატში წარდგენილი რეზოლუციის შემდგომი ეტაპი სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტზე მისი განხილვაა, რის შემდეგაც რეზოლუციის პროექტს სენატის პლენარულ სხდომაზე უყრიან კენჭს. „აშშ მტკიცედ დგას საქართველოს გვერდით, უჭერს მხარს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და, ასევე, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

რასაკვირველია, საქართველოს ურთიერთობა შტატებთან უაღრესად მნიშვნელოვანია და ჩვენი ოფიციალური პირების აქტიურობა, შეხვედრები, ჩართულობა საერთაშორისო დონის ღონისძიებებში და სწორი პოლიტიკური აქცენტები ამ ურთიერთობების გაღრმავების მაჩვენებელია.

ვაშინგტონში, თეთრ სახლში, 2017 წლის 5 აპრილს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ევროპისა და რუსეთის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწე ფიონა ჰილს შეხვდა. შეხვედრაში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით ბაქრაძე. მთავარი აქცენტი გაკეთდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე, ევროპასთან თავისუფალი სავაჭო მიმოსვლის საკითხზე და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, აღინიშნა აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017). ვაშინგტონში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. ამჯერად დ. ზალკალიანი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ბრიჯიტ ბრინკს შეხვდა. მისასალმებელია, რომ შეხვედრისას აღინიშნა აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასა და საქართველოს მთავრობას შორის მაღალი დონის ურთიერთობების ინტენსივობა და ახალი ხელმძღვანელობის უწყვეტი მხარდაჭერა.

დავით ზალკალიანის სამუშაო ვიზიტი ნიუ-იორკში გაგრძელდა 2017 წლის 7-12 აპრილს. ვფიქრობთ, რომ მის მიერ სწორი და დროული აქცენტები გაკეთდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე. მან შეხვედრების მონაწილეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა „ოკუპირებულ რეგიონებში იმ პერიოდში გამართულ ე.წ. არჩევნებსა და ე.წ. რეფერენდუმზე, ასევე, აფხაზეთის რეგიონში ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვასა და ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის შეიარაღებულ ძალებში შესვლის თაობაზე ე.წ. შეთანხმებების დადებაზე“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

ამავე წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვიციანიშვილის თქმით, „ხელშესახები შედეგებით“ აშშ-დან პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე დაბრუნდნენ სამშობლოში. მიღწეულ შედეგებში იგულისხმებოდა: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციის (OPIC) მიერ საქართველოს მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსების ლიმიტის გაორმაგების გადაწყვეტილება და საქართველოში რეფორმების განხორციელებისთვის მსოფლიო ბანკისგან ასი მილიონი აშშ დოლარის გრანტის მიღება (კვიციანიშვილი 2017).

„ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი პოლ რომერი ძალიან დაინტერესდა ჩვენი მთავრობის ფისკალური რეფორმებით, რომელსაც ვახორციელებთ. მან გადაწყვიტა, პირადად ჩაერთოს რეფორმების განხორციელების პროცესში. იგი გახლავთ „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ ჯგუფის ხელმძღვანელი მსოფლიო ბანკში და მისი მონაწილეობა ჩვენი რეფორმების პროცესში და მისი რჩევები უმნიშვნელოვანესი იქნება...“ (კვიციანიშვილი 2017).

მიგვაჩნია, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა კონგრესმენების მიერ. ვგულისხმობთ წარმომადგენელთა პალატის 30 კონგრესმენის მიერ ხელმოწერილ, საქართველოს მხარდამჭერ წერილს პრეზიდენტ დონალდ ტრამპისადმი (2017 წლის 3 მაისი). მიმართვა კონგრესმენებმა აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავისა და ორ ქვეყანას შორის მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობის აღსანიშნავად გაავრცელეს. წერილი წარმოადგენს საქართველოსადმი აშშ-ის ორპარტიული ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთ მკაფიო მაგალითს, რომელსაც ხელს აწერენ აშშ-ის როგორც რესპუბლიკელი, ასევე დემოკრატი კონგრესმენები. ისინი მოუწოდებდნენ პრეზიდენტს: საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებისკენ, ამ მიზნით ვაჭრობისა და ინვესტიციების საკითხზე მაღალი დონის დიალოგის გაღრმავებისკენ; ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გზაზე საქართველოს მხარდაჭერის გაგრძელებისკენ.

წერილში ხაზგასმული იყო ქვეყნებს შორის არსებული ძლიერი სტრატეგიული პარტნიორობა და შტატების მხრიდან ამ პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავების საჭიროება დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. კონგრესმენები უყურადღებოდ არც რუსულ ოკუპაციას ტოვებდნენ და აღნიშნავდნენ: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო საზოგადოებამ არაერთხელ მოუწოდა პატივი სცეს მეზობელი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მცოცავი ოკუპაცია მაინც გრძელდება. წერილის დასასრულს კონგრესმენებმა ხაზი გაუსვეს ქართველი ხალხის მიმართ მათ მტკიცე და ურყევ მხარდაჭერას (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

ზემოხსენებული განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობით და მიესალმებოდა მისი სტრატეგიული პარტნიორის განვითარებასა და არჩეულ კურსს.

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 6 მაისს ხელი მოაწერა ბიუჯეტის კანონს, რომელიც აღიარებდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. ამ კანონის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსებით ვერ ისარგებლებდა ვერც ერთი იმ ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, რომელმაც ცნო რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

ვფიქრობთ, რომ ეს კანონი პრეზიდენტის არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის ნათელი მაგალითია. უადრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აქტში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მოხსენიებულია რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებად.

ამერიკის მხრიდან ასეთი დონის მხარდაჭერა შთამბეჭდავია. ცხადია, ბევრი ქვეყნის ინტერესში არ შედის ამერიკასთან დაპირისპირება, მისი შემფოთების გამოწვევა ან თუნდაც ფინანსური დახმარების დაკარგვა. ეს კანონი, უდავოდ, მკვეთრად შეამცირებს იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებსაც სურვილი ექნებათ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარონ როგორც დამოუკიდებელი ქვეყნები. ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამერიკის

შეერთებული შტატების საკანონმდებლო აქტში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი. „პრობლემის საკანონმდებლო დონეზე აყვანა, მისი აზრით, არა მარტო გაართულებს სხვა ქვეყნების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებს თავად აქცევს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტად. ანუ ეკონომიკური ზეწოლის ის ფორმა, რომელსაც აღიარების კუთხით რუსეთის პოტენციური შანტაჟის მსხვერპლი ქვეყნების მიმართ კანონის ძალით გამოიყენებს ამერიკა, ეფექტური იქნება“ (ქუთელია 2017).

„... ჩანაწერი თავისი არსითა და მნიშვნელობით უპრეცედენტოა: ეს არის პირველი დოკუმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, პრაქტიკულად კანონის დონეზე არის საუბარი უკვე ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე, ოკუპაციაზე, ჩვენი რეგიონების ოკუპაციაზე რუსეთის მხრიდან“ (კობახიძე 2017).

მალევე, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პირადად გამოხატა აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე. 8 მაისს, ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის მიწვევით, საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში თედო ჯაფარიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი. საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და დონალდ ტრამპის შეხვედრა პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში გაიმართა, რომლის დროსაც ტრამპმა არაერთხელ აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა. მათ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. გიორგი კვირიკაშვილმა დააფიქსირა აშშ-ის საკანონმდებლო აქტში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ გაკეთებული ჩანაწერის მნიშვნელობა. კვირიკაშვილმა შეხვედრის ბოლოს პრეზიდენტი ტრამპი საქართველოში დაპატიჟა (საქართველოს მთავრობა 2017).

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი რიგით მე-12 ლიდერი იყო, რომელიც პრეზიდენტმა ტრამპმა თეთრ სახლში მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ახალი ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლიდან უმოკლეს დროში შედგა ორი ქვეყნის

ლიდერის შეხვედრა, რაც ნამდვილად დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თეთრ სახლში, ასევე, გაიმართა კვირიკაშვილის შეხვედრა მაიკ პენსთან. პენსმა მადლიერება გამოხატა საქართველოს მიმართ გლობალურ უსაფრთხოებასა და ტერორიზმთან ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო-შტატების ურთიერთობები სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

თედო ჯაფარიძის შეფასებით, პენსმა შეხვედრის დროს ამერიკული მხარის სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს. რაც მთავარია, იყო „პიროვნული ქიმია“ პენსსა და კვირიკაშვილს შორის. „მე ამგვარი საუბარი, ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძის შემდეგ არ მახსენდება, ძალიან მაღალი დონის საგარეო ურთიერთობებზე მიმართული დისკურსი“ (ჯაფარიძე 2023). ამ ვიზიტის დროს პენსმა კვირიკაშვილს გააცნო ტრამპი. ამის მერე პენსმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი სახლში დაპატიჟა, რაც არასდროს მომხდარა, არც შევარდნაძის პერიოდში. იქ იყო ძალიან კონკრეტული საუბარი, მათ შორის, ანაკლიასა და მხარდაჭერაზე. სახეზე იყო სტრატეგიული ურთიერთობის დამყარება და მრავალწლიან ურთიერთობებზე გათვლილი და დაგეგმილი თანამშრომლობა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონთან შეხვედრისას, ტილერსონმა განაცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატები მადლიერია ავღანეთსა და სხვა ადგილებში ქართული შეიარაღებული ძალების თავგანწირვით, ჩვენ ერთად ვზეიმობთ საქართველოს წარმატებას და ვგლოვობთ მათ, ვინც ტერორიზმთან ბრძოლაში დაიღუპა“ (ტილერსონი 2017).

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება და საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში არსებული სიტუაცია ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და აშშ-ის სენატის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ, სენატორმა ჯონ მაკკეინმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრები გაგრძელდა აშშ-ის სენატის სხვა კომიტეტების თავმჯდომარეებთან. აღსანიშნავია, რომ სენატორების მიერ პოზიტიურად შეფასდა საქართველო-ამერიკის გააქტიურებული ურთიერთობები სხვადასხვა

მიმართულებით. აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გიორგი კვირიკაშვილი, ასევე, შეხვდა აშშ-ის წამყვანი საექსპერტო წრეების წარმომადგენლებს.

თეთრმა სახლმა საგანგებო განცხადებაში აღნიშნა, რომ საქართველო ამერიკის სტრატეგიული პარტნიორია გლობალური უსაფრთხოების დაცვაში და მადლიერება გამოხატა ქართველი ხალხის მიმართ ავღანეთში ნატო-ს ძალებთან ერთად ბრძოლაში გაღებული მსხვერპლისთვის. ამერიკამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ აშშ-ის ადმინისტრაციის ურყევი მხარდაჭერა და მიესალმა საქართველოს მისწრაფებას გააგრძელოს ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია. „ჩვენ ვიცე-პრეზიდენტ მაიკლ პენსთან საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა გვქონდა. გარკვეულწილად, ჩვენ შევაჯამეთ გასული 25 წლის ურთიერთობები და მომავალ 25 წელზე ვისაუბრეთ. შემძლია გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან მყარი გარანტიები მივიღეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობის გაღრმავების ყველა მიმართულებით. ეს იყო ძალიან პოზიტიური შეხვედრა და საუბარი გვქონდა ურთიერთობებზე ყველა მიმართულებით“ (კვირიკაშვილი 2017).

მიგვაჩნია, რომ საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები, უდავოდ, კვლავ მაღალ ნიშნულზეა, საქართველო რეგიონში ამერიკისთვის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ პარტნიორად რჩება. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირველივე წელს ასეთი მრავალრიცხოვანი შეხვედრები და მოლაპარაკებები კი ამის დასტურია.

22 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსნები აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ. 22-26 მაისს მათ მონაწილეობა მიიღეს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაში. კომისიის პრიორიტეტი არის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობის, ენერჯის, ხალხთა შორის ურთიერთობისა და კულტურული გაცვლის სფეროები.

რაც შეეხება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხს, მიუხედავად კონგრესმენების დიდი ჩართულობისა და აქტიურობისა, სამწუხაროდ, 2017 წელს ამ მიმართულებით რაიმე მკვეთრი წინსვლა არ აღინიშნა; თუმცა 28 მაისს თბილისში ჩატარდა



ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა, რომლის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა. დელეგაციის ხელმძღვანელის, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტის მაიკლ ტერნერის განცხადებით, „აშშ მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს მხარდამჭერას და საქართველოს პროგრესის აღიარებას“ (ტერნერი 2017).

2017 წლის მაისში შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობის წევრებმა ხელი კიდევ ერთ შეთანხმებას მოაწერეს. ინფორმაციის ზოგადი უსაფრთხოების შეთანხმება (GSOIA, General Security of Information Agreement, Defense Security Cooperation Agency) წარმოადგენს ძირითად ქვაკუთხედს აშშ-სა და საქართველოს შორის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თანამშრომლობაში. ეს შეთანხმება ქმნის კანონიერ საფუძველს სადაზვერვო ინფორმაციის ორმხრივი გაცვლისთვის და გააძლიერებს თანამშრომლობას ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულელებით შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის. შეთანხმება, ასევე, ზრდის საქართველოს სამხედრო თავსებადობას ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან.

2017 წელი საქართველო-აშშ-ის ურთიერთობის საიუბილეო თარიღი გახლავთ. 6 ივნისს საქართველოს-ამერიკის შეერთებული შტატების 25-წლიანი პარტნიორობა მრავალი საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა. „საქართველოსთვის სასიხარულო ამბავია, რომ მას ბევრი მეგობარი ჰყავს აშშ-ის კონგრესში, არსებობს ორპარტიული მხარდაჭერა საქართველოს მიმართ. ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი ქვეყნების 25 წლიან მეგობრობასა და ურთიერთობას, ასევე მნიშვნელოვანი აღნიშვნის ღირსია საქართველოს დემოკრატია, ქვეყანა კვლავ განვითარების გზაზეა და მაგალითია მეზობელი სახელმწიფოებისთვის“, – განაცხადა კონგრესმენმა კონოლიმ, რომელიც სიტყვით გამოვიდა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ინიციატივით გამართულ ღონისძიებაზე (კონოლი 2017).

რეგიონში უსაფრთხოება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება იყო მთავარი თემა 2017 წლის 9 ივნისს, ვაშინგტონში ვიზიტის ფარგლებში, სენატორებთან

(ტედ კრუზი, ლინდსი გრემი) და კონგრესმენტთან (დანკან ჰანტერი) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის შეხვედრებზე. როგორც იუწყება სამინისტრო, „შეხვედრებზე ჯანელიძემ ხაზი გაუსვა აშშ-ის კონგრესის მხრიდან მცოცავი ანექსიის დაგმობის მნიშვნელობას და აღნიშნულ კონტექსტში კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება 2017 ფისკალური წლის აშშ-ის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ ჩანაწერის დაფიქსირების გამო. ამასთანავე, იმედი გამოთქვა რომ სენატი და წარმომადგენელთა პალატა მომავალი წლის ასიგნებების აქტშიც იგივე ჩანართის დატოვებას გაუწევენ რეკომენდაციას. მინისტრთან შეხვედრებზე ამერიკელმა კანონმდებლებმა საქართველოს მიმართ მხარდაჭერის მზადყოფნა გამოხატეს“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა გამოქვეყნდა შტატების 2018 წლის ბიუჯეტის პირველი პროექტი, მასში შემცირებული იყო დაფინანსება არაერთი მიმართულებით და საერთოდ გაუქმებული იყო 30 მლნ დოლარის დახმარება უსაფრთხოების სფეროში (საგარეო სამხედრო დაფინანსება). 2018 წელს საქართველოს 3 მლნ დოლარის ბიუჯეტი ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლსა და საგამომიებო უწყებას დაუმტკიცეს.

მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების როლი საქართველოს თავდაცვის სფეროს განვითარებაში. 2017 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები საქართველოში ახალ საწვრთნელ-სასწავლო სამხედრო ბაზას გახსნიდა, რომლის ანალოგიც შტატებს მხოლოდ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, კერძოდ კი –გერმანიაში გააჩნდა. „საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნებას და შესაბამისი გამოცდილების მიღებას განაპირობებს, რაც საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის და ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით“ (იზორია, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2017).

სახელმწიფო საზღვრის დაცვა, უმაღლესი სამხედრო მომზადების სტანდარტების დამკვიდრება ყველა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, ამიტომაც ამერიკული მხარის

ჩართულობა ერთობლივი წვრთნების სახით და საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ და მხოლოდ მისასაღმებელია. საქართველო ყოველწლიურად მასპინძლობს და მონაწილეობს აშშ-ის მიერ ორგანიზებულ წვრთნებსა და სწავლებებში. აღსანიშნავია ქართულ-ამერიკული მრავალეროვნული სწავლება „მტკიცე სული“ (AGILE SPIRIT) და „ღირსეული პარტნიორი (NOBLE PARTNER), რომელიც ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2017).

პირველ აგვისტოს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი საქართველოს შერეულ საავიაციო ბაზაზე „ღირსეული პარტნიორი 2017-ის“ მრავალეროვნულ წვრთნებში მონაწილე ამერიკელ და ქართველ სამხედროებს პირადად შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა ქართველ და ამერიკელ სამხედროებს სიტყვით მიმართეს.

მაიკ პენსმა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, გააჟღერა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მთავარი გზავნილი, რომ ამერიკა საქართველოს გვერდით არის: „ჩვენ ძალიან ვაფასებთ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს, რომელიც უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ვითარდება. საქართველო უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორად მიგვაჩნია. ჩვენ პატივს ვცემთ მის ტერიტორიულ მთლიანობასა და სწრაფვას ნატო-ში გაწევრიანებისკენ“ (პენსი 2017). საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მაიკ პენს მაღლობა გადაუხადა და მისი ვიზიტი შეაფასა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრიდან საქართველოს მიმართ გამოცხადებულ უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

აღსანიშნავია საელჩოების როლი ორი ქვეყნის ურთიერთობაში. ცხადია, რომ ელჩი არ ატარებს თავის პირად პოლიტიკას ქვეყანაში, თუმცა მისი აქტიურობა და ჩართულობა მნიშვნელოვანია როგორც ინფორმაციის გაცვლისას, ასევე სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენაზე გზავნილებისა თუ კომენტარების გაკეთებაში. 2016 წლის ოქტომბერში საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დავით ბაქრაძე დანიშნა, რომელსაც, ელჩად დამტკიცებამდე,

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი ეკავა.

2017 აპრილში ის აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს თეთრ სახლში შეხვდა. „დავით ბაქრაძემ ამერიკის პრეზიდენტს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების საქმეში საქართველოს წვლილზე და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე გაამახვილა ყურადღება“ (აშშ-ში საქართველოს საელჩო 2017). მან 2017 წლის შეჯამების დროს, ასევე, აღნიშნა, რომ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ამერიკის მტკიცე ორპარტიული მხარდაჭერა აქვს, გააქტიურებული თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში და საქართველოს დასავლური გზის მიმართ ერთსულოვანი პოლიტიკური თანადგომა..“ (ბაქრაძე 2017).

რაც შეეხება აშშ-ის ელჩს საქართველოში, იან კელის, მის კომენტარებშიც იკვეთება საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორობის მნიშვნელობა და განვითარება. „რასაკვირველია, ზეწოლა, როგორც მთავარი მექანიზმი, რომელსაც რუსეთი იყენებს, რათა გაართულოს საქართველოს ნატოში გაწევრიანება, არის ფაქტი, რომ რუსეთმა დაარღვია საქართველოს საზღვრები და დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ქვეყნის 20%-ის ოკუპირებით. სწორედ ესაა მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიიჩნევს ამერიკის შეერთებული შტატები ასე მნიშვნელოვნად საქართველოს წარმატებას მის მისწრაფებებში – შეუერთდეს ევროატლანტიკურ საზოგადოებას“ (Kelly 2017). მისი თქმით, ამერიკული ინვესტიციები მიმართულია საქართველოს შესაძლებლობების გაზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რამდენიმე პროგრამის დახმარებით შესაძლო აგრესიის თავიდან აცილებას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თარიღია 2017 წლის 8 მარტი, რადგან სწორედ ამ დღეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. აშშ-ის ელჩმა შეაფასა ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება და განაცხადა, რომ ეს კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოს მიმართ მისი მისწრაფებების გზაზე, რაც ევროატლანტიკურ საზოგადოებასთან მიერთებას გულისხმობს“ (Kelly 2017).

2017 წლის დასაწყისში რუსეთმა გაააქტიურა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) ოკუპაცია. სწორედ ამ დროს რუსეთმა და დე-ფაქტო ხელისუფლებამ ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებებს“, რის შემდეგაც რუსეთის ფედერაციამ გააძლიერა საქართველოს ორივე ოკუპირებული რეგიონის მილიტარიზაცია. მოსკოვმა საოკუპაციო ხაზები განამტკიცა მავთულხლართებით, ე.წ. სასაზღვრო ნიშნულებითა და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერით.

რუსეთის ქმედებებისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების აღწერით, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა. საქართველოს დელეგაცია, გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად, ნიუ-იორკში 18-22 სექტემბერს იმყოფებოდა. სიტყვით გამოსვლისას, პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მიღწევებსა და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზეც გაამახვილა ყურადღება. მთავრობის მეთაური, ასევე, დაესწრო აშშ-ის პრეზიდენტისა და გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას თემაზე – „გაერო-ს რეფორმები“, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და გაერო-ს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერეში (საქართველოს მთავრობა 2017).

15 დეკემბერს ვაშინგტონში გაიმართა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანი იყო თანამშრომლობის გაღრმავება განათლების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ჯანდაცვის, სპორტისა და კულტურული გაცვლების სფეროებში.

ვეცნობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდზე გამოქვეყნებულ ამონარიდს საქართველო-აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორობაზე: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურყევი მხარდაჭერა. სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების – როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული პროგრესის

მიღწევის ფორუმის – მიმართ მხარდაჭერა“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2017).

ვფიქრობთ, რომ 2017 წლის 20 დეკემბერს პარლამენტში, სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის შეფასებებში ნათლად ჩანს, თუ როგორ განვითარდა საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა ტრამპის ადმინისტრაციის პირველ წელს და რამდენად ნაყოფიერი იყო სამუშაო ვიზიტები და უმაღლეს პირებთან შეხვედრები საქართველოსთვის. მან უაღრესად პოზიტიურად შეაფასა აშშ-სთან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კუთხით მიმდინარე წლის დინამიკა. მისი განცხადებით, საქართველოს ამოცანაა აშშ-ის მხრიდან საქართველოს განვითარების, დემოკრატიის კონსოლიდაციის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ მტკიცე ორპარტიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ასევე – აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ყველა მიმართულებით ურთიერთობების შემდგომი განმტკიცება (ჯანელიძე 2017).

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები ისევ გვიდასტურებენ, რომ ტრამპის ადმინისტრაცია აგრძელებდა და უფრო აღრმავებდა პარტნიორულ ურთიერთობას საქართველოსთან. საქართველოს დელეგაციის სტუმრობით შტატებში და ახალი ადმინისტრაციის განცხადებებით, ნათელია, რომ ოფიციალურ თბილისსა და ვაშინგტონს შორის დიპლომატიურ-პარტნიორული ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიულად. გარდა ამისა, ეს იყო დასტური იმის, რომ შტატები კვლავ აპირებდა სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციებისა და ინტერესების დაცვას.

მაშასადამე, ამ თავის კვლევის ფარგლებში, გამოიყო რამდენიმე მიმართულება, რომლებიც შეიძლება ასე შეჯამდეს:

ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცდამეხუთე პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციის პირველი წელი მეტად საინტერესო და განსაკუთრებული მოვლენებით აღსავსე იყო. მან ერთ წელიწადში ბევრი პოლიტიკური ცვლილება მოახდინა

როგორც ქვეყანაში, ასევე ქვეყნის გარეთ. ამერიკა ჩართულია ბევრი გლობალური პრობლემისა თუ კონფლიქტის გადაჭრა-მოგვარებაში, ამიტომაც მისი პრეზიდენტის როლი, შესაბამისად, მაღალია მსოფლიოში. თუმცა ნაშრომის ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მთავარ თემაზე – 2017 წლის საქართველო-აშშ-ის ურთიერთობის მნიშვნელოვან მომენტებზე.

კვლევაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პერიოდში საქართველოს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა დასავლეთთან, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობა დინამიკურად გაგრძელდა და ახალმა ადმინისტრაციამ მოსვლისთანავე საქართველოს გამოუცხადა მხარდაჭერა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით და არაერთხელ დაგმო რუსეთის უხეში ჩარევა და ანექსიის პოლიტიკა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თეთრი სახლი ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და პოზიტიურად შეაფასა ქვეყანაში სხვადასხვა რეფორმა თუ მიღწევა, მაგალითად, 2017 წლის ვიზალიბერალიზაციის ამოქმედება ევროპულ ქვეყნებთან.

საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ ტრამპის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, რომლითაც კანონის დონეზე აიყვანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა; ამასთან, სიტყვა „ოკუპაცია“ პირველად ჩაიწერა ოფიციალურ საბუთებში.

ამავდროულად, გაღრმავდა ურთიერთობა უსაფრთხოების მიმართულებით (შეთანხმება GS OIA), რაც დროული და აუცილებელი იყო რეგიონში გართულებული მდგომარეობის გამო.

სამწუხაროდ, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით მკვეთრი წინსვლა არ დაფიქსირდა, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე ისევ გაგრძელდა საერთაშორისო დონის ყოველწლიური სამხედრო სწავლებები, რომლის მონაწილეებსაც პირადად ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი შეხვდა. საქართველოში მისი ვიზიტიც ისევ ამერიკის ურყევი მხარდაჭერისა და მეგობრობის დასტური იყო.

მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის, დემოკრატიული განვითარებისკენ მიმავალ გზაზე, აუცილებელია საერთაშორისო დონის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება და მუდმივი მჭიდრო კომუნიკაცია განვითარებულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი, ისეთ სტრატეგიულ პარტნიორთან, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

უამრავი რეზოლუცია და აქტი აჩვენებს შეერთებული შტატების კონგრესის მხრიდან საქართველოსადმი უპრეცედენტო მაღალი დონის მხარდაჭერის გაგრძელებას. მხოლოდ 2017 წელს ამერიკელმა კანონმდებლებმა შესთავაზეს და შეცვალეს 6 მნიშვნელოვანი კანონპროექტი და რეზოლუცია. აშშ-საქართველოს პარტნიორობის ამ უპრეცედენტო წლის შემდეგ, აშშ-ის კონგრესში საქართველოს მიმართ მხარდაჭერის დონე გაიზარდა (საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში 2019).

2017 წელს აშშ-მა დაფინანსება შეუჭერა ნაურუს, რომელიც არ სცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რასაკვირველია, ეს პოლიტიკური ქუსტი საქართველოსთვის ნამდვილი მხარდამჭერი სიგნალი იყო. ამასთან, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უკვე არსებული სანქციები რუსეთს არათუ მოუხსნა, არამედ უფრო გაუმკაცრა და გაუფართოვა.

მართალია, საქართველო-ამერიკის პარტნიორობა გაძლიერდა, თუმცა ამ ორ ქვეყანას განსხვავებული მოლოდინები, ფუნქციები და პრიორიტეტები ჰქონდა.

ვფიქრობთ, რომ ვაშინგტონი პრიორიტეტს ანიჭებდა დემოკრატias, კანონის უზენაესობასა და შესაბამის რეფორმებს საქართველოში. თბილისი კონცენტრირებული იყო უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე, აგრეთვე, ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრომლობაზე.

ამრიგად, კვლევა გვიჩვენებს, რომ 2017 წელს, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის დროს, საქართველო-აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა და ახალ ეტაპზე გადავიდა. ასევე, უფრო აქტიური გახდა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.



## თავი 2: აშშ-საქართველოს ურთიერთობა და შეერთებული შტატების გზავნილები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე 2018-2019 წლებში

### 2.1. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება 2018-2019 წლებში

ნაშრომის ამ ქვეთავში ვცდილობთ პასუხი გავცეთ კითხვაზე - რა მიმართულებით გაღრმავდა აშშ-საქართველოს შეერთებული შტატების თანამშრომლობა, როგორ გაგრძელდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარება 2018-2019 წლებში.

წინა ქვეთავში განვიხილეთ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირველ წელს საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა როგორ გააქტიურდა და გაღრმავდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. უამრავი რეზოლუცია და აქტი აჩვენებს შეერთებული შტატების კონგრესის მხრიდან საქართველოსადმი მაღალი დონის მხარდაჭერის გაგრძელებას (საქართველოს საელჩო აშშ-ში 2019).

აშშ-საქართველოს პარტნიორობის ამ უპრეცედენტო წლის შემდეგ, აშშ-ის კონგრესში საქართველოს მიმართ მხარდაჭერის დონე გაიზარდა, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2018-2019 წელს საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა არაერთხელ გამოიწვია აშშ-ის მთავრობის შემოფოტება და კრიტიკა, როგორც დემოკრატიული განვითარების გზიდან გადახვევისა და პრორუსული პოლიტიკის გატარების მცდელობა. შეინიშნებოდა რუსული „რბილი ძალის“ გააქტიურება და დარღვევები ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრებთან.

2018 წელი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის პოლიტიკური მოვლენებით დატვირთული წელი იყო. საინტერესოდ განვითარდა დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის ერთი წელი. განსაკუთრებით აღვნიშნავდით მის ნაბიჯებს საგარეო პოლიტიკის კუთხით. უპრეცედენტო მოვლენა იყო ის, რომ 2018 წლის 18 მარტს პრეზიდენტმა ტრამპმა მიიღო ჩრდილო კორეის ლიდერის, კიმის, მოწვევა, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის აზრით, ნიშნავდა დენუკლერიზაციის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას.

მართალია, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პარტნიორობა გაძლიერდა, თუმცა, მათ განსხვავებული მოლოდინები და პრიორიტეტები ჰქონდათ.

2018 წლის 13 აგვისტოს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტს (FY19NDAA) მოაწერა ხელი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აქტის ჩანაწერის მიხედვით, საქართველო, ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში, შავი ზღვისა და ბალტიის ქვეყნებთან ერთად, მოაზრებულია როგორც აშშ-ს მოკავშირე და პარტნიორი.

„კანონის N1248 ქვეთავი, ევროპაში რუსეთის აგრესიის შეკავებას ეხება (SENSE OF SENATE ON ENHANCING DETERRENCE AGAINST RUSSIAN AGGRESSION IN EUROPE). ქვეთავში არის მკაფიოდ აღნიშნული, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს ევროპაში აშშ-ს მოკავშირეებისა და პარტნიორების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და რაც, თავის მხრივ, რუსეთის აგრესიის შეკავების კომპლექსურ სტრატეგიას წარმოადგენს. აღნიშნული ქვეთავი საქართველოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გზავნილებსაც შეიცავს. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ევროპაში აშშ-ს მოკავშირეებისა და პარტნიორების გასაძლიერებლად აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, სახელმწიფო მდივანთან და ევროპაში აშშ-ის სარდლობასთან კოორდინაციით ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსთვის უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას, მათ შორის, ლეტალური თავდაცვითი შესაძლებლობებით, რაც გააძლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და გააუმჯობესებს ნატო-ს ძალებთან თავსებადობას“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2018).

თავდაცვის ავტორიზაციის აქტი განსაზღვრავს 2019 ფისკალური წლისთვის აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტის პრიორიტეტებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსა და მთლიანად შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უცვლელი მხარდაჭერის ნათელი მაგალითია 2018 წელს „აილენდის“ კლასის ხომალდების გადმოცემა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, ფოთში გამართულ ღონისძიებაზე, სადაც აშშ-ის მთავრობის მიერ ხომალდების გადმოცემის ცერემონია გაიმართა, განაცხადა: „მოხარულები ვართ, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს კარგად ესმით შავი ზღვის რეგიონისა და კონკრეტულად, ჩვენი ქვეყნის როლი მსოფლიოს უსაფრთხოებაში“ (ბახტაძე 2018).

საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების შემდგომი გაზრდის მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო შეთანხმდნენ, რომ ეტაპობრივად გადაიტანდნენ მისიის წვრთნებს გერმანიიდან საქართველოში.

აღსანიშნავია საქართველოს პრემიერ-მინისტრის აშშ-ში ვიზიტების შედეგები. 2018 წლის სექტემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. მას შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონმა უმასპინძლა. „ჯონ ბოლტონი გახლავთ საქართველოს მეგობარი და აქვს კონკრეტული ხედვა, როგორ შეგვიძლია, განვამტკიცოთ აშშ-საქართველოს მყარი სტრატეგიული ურთიერთობები“ (ბახტაძე 2018).

ოქტომბერში მამუკა ბახტაძემ ბოლტონს საქართველოში უმასპინძლა. ლიდერებმა „საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები, რეგიონში არსებული გამოწვევები და ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობა განიხილეს...ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებზე...“ პრემიერ მინისტრის აზრით, „პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე. ის არასოდეს ყოფილა ასეთი მაღალი დონის“ (ბახტაძე 2018).

20 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკლ პომპეოს შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა მოლაპარაკებები სენატორებთან. ტრამპის ადმინისტრაციის დროს უფრო მაღალ დონეზე ავიდა საქართველო-ამერიკის შეერთებული

შტატების ურთიერთობა უსაფრთხოების სფეროში. ეს ნათლად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშებში. ვრცელ ანგარიშში შეფასებულია საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. „ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018 წელს შემცირდა „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი. ასევე ნათქვამია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეფასებით, სირიაში ან ერაყში იმყოფება ტერორისტული დაჯგუფებების მხარდამჭერი დაახლოებით 14 საქართველოს მოქალაქე“ (U.S. Department of State 2018).

ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში „კანონმდებლობა, სამართალდაცვითი სფერო და საზღვრის უსაფრთხოება“ ნათქვამია, რომ 2018 წელს საქართველომ განაგრძო კონტრტერორისტული კანონმდებლობის გაძლიერება სისხლის სამართლის ნორმებში ცვლილებების შეტანით, რითაც ხელისუფლების წარმომადგენლებს მიენიჭათ მეტი უფლებამოსილება უცხო ქვეყნის იურისდიქციასთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებით“. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის წამყვანი უწყება ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით და ზოგადად არის კარგად აღჭურვილი და მომზადებული. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, მთლიანობაში, საქართველოს მთავრობას ზოგადად შესწევს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის შემთხვევებზე“. აგრეთვე აღნიშნულია, რომ საქართველომ გააუმჯობესა თავისი სასაზღვრო, საზღვაო და საავიაციო უსაფრთხოება და ეს მოახერხა საკანონმდებლო ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით (Congress.gov 2018).

„ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ ასევე ჩაატარა ტრენინგები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, რომლებშიც ჩართული იყო საქართველოს სამთავრობო სექტორის 120-მდე მონაწილე“ (U.S. Department of State 2018).

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის აქტიური მხარდაჭერა გამოიკვეთა მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში. მნიშვნელოვანია 2018 წლის ამერიკის შეერთებული შტატების

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ. „სახელმწიფო უსაფრთხოების ძალების მიერ გაუმართლებელი მკვლელობის შესახებ ბრალდებები, საოკუპაციო ხაზზე განხორციელებული თვითნებური დაკავებები, სამართალდამცველების მიერ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობა და ლგბტ თემის მიმართ გამოთქმული მუქარა იმ ძირითად პრობლემებს შორის არის დასახელებული, რომელთაც, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, 2018 წელს საქართველოში ჰქონდა ადგილი“ (U.S. Department of State 2018).

2018 წლის გაზაფხულზე ამერიკელების მიერ საქართველოს თავდაცვის ძალების 9 ბატალიონის მომზადების პროგრამა დაიწყო.

2019 წლის 21 ნოემბერს შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ მოაწერეს ხელი აშშ-საქართველოს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ახალ 3-წლიან ხელშეკრულებას, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ-საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობის მნიშვნელობას და პრიორიტეტულ ორმხრივ თანამშრომლობას უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში. 2019 წლის 6 დეკემბერს, ვაშინგტონში, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამუშაო ჯგუფი შეიკრიბა. ორივე მხარემ აღიარა აშშ-საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელოვანი წინსვლა.

აქტიური თანამშრომლობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა. პროგრამას საფუძველი პრეზიდენტ ობამას დროს, 2016 წელს, ჩაეყარა. საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის გააქტიურების საფუძველი იყო თავდაცვისა და უსაფრთხოების პარტნიორობის გაღრმავების შესახებ მემორანდუმი, რომელსაც მოაწერეს ხელი მაშინდელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კერიმ (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2018).

თუმცა, ტრამპის ადმინისტრაციის დროს, 2018 წლის მაისში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა დაიწყეს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის განხორციელება. საქართველოს თავდაცვის

მზადყოფნის პროგრამა მოიცავდა ორ კომპონენტს: მზადყოფნის პროგრამა-წვრთნა (GDRP-T, Georgia Defense Readiness Program – Training) და მზადყოფნის პროგრამა - ინსტიტუციური განვითარება (GDRP-I, Georgia Defense Readiness Program- Institution).

თანამშრომლობის კიდევ ერთ მიმართულებას წარმოადგენს დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა სამკურნალო შესაძლებლობების განვითარება. პროგრამა ჩამოყალიბდა დაჭრილი ქართველი სამხედროების ინტეგრირებული და ინტერდისციპლინარული რეაბილიტაციის პროგრამის უზრუნველსაყოფად. 2019 წელს შეერთებული შტატების დაფინანსებით საქართველომ დაასრულა ახალი მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, წეროვანის მარო მაცაშვილის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე, რომელიც ემსახურება დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს.

გარდა ამისა, საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის გადამზადება აშშ-ის სამხედრო სასწავლებლებში. პროგრამაში შედიოდა, როგორც მაღალი დონის, ასევე საშუალო და საწყისი მომზადების კურსები ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის.

კონტრ-ტერორისტული სწავლების პროგრამა ყოველწლიურად აფინანსებს მაღალი დონის კურსებს აშშ-ს თავდაცვის ეროვნულ აკადემიასა და ეროვნულ სამხედრო კოლეჯში, ასევე მოკლევადიან კურსებს სპეციალური ოპერაციების ძალების პერსონალისათვის. ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრი (George C. Marshall Center for Security Studies) ყოველწლიურად გვთავაზობს სასწავლო ადგილებს უსაფრთხოების სასწავლო პროგრამასა და სხვა კურსებზე.

პარალელურად, ვაშინგტონსა და თბილისს შორის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა გაძლიერდა. 2018 წელს ამერიკელებმა ქართველებს მოგვციდეს „ჯაველინის“ (Javelin) პორტატული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები, „მ-240“ (M-240) ტყვიამფრქვევები და „სტინგერის“ (Stinger) პორტატული საზენიტო-სარაკეტო სისტემები (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2018).

ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობა მყარ საფუძველზეა აგებული მზარდი ნდობითა და პარტნიორობით.

მრავალი სამუშაო და მაღალი დონის ვიზიტი ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცების ნიშანი იყო. ბევრ მნიშვნელოვან ჩართულობას შორის, ყველაზე გამორჩეული იყო ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის, ჯონ ბოლტონის, გენერალ კურტის მ. სკაპაროტის, გენერალ-მაიორ რასელ სანბორნის საზღვაო ძალების ევროპის/აფრიკის მეთაურის, სტივენ რ. ლიონის, სატრანსპორტო მეთაურის და CG აშშ-ს არმიის ევროპის LTG კავოლის ვიზიტი.

აქვე აღვნიშნოთ „ღირსეული პარტნიორი 2018“, მრავალეროვნული სამხედრო სწავლება, რომელშიც მონაწილეობა ნატოს წევრმა და პარტნიორმა 13 ქვეყანამ მიიღო: საქართველომ, აშშ-მ, ბრიტანეთმა, გერმანიამ, ესტონეთმა, საფრანგეთმა, ლიეტუვამ, პოლონეთმა, ნორვეგიამ, თურქეთმა, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა. ამჯერად, სწავლება კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი იყო და მასში ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის 3000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. აგრეთვე, სწავლებაში მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციისა და გერმანული ჯავშანტექნიკის რაოდენობაც იყო გაზრდილი.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველო-ნატოს თანამშრომლობის მიმართულებით. 2018 წლის ნატო-ს ბრიუსელის სამიტზე საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა სახელმწიფო მეთაურების და მთავრობის დონეზე მოკავშირეთა შეხვედრაში. ამ სამიტზე მიღებულ ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაციაში საქართველო ნახსენებია, როგორც ალიანსის ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი (საქართველო და ნატო).

გარდა ამისა, ალიანსმა აღნიშნა, რომ საქართველომ გამოიყენა შესაძლებლობა და ნატო-სა და ევროკავშირის ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო, ამით საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აღნიშნული ჩართულობა ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2018).

ალიანსმა მზადყოფნა გამოაცხადა მომავალში გააღრმავოს საქართველოსთან დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ბრიუსელის სამიტის დასკვნით დოკუმენტში საქართველოს მიმართ ალიანსის მიერ გამოხატულია პოლიტიკური მხარდაჭერა ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში. კერძოდ, დადასტურებულია ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა და რომ ასპირანტ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რათა მოემზადოს ალიანსში გასაწევრიანებლად.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველო აგრძელებს ალიანსთან ურთიერთობის გაღრმავებას, რაც გამოიხატება ინტენსიურ პრაქტიკულ თანამშრომლობაში. 2019 წლის მარტში, ნატო-საქართველოს რიგით მეორე სწავლების ფარგლებში საქართველოში იმყოფებოდა ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და ნატო-ს სამხედრო კომიტეტი. ხოლო 2019 წლის ოქტომბერში საქართველომ ქალაქ ბათუმში უმასპინძლა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, რაც ალიანსის საქართველოსადმი მხარდაჭერის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

2019 წლის დეკემბრის თვეში ნატო-ს წევრი ქვეყნების მეთაურების შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ ნატო ღია კარის პოლიტიკის ერთგული რჩება, რაც აძლიერებს ალიანსს და მილიონობით ევროპელის უსაფრთხოების საწინდარია. გარდა ამისა, ნატო-ს ლონდონის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-ს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით NATO 2030 პროცესის დაწყების შესახებ, რომლის მიზანს ალიანსის პოლიტიკური განზომილების გაძლიერება წარმოადგენს.

როგორც ნატოს ასპირანტმა ქვეყანამ, საქართველომ თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში და, როგორც ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი, მონაწილეობას იღებდა ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM) ავღანეთში. საინტერესოა ისიც, რომ 2017 წელს თავდაცვის მდივანმა ჯეიმს მატისმა მადლობა გადაუხადა თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას საქართველოს სამაგალითო თავდაცვის რეფორმებისა და ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში შეტანილი



წვლილისთვის, კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-სა და საქართველოს შორის ხანგრძლივი თავდაცვის ურთიერთობა (მატისი 2017).

საყურადღებოა ისიც, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, რომელიც ნატოს ბრიუსელის სამიტში მონაწილეობდა, იქ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ქვეყანას აქვს ალიანსში გაწევრიანების შანსი, „თუმცა არა ახლა“ (საქართველო და ნატო 2018).

ამრიგად, ტრამპის ადმინისტრაციის დროს 2018-2019 წლებში საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის განხილვიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ პრიორიტეტული მიმართულება ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში ძირითადად გახდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფერო, თუმცა, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხითაც გადაიდგა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და ნატოს თანამშრომლობა საკმაოდ გაფართოვდა, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში საქართველოს ისევ მხოლოდ ასპირანტი ქვეყნის სტატუსი დარჩა. შტატებთან თანამშრომლობის გაღრმავება თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს სამხედრო თავდაცვის პოტენციალს, უკეთ უზრუნველყოფს მისი საზღვრების დაცვას და რაც მთავარია, მიუახლოვდება ნატო-ს სტანდარტებს.

## 2.2. საპრეზიდენტო არჩევნებისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების შეფასება შეერთებული შტატების მიერ

აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო ბოლო არჩევნები საქართველოს ისტორიაში, რომელიც პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევით ჩატარდა. საინტერესოა, რომ ორი მთავარი კანდიდატი, ერთი გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, გრიგოლ ვაშაძე, და მეორე თავისუფალი დეპუტატი და პარტია „ქართული ოცნების“ ფავორიტი, სალომე ზურაბიშვილი, ერთმანეთს რუსეთის „აგენტობას“ აბრალებდნენ.

საქართველოში შიდა პოლიტიკური მოვლენების ფონზე არაერთხელ რუსული პოლიტიკის გატარების ბრალდება გაჟღერდა, როგორც მმართველი გუნდის, აგრეთვე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან. აშკარაა, რომ წინასაარჩევნოდ ამ საკითხის გააქტიურება და გამოყენება კანდიდატის მიერ ქულების მოსაპოვებლად ძალზე მომგებიანი გახდა.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გარდამტეხი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა. ხმების პრაქტიკულად ერთნაირი წილი, შესაბამისად, 38,64% და 37,44% მიიღეს სალომე ზურაბიშვილმა და გრიგოლ ვაშაძემ. სალომე ზურაბიშვილმა მხოლოდ არჩევნების მეორე ტურში მოახერხა ამომრჩეველთა ხმების 59,52%-ით გამარჯვება (Civil Georgia 2018).

ცხადია, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არჩევნების შეფასება შტატების მიერ. პირველმა ტურმა საერთაშორისო დამკვირვებლების დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ მეორე ტური გააკრიტიკეს ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებისა და ნამდვილი პოლიტიკური კონკურენციის პირობების არარსებობის გამო. ეს არჩევნები გამოცდა იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციისთვის და ქართული საზოგადოებისთვის. ზოგადად არჩევნებმა აჩვენა მმართველი ელიტის უკმაყოფილება, საარჩევნო კონკურენციის გაზრდილი დონე, ასევე გაიზარდა პოლიტიკური აქტივობა საზოგადოებაში (აშშ-ის საელჩო 2018).

მედიასაშუალებებით საკმაოდ სწრაფად გავრცელდა სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთი ინტერვიუ, სადაც მან მკაფიოდ განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი ქართული მხარის ინიცირებული იყო. მან ეს ფაქტი თავის წიგნშიც, „ქართული ტრაგედია“, აღნიშნა (ზურაბიშვილი 2018). ცხადია, ამ განცხადებას დიდი კრიტიკა და მძლავრი აგრესია მოჰყვა არამხოლოდ პოლიტიკური პარტიებისგან, არამედ რიგითი მოქალაქეებისა და იმ ჯარისკაცებისგან, რომლებიც ამ ომში იღებდნენ მონაწილეობას. მათთვის ასეთი მთავარსარდალი მიუღებელი იყო. უფრო მეტიც, სალომე ზურაბიშვილის საავტორო წიგნი „ქართული ტრაგედია 2003-2008“, სადაც ის წერს, რომ 2008 წლის ომი მიხეილ სააკაშვილს პოპულარობის აღსადგენად სჭირდებოდა, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში გამოიყენა“ (თაიმერი 2018).

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა გამოიყენეს ეს ფაქტი ზურაბიშვილის წინააღმდეგ და ისიც განაცხადეს, რომ ზურაბიშვილი „რუსული პოლიტიკის მომხრეა“. ამავდროულად, როგორც ბიძინა ივანიშვილის ფავორიტ კანდიდატს, ისევე თავად ბატონ ბიძინას, არ აწყობდა რუსეთთან ღია დაპირისპირება ან რაიმე სახის დამაბულობა.

თუმცა, საგულისხმოა, რომ სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში დიდი როლი ითამაშა აფხაზეთიდან და ე.წ.სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარების გაყვანაში, როცა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა. მოგვიანებით, მისი და სააკაშვილის პოლიტიკური ამბიციები და გემოვნება შეიცვალა, ზურაბიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური აქტივობა.

წინასაარჩევნო შეხვედრების დროს, ზურაბიშვილმა დაასახელა მისი მთავარი პრიორიტეტები: „ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაცვა...“ „მოვდივარ იმისთვის, რომ ეს მრავალწლიანი საერთაშორისო და საშინაო გამოცდილება მოვახმარო ამ ქვეყანას და მის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის“ (ზურაბიშვილი 2018).

მიუხედავად ამისა, ხალხის ნეგატიური განწყობა მის განცხადებაზე ჯერ კიდევ იგრძნობოდა, რადგან ზურაბიშვილის შეხვედრები საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა, უკმაყოფილო მოსახლეობა ისევ კანდიდატისგან განმარტებას ითხოვდა.

აქვე, საინტერესოა ვახსენოთ, რომ სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატს წარმოადგენდა, თუმცა, მოგვიანებით წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მას „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მხარდაჭერა გამოუცხადა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ქართული ოცნების“ წევრებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ მათ არ ეყოლებოდათ კანდიდატი პარტიიდან. ამომრჩეველთან შეხვედრის დროს კახი კალაძემ „მოსახლეობის მხრიდან „ზეპარტიული“ და „მიუკერძოებელი“ კანდიდატის მხარდაჭერის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ეს „ხელს შეუწყობს, პრეზიდენტის როლის სწორად გააზრებას და პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებით სწორი ტრადიციის დამკვიდრებას“. კალაძის თქმით, ასეთ კანდიდატად მმართველ გუნდს სწორედ სალომე ზურაბიშვილი ესახება. „სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებით ახალი ფურცელი ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ისტორიაში და მჯერა, ახალი ერა დაიწყება საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მოწყობაში“ (კალაძე 2018).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზურაბიშვილის თითქმის ყოველ გამოსვლას კრიტიკა და ქილიკი მოყვებოდა. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ საარჩევნო ბანერებიდან მისი ფოტოებიც გაქრა და ოცნების სხვა წევრების ფოტოები გამოჩნდა (ივანიშვილის, კალაძის და ა. შ). ვფიქრობთ, რომ ზუსტად მაგ დროს ივანიშვილი მიხვდა, რომ მის კანდიდატს მოგების შანსები შეუმცირდა, მათ კი ვაშაძის მოგება არ აწყობდათ.

„მაღალია იმის ალბათობა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის, „ქართული ოცნების“ სავარაუდო ფავორიტის, სალომე ზურაბიშვილის, წინასაარჩევნო კამპანია მის ანტიკამპანიად იქცეს“- ასე განაცხადა პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას, მან რჩევაც კი მისცა სალომე ზურაბიშვილს, რომ გაემზავროს პარიზში 28 ოქტომბრამდე. ხუხაშვილის აზრით, ზურაბიშვილის „მისმა ფრთიანმა ფრაზეზებმა“ აგვისტოს ომის 10 წლის თავზე და ჟურნალისტების ტვინის განძრევაზე მის რეიტინგზე უარყოფითად უკვე იმოქმედა...“ (ხუხაშვილი 2018).

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი მოსაზრება ზურაბიშვილის მოგების საკმაოდ დაბალ შანსებზე არ გამართლდა. რასაკვირველია, მხოლოდ მეორე ტურის შემდეგ მან მოიპოვა ეს შანსი, რაც ბევრი ექსპერტის აზრით იყო მოსალოდნელი.

მნიშვნელოვანია არჩევნების მიმდინარეობის და შედეგების შეფასება სტრატეგიული პარტნიორის მიერ. აშშ-ის საელჩოს განცხადების მიხედვით „არჩევნები არის დემოკრატიის საფუძველი და ამ განწყობით ჩვენ ვეთანხმებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის შეფასებას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იყო კონკურენტული და კანდიდატებს თავისუფლად შეეძლოთ საარჩევნო კამპანიის წარმოება“ (დეგნანი 2018). თუმცა, საელჩომ აგრეთვე მოუწოდა საქართველოს მთავრობას აღმოფხვრას ეუთოს მისიისა და სხვა დამკვირვებლების მიერ აღნიშნული ხარვეზები, კერძოდ, სახელმწიფო რესურსების ერთი მხარის სასარგებლოდ არასათანადოდ გამოყენება. ამისთვის აშშ-მა საქართველოს დახმარებაც შესთავაზა.

„ფრიდომ ჰაუსი“ ს გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში საპრეზიდენტო არჩევნებზე წერია: „მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ჩატარდა მშვიდ გარემოში, იყო დარღვევები და ხმების მოსყიდვის, ამომრჩევლის დაშინებისა და საარჩევნო ყუთებში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის ბრალდებები“ (Freedom House 2018).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა გავლენა არ მოახდინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი თბილისს 2018 წლის 12 დეკემბერს, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებისთანავე ეწვია.

ის შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბახტაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანს, თავდაცვის მინისტრ იზორიას და ახალარჩეულ პრეზიდენტ ზურაბიშვილს. მხარეებმა განიხილეს ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები, მიმდინარე რუსული პოლიტიკის „ბორდერიზაცია“, შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში თანამშრომლობა, საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერის გაზრდა. ასევე

ნატოს წვრთნებში თბილისის მონაწილეობა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2018).

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, სახელმწიფო საქმეში წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ახალარჩეული პრეზიდენტი ვიზიტს აშშ-ში უახლოეს მომავალში განახორციელებს.

მაიკ პომპეომ სალომე ზურაბიშვილთან საუბრისას კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს (პომპეო 2018).

მოგვიანებით, აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. დონალდ ტრამპი წერილში კიდევ ერთხელ უხდის მადლობას საქართველოს ავღანეთის მისიაში შეტანილი წვლილისთვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცების იმედს გამოთქვამს. „ამერიკის შეერთებული შტატები სრულად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, კეთილდღეობასა და დემოკრატიულ განვითარებას, ასევე საქართველოს შემდგომ ურთიერთობას დასავლეთთან“ (ტრამპი 2018).

საქართველო-ამერიკის ურთიერთობის გაღრმავება სამხედრო სფეროში და საქართველოს ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა სრულიად მიუღებელია რუსეთისთვის. 2018-2019 წლებში რუსეთმა არაერთხელ დაარღვია ე.წ. საზღვრები და გააგრძელა ბორდერიზაცია.

„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაგმო რუსეთის უკანონო ბორდერიზაცია სოფელ ატოცთან“ (აშშ-ის საელჩო 2018).

მართალია, სიტყვა „ბორდერიზაცია“ არის ბარბარიზმი და ალბათ უმჯობესია გამოვიყენოთ „საზღვრის გავლება, მონიშვნა“, თუმცა, ყველა ოფიციალურ წყაროში ეს ტერმინი გვხვდება. რაც მთავარია, არანაირი საზღვარი საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს.

„მესრის გავლება საარსებო წყაროს ართმევს ადამიანებს და უზღუდავს მათ თავისუფალ გადაადგილებას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ორივე მხარეს. რუსეთმა უნდა შეწყვიტოს საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია“ (აშშ-ის საელჩო 2018).

2018 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე დაამტკიცა დადგენილება „ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, აგრეთვე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სიის„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ და საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელი შესაბამისი ღონისძიებების თაობაზე“ (საქართველოს მთავრობა 2018).

აქვე დავამატოთ, რომ მიუხედავად რუსეთის აგრესიული პოლიტიკის, 2018 წლის 9 მარტს გავრცელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში ჩასართავად და ახალი ინიციატივის წამოწევა:

„მზად ვართ პირდაპირი დიალოგისათვის აფხაზეთთან და ოსებთან და მისასალმებელი იქნებოდა ამ თვალსაზრისით რუსეთის მხარის რეალურად კონსტრუქციული მიდგომა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გონივრული ნაბიჯების გადადგმაც“ (კვირიკაშვილი 2018).

ცხადია, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება გადაიქცა პოლიტიკური დებატების მთავარ თემად. მით უმეტეს, რომ იგი გაკეთდა არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით განვითარებული სამწუხარო მოვლენების ფონზე, როდესაც საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა ისედაც საკმაოდ მაღალი იყო. რუსეთი მართლაც დაინტერესებულია, რომ დააფიქსიროს საქართველოს მხრიდან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ სწრაფვა მაშინ, როდესაც მას არ შეუცვლია თავისი პოლიტიკა და მიდგომები არც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და არც საქართველოს საგარეო კურსის მიმართ. ამით რუსეთს შეუძლია ამტკიცოს, რომ საქართველო ეგუება იმ რეალობას, რასაც რუსეთის მიერ აფხაზეთისა და

ცხინვალის რეგიონის აღიარება ჰქვია, მეტიც, ის მზად არის ამ პირობებში რუსეთთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისთვის.

რა თქმა უნდა, ეს რუსეთის ფედერაციას დაეხმარება საერთაშორისო ასპარეზზე დაამტკიცოს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღარასოდეს დაუბრუნდება საქართველოს. ამასთან, მას ეძლევა იმის მტკიცების შესაძლებლობაც, რომ თითქოს საქართველოს საზოგადოების უმეტესი ნაწილის სურვილი და მოთხოვნაც კი არის რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, თუმცა, არსებობენ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან და ცდილობენ საზოგადოებას თავს მოახვიონ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკური კურსი.

ცხადია, პირდაპირი დიალოგის დაწყების შემთხვევაში, რუსეთი შეეცდება სრულად მოიხსნას თავისი, როგორც კონფლიქტის მხარის, პასუხისმგებლობა. ამავე დროს გაუგებარია, თუ რა სარგებელი ექნება საქართველოს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ რეჟიმებთან პირდაპირი დიალოგის დაწყებით. საინტერესოა, რუსი პოლიტიკური მეცნიერების დოქტორის ოლეგ კარპოვიჩის მიერ სამეცნიერო ჟურნალში Post- Soviet issues (პოსტსაბჭოთა საკითხები) გამოქვეყნებული სტატია “Russia and Georgia: Time to Interact (რუსეთი და საქართველო, ურთიერთქმედების დროა), რომლის დასკვნაში მკვლევარი წერს, რომ ორმხრივი ურთიერთობების განვითარება რუსეთსა და საქართველოს შორის ინერციით მიმდინარეობს. ორ ქვეყანას აქვს დაპირისპირება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხში, აგრეთვე, რუსეთისთვის მიუღებელია ამიერკავკასიაში და შავი ზღვის რეგიონში ნატოს გაფართოების საკითხში საქართველოს დიდი ინტერესი, რაც თავისთავად უსაფრთხოების სფეროში საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის შესაძლებლობებს მკვეთრად ამცირებს. ამრიგად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორმა მეზობელმა ქვეყანამ უახლოეს მომავალში თანამშრომლობის განვითარება შეძლოს (Karpovich 2019).

აშკარაა, რომ არც რუსეთის აკადემიურ სივრცეში არავინ განიხილავს „ოკუპაციას“ და ქართველი ხალხის ნეგატიურ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ.



2019 წლის 20 ივნისს საქართველოში რუსული „რბილი ძალა“ სააშკარაოზე გამოვიდა. მაშინ, როცა საქართველო მისწრაფვის ნატოსკენ და ევროპულ ოჯახში შესვლისკენ, ქვეყნის მთავრობა უფლებას აძლევს რუსეთის დუმის დეპუტატს სერგეი გავრილოვს ჩაატაროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან „მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო გენერალური ასამბლეის“ სესია რუსულ ენაზე.

გასაკვირი არ იყო ოპოზიციის სწრაფი, მწვავე რეაგირება და პროტესტი სხდომათა დარბაზში. მალევე პროტესტი ქუჩაში გადავიდა და ათასობით მოქალაქე პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბა. საქართველოს მოქალაქეებისთვის მიუღებელი იყო რუსი პოლიტიკოსის ნახვა პარლანეტში, იმ პოლიტიკოსის, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის პარლამენტის წევრია.

ვფიქრობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ აინტერესებდა ხალხის რეაქცია, მაგრამ ასეთ მწვავე პროტესტს არ მოელოდა. „სამწუხაროდ, ორგანიზატორების მიერ დაშვებულ იქნა ძალიან სერიოზული შეცდომა საერთაშორისო ფორუმის ჩატარებისას“ ამბობს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი და მთავარი მომლაპარაკებელი რუსეთთან ზურაბ აბაშიძე და დასძენს, რომ შემდგომ ეს შეცდომა აღიარეს უშუალოდ ორგანიზატორებმაც და „ოცნების“ ხელისუფლებამაც მთლიანად (აბაშიძე 2019).

პრეზიდენტში ორი სავარძელი დაიდგა, დღის წესრიგით ბერძენი გენერალური მდივნის მიერ მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის საქმიანობის მიმოხილვამდე გათვალისწინებული იყო მისასალმებელი სიტყვები. 20 ივნისს სერგეი გავრილოვს სხდომა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მიჰყავდა, შესვენებაზე კი სპიკერატი „ევროპული საქართველოს“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დაიკავეს და მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის სხდომა ჩაშალეს.

მოსახლეობაში ანტირუსული განწყობები უფრო მკვეთრი გახდა. 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას ოფიციალური დიპლომატიური კავშირები არ ჰქონდათ. საქართველოს არმიის განადგურების შემდეგ, რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, სადაც მუდმივი

სამხედრო ბაზები განათავსა. თბილისმა და დასავლელმა მოკავშირეებმა რუსეთის ქმედებებს „უკანონო სამხედრო ოკუპაცია“ უწოდეს. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია ხალხის უარყოფითი რეაქცია საქართველოს პარლამენტში რუსი დეპუტატის გამოსვლაზე.

პოლიტიკურ კრიზისს საქართველოში ფართოდ და დეტალურად განიხილავს რუსი მკვლევარი ფიოდოროვსკაია თავის სამეცნიერო სტატიაში „Политический кризис в Грузии“ (პოლიტიკური კრიზისი საქართველოში). ავტორი წერს საქართველოს შიდა პოლიტიკურ სიტუაციაზე: „რთულია პროგნოზების გაკეთება საქართველოში მოვლენების განვითარების პერსპექტივაზე, რადგან ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემთხვევას შეუძლია გამოიწვიოს სიტუაციის დესტაბილიზაცია ქვეყანაში. ეს მოხდა 2019 წლის ზაფხულში, როდესაც მასიური პროტესტის მიზეზი გახდა რუსი პარლამენტარის სერგეი გავრილოვის გამოსვლა მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის სხდომაზე პარლამენტის დარბაზში“ (Feodorovskaya 2019).

სამწუხაროდ, მკვლევარი ვერ ან არ ხედავს საქართველოს საზოგადოების პროტესტის რეალურ მიზეზს და „უმნიშვნელო შემთხვევას“ უწოდებს. ამკარაა, რომ ხალხი აპროტესტებდა არა მხოლოდ კონკრეტულად გავრილოვის გამოსვლას საქართველოს პარლამენტში, არამედ რუსულ აგრესიულ პოლიტიკას და საქართველოს ოკუპაციას.

მასშტაბურ საპროტესტო აქციაზე მოქალაქეებმა მოითხოვეს შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას, პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, ვახტანგ გომელაურის გადადგომა, ასევე, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება 2020 წელს პროპორციული სისტემით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გავრილოვის განსაკუთრებული მიღება პარლამენტის შენობაში არ დაწყებულა. მანამდე, 2019 წლის 19 ივნისს, გენერალური ასამბლეა თბილისში ავლაზრის სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიების დროს, ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ, სტუმრებს სიტყვით მიმართა. სერგეი გავრილოვიც სიტყვით გამოვიდა, რომლის დროსაც პროტესტის ნიშნით ღონისძიება უკრაინის ელჩმა საქართველოში იგორ დოლოგოვმა დატოვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

ოპოზიციურმა პარტიებმა, კერძოდ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ მოითხოვა, არ შემოეშვათ საქართველოში რუსეთის დელეგაციის წევრები და გენერალურ ასამბლეას ბიუჯეტის კი გამოუცხადა. საპასუხოდ, „საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ და დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა, ოპოზიცია საერთაშორისო ღონისძიების დისკრედიტაციის მცდელობასა და იზოლაციონიზმში დაადანაშაულეს“ (თალაკვაძე 2019).

ხელისუფლებამ ინციდენტის მიზეზად ტექნიკური შეცდომა დაასახელა. რამდენად ტექნიკური იყო შეცდომა მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის, მიერ იყო ხელმოწერილი მართლმადიდებლობის საპარლამენტაშირისო ასამბლეის 26-ე გენერალური ასამბლეის სამუშაო გეგმა, რომელიც გაწერილი იყო სტუმრების აეროპორტში დახვედრის, მათი დაცვით უზრუნველყოფის, გენერალური ასამბლეის ჩასატარებლად პარლამენტის შენობის მომზადებისა და სხვა საორგანიზაციო საკითხებს, დარბაზის პრეზდიუმის ცენტრში არსებული ტრიბუნიდან (სხდომის თავმჯდომარის ადგილი) არსებული პერსონალური კომპიუტერების აღების ჩათვლით. თანამდებობა პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, დატოვა. თუმცა, ამან არ შეაჩერა ხალხი. შეკრებილების მკაცრი მოთხოვნა იყო მინისტრ გახარიას თანამდებობის დატოვება და ყველას დასჯა, ვინც აქციის მონაწილეების მიმართ არაპროპორციული ძალა გამოიყენა. ამ დღეს „გავრილოვის ღამე“ ეწოდა, როდესაც საქართველოში ხაზგასმით აღინიშნა ანტიდემოკრატიული პროცესები.

საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ამერიკის მკაცრი შეფასება და შემფოთება მოჰყვა. ამერიკელი სენატორები, დიპლომატები და ოფიციალური ვაშინგტონის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ მომხდარს და ბევრ ინტერვიუში უარყოფითად აფასებდნენ მთავრობის ქმედებებს.

ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკელი დიპლომატი, აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი უკრაინაში და ყოფილი წარმომადგენელი ნატო-ში, კურტ ვოლკერი (Kurt Volker), შეფასებებს აკეთებს („ინტერპრესნიუსს“ ) საქართველოში 20 ივნისის შემდგომ დამდგარ ცვლილებებზე, დასავლეთსა და საქართველოს შორის

ურთიერთობებზე, ნატო-ში შესაძლო გაწევრიანებასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ვოლკერის თქმით, მოვლენები არასწორად განვითარდა, როცა ქართველი ხალხის პროტესტი რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და მათი წარმომადგენლის გამძევება საქართველოს პარლამენტის შენობიდან გადაიზარდა მთავრობისა და ხალხის დაპირისპირებაში.

„ფაქტი, რომ ეს ყველაფერი გადაიზარდა მთავრობასა და პროტესტის მონაწილეთა შორის დაპირისპირებაში, დასაწყისია, ეს ტრაგედიაა და სწორედ ამან გაუხსნა გზა შემდგომ პროტესტსა და დემონსტრაციებს, რომელიც უფრო მთავრობის წინააღმდეგ მიმართა, ვიდრე - რუსების წინააღმდეგ“ ვოლკერმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საყურედღებოა ცამეტი კონგრესმენის ანგარიში, სადაც წერია: „ბიძინა ივანიშვილი, საქართველოში უმდიდრესი ადამიანი, პუტინის ახლო მოკავშირეა და რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს დესტაბილიზაციამია ჩართული“ (ვოლკერი 2020).

მისი აზრით, საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ეს სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ გამოხატავს მთელი ამერიკის კონგრესმენების მოსაზრებას. „საქართველოსთვის არსებობს შესაძლებლობა, გაამდიდროს ურთიერთობები ევროკავშირთან, ნატოსთან, აშშ-სთან, ქვეყანა ამ ტრანსატლანტიკურ ბევრი წლის განმავლობაში, სხვადასხვა ადმინისტრაციის პირობებში იდგა. თუმცა ვფიქრობ, საქართველო დგას რისკის წინაშე, რომ გარე პირები შეხედავენ ქვეყანას და იტყვიან, აჰა, საქართველო მზად არაა, არაა ჩამოყალიბებული დემოკრატია, ნატო-სთვის და ევროკავშირისთვის მზად არ არიან. შედეგად, ამ ქვეყნებისა და ინსტიტუციებისთვის არ იარსებებს იმის სტიმული და მიზეზი, რომ საქართველოსთან ურთიერთობების გაფართოება განაგრძონ. შესაბამისად, ეს ხელიდან გაშვებული დიდი შანსი იქნება“ (ვოლკერი 2020).

აქციის დარბევისას დაშავდა 240-დე ადამიანი, მათ შორის, 80-მდე სამართალდამცავი. აქციაზე დაშავებულმა რამდენიმე ადამიანმა დაკარგა თვალი. დაზიანებები მიიღო მედიის 30-ზე მეტმა წარმომადგენელმა. დარბევის შემდეგ გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა კი თქვა, რომ ტოვებს დეპუტატის

მანდატს. აქციის მონაწილეებს ეს საკმარისად არ მიაჩნდათ და პროტესტს აგრძელებდნენ გახარიას გადადგომის მოთხოვნით. პერმანენტული აქციები რუსთაველის გამზირზე თვეზე მეტხანს გრძელდებოდა (AP News 2019).

20 ივნისის შემდეგ თბილისში მიმდინარე მოვლენები „ანტირუსულ პროვოკაციად“ შეაფასა რუსეთის ხელისუფლებამ და 8 ივლისიდან საქართველოსთან ავიამიმოსვლა გაუუქმა, ასევე, რუსეთის დუმის დეპუტატები მოქალაქეებს ქართული პროდუქციისა და კურორტების ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ (PBK 2019).

იყო მწვავე შიდაპოლიტიკური ბრძოლა და ოპოზიციური ძალები ცდილობდნენ მმართველი პარტიის დამხობას. თუმცა, საზოგადოების აქტიურობა თანდათან ჩაცხრა, ტრადიციული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მეთოდების წყალობით: ზოგიერთი თანამდებობის პირი გადადგა და ივანიშვილმა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება ნულოვანი ბარიერით.

20-21 ივნისის აქციების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გასცეს დაპირება, რომ პროპორციული სისტემით არჩევნებს, ნაცვლად 2024 წლისა, 2020 წელს ჩაატარებდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან გიორგი გახარია გადადგა (თუმცა გახარია სექტემბერში დაწინაურდა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე მამუკა ბახტაძე ჩაანაცვლა).

საინტერესოა კონგრესმენების წერილები გიორგი გახარიასთან. 16 დეკემბერს გახარიამ პირველი წერილი ადამ კინზინგერისა და გარი კონოლისგან მიიღო. წერილში კონგრესმენები გამოთქვამდნენ იმედს, რომ ხელისუფლება დაუყონებლივ მიიღებდა პროპორციულ საარჩევნო სისტემას. ისინი წერდნენ, რომ ქართველებს სურთ მთავრობა, რომელიც უფრო მჭიდრო კავშირში იქნება დასავლეთთან და რომ საქართველოდან გავრცელებული ახალი ამბები, მთავრობის მიერ სანქცირებული ძალადობის შედეგად დემონსტრანტების, პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების დაშავების შესახებ თავზარდამცემია“ (კინზინგერი და კონოლი 2019).

მოგვიანებით, რესპუბლიკელმა კონგრესმენმა, მარკუეინ მალინმა, გიორგი გახარიას წერილით მიმართა და საქართველოს მთავრობას მოუწოდა, შეწყდეს მტრული

დამოკიდებულება ამერიკული კომპანიების მიმართ. მალინი წერილში წერდა, რომ ის შემფოთებულია საქართველოს დემოკრატიული ღირებულებებისგან გადახვევითა და ეკონომიკური გაუარესებით. ამ წერილით კონგრესმენი თავის კოლეგების, ადამ კინზინგერისა და გარი კონოლის, კრიტიკულ წერილს შეუერთდა (მალინი 2019).

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა ორი ამერიკელი კონგრესმენის შემფოთებას თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობები ისევ მაღალ დონეზეა და რაც უფრო მეტ მიზანს მიაღწევს საქართველო, მით მეტი მოთხოვნა და მოლოდინი იქნება...“ (გახარია 2019).

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კონგრესმენების კრიტიკული წერილები მიიღო, თუმცა, მათი კრიტიკა და მოწოდებები არ იქნა გათვალისწინებული.

ამრიგად, ქვეთავში ჩატარებული კვლევისა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა ხარვეზები და საქართველომ აშშ-ის ოფიციალური პირებისგან მიიღო შესაბამისი შეფასება და რეკომენდაციები. აგრეთვე, აშშ-იმ საქართველოს შესთავაზა დახმარება ამ საკითხის მოგვარებაში, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. დონალდ ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ პრეზიდენტ ზურაბიშვილთან კომუნიკაციის დროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მხარი დაუჭირეს და ორი ქვეყნის თანამშრომლობის განმტკიცების იმედი გამოთქვეს. შიდა პოლიტიკური პოლარიზაცია და ერთპარტიული მმართველობა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას აფერხებს და ეწინააღმდეგება დასავლურ ღირებულებებს, თუმცა, სავსებით მისაღებია რუსეთისთვის. „გავრილოვის“ ინციდენტის შემდეგ ქვეყანას პროპორციული არჩევნების სისტემის მიღების შანსი მიეცა.

### 2.3. შეერთებული შტატების გზავნილები და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების პოლიტიკური შეფასებები

აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა უფრო მკაცრი შემოღობვა გამოთქვეს მაშინ, როცა მთავრობამ შავი ზღვის სანაპიროზე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა შეაჩერა. მმართველი პარტიის ლიდერს, ივანიშვილს, რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის, მარიონეტიც კი უწოდეს: „ვლადიმერ პუტინის მარიონეტი თავს დაესხა ინვესტიციებს და დაარღვია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები საქართველოში“ (ოლსონი 2020).

ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს მთავრობა მკაფიოდ არ გამოხატავს თავის პრინციპებს და დასავლურ კურსს, არამედ ბევრ საკითხში ითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ხშირად აცხადებს, რომ საქართველო უნდა გახდეს რეგიონალური ჰაბი, ის აჩერებს ისეთ მასშტაბურ პროექტს, როგორცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა. სხვათაშორის, სიტყვა „ჰაბი“, როგორც „ბორდერიზაცია“ არის ბარბარიზმი და მისი შესატყვისია სიტყვა ცენტრი ან კერაა, თუმცა, ეს სიტყვაც ფართოდ გამოიყენება როგორც არააკადემიურ, ისე აკადემიურ სივრცეშიც.

არაერთი მკვლევარი სამეცნიერო ნაშრომებში იკვლევს ანაკლიის პორტის პროექტის საკითხს. ეკონომიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი კორღანაშვილი ნაშრომში ანაკლიის პორტის პროექტის მნიშვნელობაზე წერს, რომ პორტი საქართველოს სატრანსპორტო კვანძად ჩამოყალიბებაში ხელს შეუწყობს, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია. „საზღვაო ნავსადგურის სიღრმე 20,5 მეტრია (ბათუმში - 14 მეტრი, ფოთში 8,5 მეტრი). ანაკლიის პორტი დიდი ზომის გემების მიღებას შეძლებს 50-150 ათასი ტონა ტევადობით. ახალი პორტი გახდება სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი მთავარი ლოჯისტიკური ცენტრი და მთავარი საზღვაო კარიბჭე საქართველოსთვის. პოტენციური პორტის სიმძლავრე წელიწადში 100 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს...“ (Корганашвили 2018).

იმას, რომ ანაკლიის პორტის პროექტი ფინანსური კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ამ საკითხის გარშემო ჩატარებული

კვლევების შედეგები, რომლებიც ძირითადად ჩატარებულია მკვლევართა მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით. მაგალითად: ბიზნეს სკოლის ასოცირებული პროფესორები გიგაური და დამენია სამეცნიერო ნაშრომში „ინიციატივა „სარტყელი და გზა“-ს ეკონომიკური მოლოდინები სამხრეთ კავკასიისთვის, განსაკუთრებით საქართველოსთვის“ (Economic Expectations of the Belt and Road Initiative for the South Caucasus, with Emphasis on Georgia) წერდნენ, რომ საქართველო მიზნად ისახავს გახდეს ჩინეთსა და ევროპას შორის სავაჭრო სატრანზიტო ჰაბი. ფაქტობრივად, მისი პოზიცია შავი ზღვის პორტებში - ბათუმი, ფოთი და ანაკლია დაეხმარება ქვეყანას რეგიონის ლოგისტიკური ჰაბი გახდეს და კონკურენცია გაუწიოს შავი ზღვის პორტებს აღმოსავლეთ თურქეთში, რომლებიც ჯერ დაუმთავრებელია. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტს შეუძლია გააუმჯობესოს საქართველოს მთლიანი კონკურენტუნარიანობა (Gigauri and Damenia 2019).

2017 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ პაპავა და ეკონომიკის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ჭარაია, სამეცნიერო სტატიაში „Belt and Road Initiative: Implications for Georgia and China-Georgia Economic Relations“ ანაკლიის პორტზე აღნიშნავენ, რომ ევროკავშირს და ჩინეთს შორის ვაჭრობის გაფართოება საშუალებას მისცემს საქართველოს გახდეს ჩინეთთან დამაკავშირებელი ლოგისტიკური ჰაბი. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება“ (Charaia and Papava 2017).

გარდა ფინანსური მნიშვნელობისა, პროექტს პოლიტიკური დატვითვაც ჰქონდა. არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ (GSAC) ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული სტატია „Moving forward: How Georgia can advance US strategic interests, („წინსვლა: როგორ შეუძლია საქართველომ წინ წაწიოს აშშ-ს სტრატეგიული ინტერესები“), რომლის ავტორი ანიკა კასტეტერი (Annika Kastetter) დეტალურად განიხილავს ზემოაღნიშნულ პროექტს. „მნიშვნელოვანი აშშ-საქართველოს ეკონომიკური კავშირების გაღრმავების მაგალითია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი. ის ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტია საქართველოს ისტორიაში. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი განამტკიცებს საქართველოს პოზიციას, როგორც



ლოგისტიკური და ინდუსტრიული განვითარების ჰაბი რეგიონში. მას აქვს ამერიკული კომპანიების მხარდაჭერა, როგორცაა SSA Marine, ეს მნიშვნელოვანი პრეცედენტია ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის. საქართველოს ლიბერალური ეკონომიკური კლიმატი და უსაფრთხოება და განვითარებადი დემოკრატია, შესაძლებელი გახადეს ისეთი პროექტების განხორციელება, როგორცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი“ (Kastetter 2018).

კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ მკვლევარ ნინო ქემოკლიძის სამეცნიერო სტატიიდან „China’s belt and road initiative: Opportunities and challenges for Georgia, რომელშიც მან დაწერა ანაკლიაზე: „პატარა ზღვისპირა ქალაქი დასავლეთ საქართველოში, სეპარატისტულ აფხაზეთთან ახლოს, იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. 17 მეტრიანი სიღრმის ანაკლიის პორტი სავარაუდოდ იქნება „პირველი ღრმაწყლოვანი პორტი“ საქართველოში 2,5 მილიარდი დოლარის ინვესტიციით“ (Kemoklidze 2021).

2020 წელს სამეცნიერო კონფერენციაზე ერთ-ერთი თემა იყო „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის: ახალი სტრატეგიული ჰაბი ევრაზიაში “GEOPOLITICAL SIGNIFICANCE OF THE ANAKLIA DEEP SEA PORT FOR GEORGIA: A NEW STRATEGIC HUB IN EURASIA“ მკვლევრების აზრით, დიდი სახელმწიფოები ავლენენ ინტერესთა სერიოზულ შეჯახებას ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის მიმართ, რაც თავის მხრივ ართულებს პროექტის მომავალი განვითარების პროგნოზირებას. კიდევ უფრო გაუარესდა აშშ-ჩინეთის ურთიერთობები, რაც, თავის მხრივ, უკვე გამოვლინდა ვაშინგტონსა და პეკინს შორის ეკონომიკურ ომში“ (Karchava and Lomia 2020).

ამავდროულად, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროექტს ძლიერი შიდაპოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდა: მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, ამის შესახებ პირადად განაცხადა და პროექტი შეაფასა, როგორც საუკეთესო მაგალითი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2019 წლის 18 ივნისს გამოაქვეყნა სტატია, სადაც დაწვრილებით განიხილავს ზემოაღნიშნულ საკითხს და მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს.

„თიბისი ბანკის“ წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის მთავარი სამიზნე, როგორც ჩანს, მამუკა ხაზარაძე იყო, რადგან ის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტის მთავარი განმახორციელებელი იყო“ (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2019). მიუხედავად იმისა, რომ მამუკა ხაზარაძემ დატოვა თიბისის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, ამ ფაქტმა ვერ შეაფერხა ანაკლიის პროექტის განვითარება, კერძოდ, დონორების მოძიება. როცა ამ კამპანიამ ვერ შეაჩერა პროექტი, ხელისუფლებამ გადაიტანა მთავარი აქცენტი პროექტზე და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მხრიდან ვალდებულებების არასათანადოდ შესრულებაზე დაიწყო საუბარი. ამავდროულად, ოთხი მსხვილი დონორის მხრიდან სახელმწიფოსგან გარანტიების მიღების აუცილებლობა დადგა. მოლაპარაკებების შედეგად, წარდგენილი რვა მთავარი მოთხოვნიდან შვიდზე იყო მიღწეული შეთანხმება. ერთ საკითხზე, კერძოდ, ტვირთბრუნვის რისკების დაზღვევაზე მთავრობამ თავი შეიკავა.

მოგვიანებით, საქართველოს მთავრობა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ სამუშაო რეჟიმში გადავიდნენ და ამ საკითხთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ჩაცხრა. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდა და სრულიად მოულოდნელად 29 მაისს გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2019 წლის 2 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-მა, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ 2018 წლის 11 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე ქალაქ ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დაამტკიცა. მალევე, ამას მოჰყვა მწვავე რეაქცია „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მხრიდან, რომელმაც განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული პროექტი საფრთხეს უქმნის ანაკლიის პორტის მშენებლობას. „ეს გამოიწვევდა ანაკლიის პროექტში ჩართული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ნდობის დაკარგვას, რადგან მთავრობასთან გამართულ ბოლო მოლაპარაკებაზე, 21 მაისს, ამ ფაქტის შესახებ არაფერი თქმულა“ (Anaklia Development Consortium 2022).

2019 წლის 30 მაისს, ეკონომიკის სამინისტრომ ფოთში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პირობების დოკუმენტი გააუქმა და მინისტრმა, ნათია თურნავამ, განაცხადა,

რომ საკითხი მასთან ან სხვა მთავრობის წევრებთან შეთანხმებული არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი ტერმინალის აშენება შეჩერდა, საკითხი არ დახურულა და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ იმედოვნებს, რომ ახალი ტერმინალის მშენებლობას შეძლებენ.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ჰოლანდიურმა კომპანიამ „ეიპიემ ტერმინალ ფოთმა“ ფოთის პორტი შეიძინა. მისმა გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ღრმაწყლოვანი პორტის საჭიროება საერთოდ არ არის. კლაუს ლაურსენის თქმით: „...რადგან აბრეშუმის გზა მსოფლიოს ამ ნაწილში შავ ზღვას ბულგარეთისკენ, რუმინეთისკენ ან უკრაინისკენ ჭრის და დიდი ხომალდები თავის მარშრუტად შავ ზღვას არ აირჩევენ. „წარმოდგენა არ მაქვს, ბანკირებმა რა იციან ტრანსპორტირების შესახებ. ინდუსტრიის შიგნით მართლა არ გვესმის, რატომ ვაშენებთ პორტს დამატებით 2 მილიონ კონტეინერზე, როდესაც დღეს მთელი ბაზარი დაახლოებით 400 ათასი კონტეინერია“ (Lawrence 2019).

2018 წლის 12 იანვარს, „ეიპიემ ტერმინალს ფოთს“ და „ფოთის ახალი ტერმინალების კონსორციუმს“ შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას ახალი ნაყარი ტვირთების ტერმინალის მშენებლობაში. ახალი ტერმინალის აშენება „ეიპიემ ტერმინალს ფოთის“ კუთვნილ მიწაზე განიხილება.

„ფოთის ახალი ტერმინალების კონსორციუმში“ ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები არიან გაერთიანებული. საქართველოს მხრიდან თამაზ ჩხიკვიშვილია ჩართული, რომელიც 2005 წლიდან დღემდე ფოთის საზღვაო ნავსადგურის მე-5 ტერმინალის გრძელვადიანი იჯარის მფლობელი ფირმის პარტნიორია.

საინტერესოა, რომ „ეიპიემ ტერმინალს ფოთის“ გენერალურმა დირექტორმა, კლაუს ლაურენსმა განაცხადა: „არავინ ფიქრობს, რომ ქვეყანას ორი ღრმაწყლოვანი ნავსადგური სჭირდება. ამისთვის საკმარისი ტვირთი არ არსებობს“ (ლაურენსი 2019). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ეიპიემ ტერმინალსმა“ რამდენიმე წლის წინ სწორად ვერ გათვალა ტვირთბრუნვის პერსპექტივა.

აქვე უნდა აუცილებლად გამოვკვეთოთ მთავარი საკითხი, რუსეთის და მმართველი გუნდის ინტერესები. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“

გამოაქვეყნა „ფოთის პორტში ნავთობპროდუქტების ტერმინალებს კომპანია „პეტროკასი“ ფლობს, რომლის 49%-ის მფლობელი რუსული სახელმწიფო კომპანია „როსნეფტია“. „როსნეფტი“ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზეც საქმიანობს, რითაც იგი, სავარაუდოდ, არღვევს საქართველოს კანონს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“.

ფოთის პორტში რვა ნავმისადგომს და ტერმინალს „პეის ჯგუფი“ ფლობს. „პეის ჯგუფში“ ცხრა კომპანია ერთიანდება, რომლებიც სხვადასხვა სახის მომსახურებას წევენ. „პეის ჯგუფში“ შემავალი კომპანიების ერთ-ერთმა მთავარმა პარტნიორმა, ირაკლი კერვალიშვილმა, ყურადღება მიიქცია, როდესაც ყოფილი გენერალური პროკურორიდან, ოთარ ფარცხალაძესგან 2 მილიონ ლარად შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტის“ 100%-იანი წილი შეიძინა. ირაკლი კერვალიშვილი (ფლობს შპს „პეის ჯორჯიას“ 38%-ს) და ასევე „პეის ჯგუფის“ კომპანიების სხვა პარტნიორები პარტია „ქართული ოცნების“ მსხვილი შემომწირველები იყვნენ.

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ განცხადებით, მათ 2018-2019 წლებში „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილს შემდეგი თანხები შესწირეს:

- 2017 წელს „ქართულ ოცნებას“ - 60 ათასი ლარი (ირაკლი კერვალიშვილი);
- 2018 წელს სალომე ზურაბიშვილს 60 ათასი ლარი (ირაკლი კერვალიშვილი);
- ასევე 60-60 ათასი ლარი „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილს 2017-2018 წლებში („პეის ჯორჯიას“ 38%-ის მფლობელმა ლაურა ლარიონი);
- 60 ათასი (ირაკლი თათეიშვილი, „პეის ჯორჯიას“ 10% მფლობელი);
- 50 ათასი (თეიმურაზ კერვალიშვილი, „პეის ჯორჯიას“ 10%);
- 2017 წელს „ქართულ ოცნებას“ 60 ათასი ლარი (კაპანაძე, „პეის ჯორჯიას“ 4%);
- 2017 წელს „ქართულ ოცნებას“ 30 ათასი ლარი („პეის ჯორჯიას“ შვილობილი კომპანიის შპს „ტრანსფორდის“ დირექტორი აპოლონ ბჟალავა);
- 2018 წელს სალომე ზურაბიშვილს 20 ათასი ლარი (აპოლონ ბჟალავა);
- 2017 წელს „ქართულ ოცნებას“ 30 ათასი ლარი (შპს „პეის ტერმინალის“ დირექტორი დავით ნადირაშვილი);
- 2018 წელს სალომე ზურაბიშვილს 10 ათასი ლარი (ნადირაშვილი).~

მთლიანობაში, კომპანიის ყველა მეწილემ 2017-2018 წლებში სახელისუფლებო პარტიას და მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს 620 ათასი ლარი შესწირა.

ფოთის პორტში ჩინური კომპანიის ინტერესებიც არის წარმოდგენილი. 2017 წელს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილის მფლობელი ჩინური კომპანია “CEFC China Energy” გახდა. ინდუსტრიული ზონის მუშაობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ფოთის პორტის ტვირთბრუნვაზე.

2014-2016 წლებში “CEFC” სწრაფად მზარდი კომპანია იყო, რომლის ბრუნვამ 2016 წელს 40 მილიარდ დოლარს მიაღწია. თუმცა, 2017 წელს CEFC-ის ერთ ერთი ხელმძღვანელი პირი პატრიკ ჰო ნიუ იორკში დააპატიმრეს. მას ბრალად ჩინური კომპანიის სასარგებლოდ აფრიკის ქვეყნების თანამდებობის პირების მოქრთამვა წაუყენეს. ასევე, “CEFC”-ის იარაღით ვაჭრობასა და ირანის სანქციებისთვის თავის არიდებას ედავებიან. იძებნება კომპანიის დამფუძნებელი და ყოფილი ხელმძღვანელი იუ ჟიანმინგი, რომელიც 2016 წელს საქართველოშიც იყო ჩამოსული და პრემიერ-მინისტრს შეხვდა (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2019).

მაშინ როდესაც “CEFC” უკვე იყო გახვეული საერთაშორისო კორუფციულ სკანდალებში, 2018 წლის თებერვალში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი “CEFC Energy Company Limited”-ის რეგიონული პროექტების მართვის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მრჩევლად დაინიშნა. მოგვიანებით კი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის თანამდებობაზე.

ანაკლიის პორტის გარშემო ჩინური ინტერესების შესაძლო გააქტიურებას თან დაერთო ჩინეთ-აშშ-ს შორის საკმაოდ გართულებული ურთიერთობა. აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილმა მეორე მოადგილემ, ბაიდენის ცენტრის დირექტორმა მაიკლ კარპენტერმა განაცხადა, რომ „თუ ამერიკელი ინვესტორები იძულებულები იქნებიან დატოვონ ანაკლიის პროექტი და ეს ჩინური კომპანიების სასარგებლოდ მოხდება, ეს იქნება ძალზე ნეგატიური სიგნალი და ფაქტობრივად გაყინავს სამომავლოდ აშშ-ისა და დასავლეთის ინვესტიციებს საქართველოში“ (კარპენტერი 2019).

ანაკლიის პროექტზე ასევე საუბარი იყო მაშინ, როცა სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ბახტაძეს 2019 წლის ზაფხულში ვაშინგტონში შეხვდა. პრესკონფერენციაზე პომპეომ გამოთქვა „იმედი, რომ საქართველო დაასრულებს პორტის პროექტს“ და გააფრთხილა „რუსული ან ჩინეთის ეკონომიკური გავლენის მსხვერპლი არ გამხდარიყო“ (პომპეო 2019). მისი თქმით, პორტი გააღრმავებს საქართველოს ურთიერთობას თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან და თავიდან აარიდებს რუსულ და ჩინურ ეკონომიკურ ზეგავლენას.

მაიკ პომპეოს განცხადებიდან მეორე დღეს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა განაცხადა, რომ ანაკლიის პორტის პროექტის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება სოლიდურია და ეს არის საქართველოსთვის სტრატეგიული, კომერციულად მიმზიდველი პროექტი. მოგვიანებით, ხელისუფლების წევრებისგან ისმოდა, რომ პორტის პროექტს კომერციული პრობლემები აქვს.

ამ პორტს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატებისთვის, რასაც ვხედავთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ყოფილი მოადგილის ევროპისა და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზას განცხადებაში:

„ვფიქრობ, ეს უზარმაზარ გავლენას მოახდენს საქართველოს ნატოს პერსპექტივაზე. ის გამოყენებული იქნება აშშ-ს - აღჭურვილობისა და მასალის ავღანეთში ტრანსპორტირებისთვის... ანაკლიის პორტი ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას შავი ზღვის ვაჭრობის მოცულობის გაფართოებით, რაც თავის მხრივ შეასუსტებს რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურ გავლენას და საქართველოზე კონტროლს. პორტი საქართველოს უფრო ძლიერ გლობალურ სავაჭრო ცენტრად აქცევს, რაც შესანიშნავი იქნება მისი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ზოგადი უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით“ (Bryza 2019).

მოგვიანებით, 2020 წელს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ, აგრეთვე, ოთხი კონგრესმენის წერილი მიიღო. კინზინგერი, კოლონი, ენჯელი და მაქკოული ერთობლივ წერილში წერდნენ:

„შემფოთებული ვართ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის პოლიტიკებითაც. „ქართული ოცნების“ მიზანმიმართული „პოლიტიკური თავდასხმა“ აშშ-ს მიერ

მხარდაჭერილ ანაკლიის პროექტზე შეაჩერებს ამერიკული კომპანიების ინვესტიციებს ამ „მნიშვნელოვან პროექტში“... როგორც ჩანს, ყოველივე ეს ასახავს მზარდ არახელსაყრელ ბიზნეს გარემოს, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს მომავალი ამერიკული ინვესტიციები საქართველოში... შემცირებული უცხოური ინვესტიციები არა მხოლოდ უარყოფითად აისახება ქართველ ხალხზე და დასავლურ ინსტიტუტებთან უფრო ღრმა ინტეგრაციის იმედებზე, არამედ გააძლიერებს რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, ზეგავლენას რეგიონში“ (Kinzinger, Connolly, Engel, McCaul 2020).

12 ივნისს ცნობილი გახდა, რომ მთავრობა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ პროექტის ფინანსური დახურვის ვადას 6 თვით გადაუვადებს. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ განცხადებით, მას სრულად აქვს მობილიზებული პროექტისთვის საჭირო კაპიტალი და ამის ოფიციალური გაცხადება მაშინ მოხდება, როდესაც საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები შეთანხმებას მიაღწევენ.

ივლისში აშშ-ის საელჩომ გააკეთა განცხადება, სადაც საელჩო შემფოთებას გამოთქვამდა თიბისი ბანკის დამფუძნებლებისთვის „ბრალის წაყენების კონტექსტსა და დროის გარემოებასთან“ დაკავშირებით. ამასთან, გამოქვეყნდა ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადება, რომელმაც ხელისუფლებას ამ საქმის „გამჭვირვალედ“ გამოძიებისკენ მოუწოდა (აშშ-ის საელჩო 2020).

იმას, რომ ანაკლიის პროექტის შეჩერება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, გვიდასტურებს მამუკა ხაზარაძის ინტერვიუც. „მთავარი არხის“ ეთერში მან განაცხადა: „არ დამავიწყდება ძალიან ცუდი საუბარი 2017 წელს, სულ ვაყენებდი ბიძინა ივანიშვილს საქმის კურსში და მას შევხვდი რეზიდენციაში. საუბარი დაიწყო ძალიან მძიმედ, მითხრა, რომ შევეშვათ ანაკლიას, შენ ეტყობა გეოპოლიტიკაში ვერ ერკვევი, რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაშიო. მეგონა რაღაც შაყირთან გვექონდა საქმე...“ (ხაზარაძე 2019).

საქართველოს ჰქონდა შანსი გამხდარიყო ჩინეთსა და ევროპას შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის სახმელეთო სავაჭრო მარშრუტის სატრანზიტო კვანძი. თუმცა, 2020 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ გააუქმა კონტრაქტი ანაკლიაში ახალი ღრმაწყლოვანი პორტისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარების შესახებ, რომელიც მდებარეობს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის მიერ ოკუპირებულ

აფხაზეთის რეგიონთან. პორტის პროექტი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციად განიხილებოდა.

ანაკლიის პორტი არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ამერიკული ბიზნესი საქართველოს მთავრობასთან ან ადგილობრივ კონკურენტებთან დაპირისპირებაში ჩაება, ან დაზარალდა მსგავსი დავებით. ამერიკელები ხშირად საუბრობენ სამართლიანი კონკურენციის არარსებობაზე ან სავარაუდო ფართო პრორუსულ მიკერძოებაზე, რაც ართულებს ამერიკული კომპანიების შემოსვლას ქართულ ბაზარზე.

მაშინ, როცა საქართველო ცდილობს გახდეს რეგიონის ეკონომიკური ჰაბი, ამერიკის შეერთებული შტატები პრიორიტეტს ანიჭებს სამართლიან კონკურენციასა და კანონის უზენაესობას.

2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა.

ათი წლის შემდეგ, 2019 წელს საქართველომ ზემოაღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტი, რომლის შინაარსი იყო შემდეგი- „პოლიტიკური პლურალიზმის განმტკიცების მიზნით, მხარეები ითანამშრომლებენ, რათა გაძლიერდეს მედიის თავისუფლება, პარლამენტი, სასამართლო რეფორმა, კანონის უზენაესობა, ანტიკორუფციული ღონისძიებები, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები“ (აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ 2009) -საქართველომ უხეზად დაარღვია, რის გამოც აშშ-დან მკაცრი გზავნილები მიიღო.

სექტემბერში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია წარადგინა.

პროპორციული სისტემის მიღებისა და მრავალპარტიული პარლამენტის შესახებ ივანიშვილის განცხადების მიუხედავად, ხელისუფლებამ საარჩევნო სისტემის შეცვლაზე უარი თქვა. მათ კანონპროექტის დაბლოკვა თავიანთ მაჟორიტარ დეპუტატებს დააბრალეს. ამ პოლიტიკურმა პროცესებმა საქართველოში გამოიწვია აშშ-ს ნეგატიური რეაქცია და შეფასდა როგორც ანტიდემოკრატიული ნაბიჯები.



ეს პუნქტიც ნიშანდობლივია: „ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო პირობას ვდებთ, ვითანამშრომლოთ საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის ზრდისათვის, მათ შორის წავახალისოთ პოლიტიკური პარტიების განვითარება, ანალიტიკური ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი მონაწილეობით სრულყოთ კანონმდებლობა და გავატაროთ რეფორმები უფრო კონკურენტული საარჩევნო გარემოს შესაქმნელად“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2009).

სენატორებმა ჯიმ რიშმა, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, და ჯინ შაჰინმა, ევროპისა და რეგიონული უსაფრთხოების თანამშრომლობის ქვეკომიტეტის რანგის წევრმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას გამოუგზავნეს წერილი, რომელშიც გამოთქვეს „შემფოთება ბოლო მოვლენების გამო, რომელიც მიუთითებს საქართველოს ვალდებულებისგან უკან დახევაზე... ჩვენ ვშიშობთ, რომ რეფორმების პროგრესის ნაკლებობა და გაზრდილი დამახულობა საქართველოში მხოლოდ კარს გაუღებს რუსეთის გაძლიერებულ ჩარევას ქვეყანაში და მთელ რეგიონში. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს ქმედებები, მით მეტად დადგება საფრთხის ქვეშ საქართველოს უსაფრთხოება და შესაძლოა იძულებული გავხდეთ გადავაფასოთ ჩვენი პარტნიორობა“, - აცხადებენ სენატორები. „დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს ჰყავს მრავალი საერთაშორისო მხარდამჭერი და ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ თქვენი ქვეყნის დახმარება“, - აღნიშნეს სენატორებმა და დასძინეს, „თუმცა, ჩვენ მოტივირებული ვართ მხარი დავუჭიროთ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას მხოლოდ მანამ, სანამ შეგვიძლია დავეყრდნოთ საქართველოს როგორც სანდო და დემოკრატიულ პარტნიორს“. „ჩვენ გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ თქვენ სწრაფად იმუშავებთ ამ სიტუაციის შესაცვლელად და ქართველი ხალხის წინაშე მიცემული დაპირებების შესასრულებლად“ (Risch and Shaheen 2020).

პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებული კანონპროექტის ჩავარდნის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ თემა დახურა. თუმცა საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით, მმართველი პარტია მაინც იძულებული გახდა ჩართულიყო მოლაპარაკებების პროცესში. სადისკუსიო მაგიდასთან ოპოზიციამ ერთიანი ფრონტით იყო წარმოდგენილი - პროპორციული არჩევნების მოთხოვნამ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული

პოლიტიკური ძალებიც დააკავშირა. გაიმართა უმედეგო ოთხი რაუნდი. „მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, განამტკიცოს თავისი ერთგულება დემოკრატიული პრინციპების, პიროვნების თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის მიმართ - სასამართლოსა და პროკურატურის სისტემის პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფით“, - წერია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 23 დეკემბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში (U.S. Department of State 2020).

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის შეშფოთების და უარყოფითი შეფასების კიდევ ერთი მიზეზი გახდა მოსამართლეთა არჩევის საკითხი.

ქარტიაში ვკითხულობთ: „ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო მზად ვართ ვითანამშრომლოთ სამართლის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ჩათვლით. ამ მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს დახმარება გაუწიოს ამ პროცესს, მათ შორის მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების და პოლიციის ოფიცრების ტრეინინგის ჩათვლით“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2009).

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების დასახელება მოხდა ისეთ გარემოში, სადაც საზოგადოებრივი ნდობა დაბალია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მიმართ. ბოლო წლების განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოებამ და საერთაშორისო დამკვირვებლებმა მრავალჯერ გამოთქვეს წუხილი საქართველოში სასამართლო სისტემის სამართლიანობისა და ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის მისი საზედამხედველო ორგანოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება პარლამენტს წარუდგინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატები. 2019 წელს უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლის დანიშვნას, რასაც ODIHR-ი უწევდა მონიტორინგს, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო სუბიექტების კრიტიკა მოჰყვა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გვერდზე გამოქვეყნებულ ანგარიშში ვკითხულობთ: „2019 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღა“. კანონმდებლობა ითვალისწინებდა რამდენიმე ძირითად დებულებას, რომელიც დაფუძნებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე,

რომლებიც მიზნად ისახავს სასამართლო სისტემაში მეტი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და დამოუკიდებლობის შექმნას ისეთ სფეროებში, როგორცაა სასამართლო დისციპლინა, დანიშვნა და საქმეების მართვა. თუმცა, პაკეტმა დატოვა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ინდივიდუალური სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევის უფლებამოსილება; არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ეს უფლებამოსილება საშუალებას მისცემს უმაღლეს საბჭოს გააგრძელოს გავლენა ცალკეულ მოსამართლეებზე“ (U.S. Department of State 2020).

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დასკვნაში მკაფიოდ ჩანს მოსამართლეთა დანიშვნის საკითხის ნეგატიური შეფასება.

„ცვლილებების პროექტის“ შემუშავების და მიღების პროცესი, როგორც ჩანს, არ შეესაბამება დემოკრატიული კანონშემოქმედების ზემოხსენებულ პრინციპებს. სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეფორმის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, ინკლუზიური, სიღრმისეული და მოხდეს ეფექტური კონსულტაციების საფუძველზე, მათ შორის უზენაეს სასამართლოს წარმომადგენლებთან, სასამართლო ხელისუფლების სხვა წევრებთან, შესაბამის ორგანოებთან, როგორცაა საქართველოს სახალხო დამცველი, არასამთავრობო ორგანიზაციები და უნდა ეფუძნებოდეს სრულყოფილ ზემოქმედების შეფასებას, მათ შორის შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას, ზემოხსენებული პრინციპების მიხედვით. ასევე, ამის შემდეგ კანონშემოქმედების პროცესის ყველა ეტაპისთვის დაწესებული უნდა იყოს საკმარისი დრო“ (U.S. Department of State 2020).

2019 წლის დანიშვნების შემდეგ პარლამენტი შეუდგა დანიშვნების სამი ცალკეული და ნაწილობრივ თანმხვედრი დანიშვნის პროცესის განხორციელებას, უზენაეს სასამართლოში რამდენიმე არსებული და ახალი ვაკანსიის შევსების მიზნით. ეს პროცესები 2020 წლის შემოდგომაზე დაიწყო 11 ვაკანტური ადგილისთვის, მიუხედავად ამისა, აღნიშნული კანდიდატების დასახელების სამი პროცესის მიმდინარეობის დროს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო ბაზაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა აღნიშნული პროცესების სამართლიანობა და თანასწორობა.

20 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსით, პარლამენტმა თანამდებობაზე 14 მოსამართლე უვადოდ აირჩია. არჩეული მოსამართლეების დიდი უმრავლესობა სასამართლოში არსებული გავლენიანი მოსამართლეების ან ხელისუფლების ინტერესების გამტარებლად მოიაზრება. განსაკუთრებით შემამწოთებელი აღმოჩნდა, მოქმედი გენერალური პროკურორის, შალვა თადუმაძის, თანამდებობაზე ისე არჩევა, რომ მისი დიპლომის ნამდვილობის საკითხი პარლამენტს გამოკვლეული არ ჰქონდა. უზენაეს სასამართლოში საბოლოოდ ისეთი კანდიდატებიც მოხვდნენ, რომლებთან გასაუბრებამაც აჩვენა, რომ არათუ უზენაესის სასამართლოსათვის საკმარის, არამედ კომპეტენციის მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდნენ. საბოლოო შედეგმა აჩვენა, რომ ხელისუფლების მიზანი უზენაესი სასამართლოს კეთილსინდისიერი და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება არ ყოფილა. სინამდვილეში მოსამართლეთა შერჩევის პროცესი, ფორმალური ხასიათის იყო. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რამაც საპარლამენტო უმრავლესობას შერჩევის პროცესის შედეგად წინასწარ დაგეგმილი შედეგის დაყენების შესაძლებლობა გაუადვილა. საბოლოო ჯამში კი, უზენაესი სასამართლო ძირითადად არა კონკურსში მონაწილე მაღალი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატებით, არამედ ხელისუფლების მიერ წინასწარ ლობირებული კადრებით დაკომპლექტდა.

ყოველივე ამის გამო, „პროცესი კრიტიკულად იქნა შეფასებული როგორც ადგილობრივი არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის საკითხი საქართველოს მეგობარი ქვეყნების შეფასებებშიც ცალსახად ნეგატიური კუთხით მოხვდა. აღნიშნული პროცესი სასამართლოს მიმართ ნდობის კიდევ უფრო მეტად შემცირების საფუძველი იქნება. შერჩევის პროცესის მარეგულირებელი ნორმების ხარვეზების, პროცესში პარტიული ინტერესების, მოსამართლეთა კვალიფიკაციის დაბალი დონისა და სხვა პრობლემური საკითხების არსებობის გამო, შესაძლოა ამ პროცესის არალეგიტიმურობის საკითხიც კი დადგეს, რამაც ასევე შესაძლოა უზენაესი სასამართლო, ისე როგორც მთლიანობაში სასამართლო სისტემა, არაერთი რეფორმის, სისტემური ჩარევის, სიღრმისეული ცვლილებების და ზოგადად

მძიმე პროცესების ობიექტიც კი გახადოს“ (დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი 2019).

საქართველომ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. გამჭვირვალობა და კანონის უზენაესობა უნდა იყოს დაცული ხელისუფლების ყველა დონეზე. აუცილებელია, რომ საქართველომ გააგრძელოს კანონის უზენაესობის გაძლიერება, მთავრობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 2018-2019 წლებში ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა აქტიური და ნაყოფიერი იყო, განსაკუთრებით ის განვითარდა და გააქტიურდა სამხედრო სფეროში. ეს უფრო მკვეთრად ჩანს, თუ შევადარებთ ობამას ადმინისტრაციის დროს ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებას იმ ე.წ. პაუზის ფონზე, რაც გამოწვეული იყო პრეზიდენტ ობამას მიერ რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის არჩევით. ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში საქართველომ შეერთებული შტატებიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და დახმარება მიიღო, აქედან პრიორიტეტული თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება იყო.

აშშ-მა დადებითად შეაფასა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში, თუმცა, აშშ-ის საელჩომ, აგრეთვე, მოუწოდა საქართველოს მთავრობას აღმოფხვრას ეუთოს მისიისა და სხვა დამკვირვებლების მიერ აღნიშნული ხარვეზები და ამისთვის ამერიკამ საქართველოს დახმარებაც შესთავაზა.

რუსეთის ინტერესების გათვალისწინება პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ანაკლიის პორტის პროექტის შეჩერება, საქართველოსთვის შეიძლება საზიანო იყოს და უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს არა მხოლოდ ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე, არამედ მის საერთაშორისო იმიჯზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საკმაოდ ნეგატიური იყო. შტატებმა არაერთხელ გამოხატა შეშფოთება იმ მოვლენებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანეს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორისთვის არასასურველია მთავრობის ანტიდემოკრატიული ქმედებები, შეთანხმებების დარღვევა/არშესრულება. აშშ-ის ოფიციალური პირები თავიანთ წერილებში პირდაპირ მიუთითებენ მმართველ პარტიას, რომ იზრუნოს ქვეყნის სწორ განვითარებაზე.

აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის დემოკრატიის განვითარება, რისთვისაც აუცილებელია სასამართლო რეფორმის გატარება, სამთავრობო გამჭვირვალობის გაზრდა, პოლიტიკური და მედიის პლურალიზმის გაფართოება და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ საქართველო- აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა უნდა მეტად გაღრმავდეს და განვითარდეს, რადგან „მეტი ნატო საქართველოში“ არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის იქნება უსაფრთხოების, სტაბილურობის და რუსეთის აგრესიისგან დაცვის გარანტი.

ასე რომ, კვლევის შედეგად გამოტანილია მთავარი დასკვნები. პოლიტიკური კრიზისი საქართველოში უარყოფითად აისახება როგორც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე, აგრეთვე შესაძლოა აშშ-საქართველოს სტრატეგიულ ორმხრივ თანამშრომლობაზე. ოფიციალური პირების აზრით, კრიტიკის მთავარ მიზეზებს წარმოადგენს საქართველოში ერთპიროვნული, შენიღბული მმართველობა, რუსეთის პოლიტიკის გათვალისწინება და ანტიდემოკრატიული ნაბიჯები.

საქართველო თავისი რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობით უამრავი გამოწვევის წინაშეა, ამიტომაც, ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მკაფიო და ურყევი სტრატეგია და უცვლელი დასავლური კურსი. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან ყველა შესაძლო მიმართულებით და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ყოველივეს უნდა ჰქონდეს რეალური შედეგები.

### თავი 3: აშშ-საქართველოს ურთიერთობა პანდემიის, შიდა პოლიტიკური კრიზისისა და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე 2020 წელს

#### 3.1. საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

კვლევის ამ ნაწილის მიზანია გამოაჩინოს, თუ რა პოლიტიკური ძვრები გამოიწვია საქართველოში საპარლამენტო არჩევნებმა და რა როლი ითამაშა შტატებმა საქართველოში კრიზისის მოგვარებაში. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ქრონოლოგიურად მიმოვიხილოთ პრეზიდენტ ტრამპთან და მის ადმინისტრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური ამბები.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში წაყენებულ ორივე ბრალდებაში გაამართლა. იმ ბრალდებაში, რომელიც გულისხმობდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, დონალდ ტრამპის უდანაშაულოდ ცნობას 52-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, ხოლო წინააღმდეგი - 48 იყო. მეორე, ანუ კონგრესისთვის ხელის შეშლის ბრალდებას, პრეზიდენტის სასარგებლოდ ხმა მისცა 53-მა კონგრესმენმა, წინააღმდეგი კი - 47 იყო. იმისთვის, რომ სენატს დონალდ ტრამპი დამნაშავედ ეცნო, საჭირო იყო ხმების 2/3 და, შესაბამისად, ტრამპს მოუწევდა თანამდებობის გადაბარება ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსისთვის (Congress. Gov ArtII.S4.4.9).

დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის პროცესი დემოკრატიებმა 2019 წლის ბოლოს დაიწყეს. ისინი ტრამპს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკიზე ზეწოლაში ადანაშაულებდნენ. ოპონენტების მტკიცებით, აშშ-ის პრეზიდენტმა ზელენსკის სატელეფონო საუბრის დროს საპრეზიდენტო არჩევნებში მისი კონკურენტის - „დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატ ჯო ბაიდენისა - და მისი შვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება მოსთხოვა (Congress. Gov ArtII.S4.4.9). ამ სატელეფონო საუბრამდე ორი კვირით ადრე კი უკრაინას სამხედრო დახმარება შეუჩერა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, გამოაცხადა ამერიკული სამხედრო კონტინგენტის სირიიდან გამოყვანის შესახებ,

რომელსაც მოგვიანებით დაემატა გადაწყვეტილება ავღანეთში განთავსებული 14-ათასიანი ამერიკული კონტინგენტის 50%-ით შემცირების თაობაზე, რომლებიც მონაწილეობენ სამშვიდობო მისია „მტკიცე მხარდაჭერის“ ოპერაციაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ სირიაში ბრძოლა ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დასრულდა და ამიტომაც 2,2-ათასიანი კონტინგენტის განთავსება სირიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი რვა რაიონში და ყველაზე მსხვილ ატ-ტანაფის ბაზაზე, წარმოადგენდა ამ მნიშვნელოვანი მისიის საბოლოოდ აღსრულებას. აღნიშნული პროცესი უნდა გაგრძელებილიყო 60-100 დღის განმავლობაში და ამავე დროს, ტრამპის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამერიკული დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებიც დატოვებდნენ ქვეყანას (Council on Foreign Relations 2017-2020).

რაც შეეხება პოლიტიკურ ცხოვრებას საქართველოში, ის ძალზე დაძაბული და რთული იყო. 2020 წელს საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატია სამი განსხვავებული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა: დაძაბული საპარლამენტო არჩევნები, კორონა ვირუსის პანდემია და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური დაპირისპირების ესკალაცია დაიწყო, რომელიც 2019 წლის ბოლოს პროპორციული სისტემის მიღების ჩაგდებათ და, დიდი კრიტიკის მიუხედავად, უზენაის სასამართლოში თოთხმეტი მოსამართლის არჩევის შემდეგ პიკს მიაღწია. მწვავე კრიტიკა მოსამართლეთა დაკომპლექტების საკითხზე არამხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან, არამედ სახალხო დამცველის, საერთაშორისო პარტნიორების და სამი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მხრიდან ბევრჯერ დაფიქსირდა.

ამავდროულად ამ საკითხმა „ქართული ოცნების“ შიგნით დაპირისპირება გამოიწვია, რომლის შემდეგ პარტია ეკა ბესელიამ და რამდენიმე დეპუტატმა დატოვა, შესაბამისად, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა.

მოგვიანებით, 2019 წლის 20 ივნისს სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა საქართველოს პარლამენტში მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის ჩატარების შემდეგ, რომლის დროსაც რუსეთის დუმის დეპუტატმა სერგეი გავრილოვმა საქართველოს



პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა და ასამბლეას მიმართა. ოპოზიციამ მწვავედ გააპროტესტა მისი გამოჩენა. ამ ინციდენტს მოჰყვა საპროტესტო აქციები საქართველოს პარლამენტის შენობასთან. ფართომასშტაბიანი აქციების ფონზე მმართველი პარტიის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება ნულოვანი ბარიერთა და საარჩევნო ბლოკების გარეშე. თუმცა, მოგვიანებით, პარლამენტში ამ კანონის მიღების ჩაგდება პოლიტიკური პროცესი ჩიხში შეიყვანა, რის გამოც პოლიტიკური პოლარიზაცია მკვეთრად გაიზარდა.

ეს ფაქტი და პოლიტიკური მოვლენები ამერიკის მთავრობის კრიტიკის საგანი გახდა. მოგვიანებით, საქართველოს მთავრობას ვაშინგტონიდან წერილი გამოუგზავნეს. წერილის ავტორები აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჯეიმს რიში და კომიტეტის წევრი სენატორი ჯინ შაჰინი იყვნენ. სენატორი რიში რესპუბლიკური, ხოლო სენატორი შაჰინი დემოკრატიული პარტიის წევრია.

წერილში, რომლის ადრესატიც საქართველოს იმდროინდელი პრემიერი-მინისტრი, გიორგი გახარია, იყო, სენატორებმა ღრმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მათი შეფასებით, დაპირებული საარჩევნო რეფორმის ჩაგდება და მშვიდობიანი პროტესტის ძალადობრივი ჩახშობა ქართული დემოკრატიის და მმართველობის დასუსტებაზე მიუთითებს.

19 იანვარს გახარიას წერილით მიმართა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა, მარკუეინ მალინმა, და მთავრობას მოუწოდა, შეწყდეს მტრული დამოკიდებულება ამერიკული კომპანიების მიმართ. მალინი წერილში წერდა, რომ ის შეშფოთებულია საქართველოს დემოკრატიული ღირებულებებისგან გადახვევითა და ეკონომიკური გაუარესებით. ამ წერილით კონგრესმენი თავისი კოლეგების, კინზინგერისა და კონოლის, კრიტიკულ წერილს შეუერთდა (Mullin 2020).

მალინის წერილს მალევე, 21 იანვარს კიდევ ერთი წერილი დაემატა, რომელსაც ხელს აწერდნენ რესპუბლიკელი და დემოკრატი კონგრესმენები, ადამ კინზინგერი, ჯერი კონოლი, ელიოტ ენგელი და მაიკლ მაკკაული. წერილში კონგრესმენები შეშფოთებას

გამოთქვამდნენ დემოკრატიული რეფორმის ჩაგდებისა და თანმხლები ძალადობის გამო მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.

კონგრესმენების განცხადებით, ასევე საგანგაშოა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის პოლიტიზირებაც. წერილში აღნიშნული იყო, რომ ისინი შეწუხებულები იყვნენ პროკურატურის მიერ ქართული ოცნების ოპონენტების წინააღმდეგ დაწყებული თუ განახლებული საქმეებით.

25 იანვარს პარტია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გახარიას მიმართ მიწერილი კიდევ ერთი წერილი გაასაჯაროვა, რომელიც 19 დეკემბრითაა დათარიღებული. წერილის ავტორი ამჯერად ჰელსინკის კომისიის სენატორი როჯერ ვიკერი იყო. წერილში ნათქვამია, რომ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს მისაღები საარჩევნო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თამაში თანაბარ წესებს ყველასთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში - არჩევნების ლეგიტიმაცია შემცირდება (Wicker 2020).

ტეხასელმა კონგრესმენმა პიტერ ოლსონმა ტვიტერის (Twitter) ოფიციალურ გვერდზე დაწერა, რომ „ქართველი ხალხი კორუმპირებულ მთავრობაზე უკეთესს იმსახურებს“ (Olson 2020). 28 იანვარს კი კონგრესში სიტყვით გამოსვლის დროს ოლსონმა ბიძინა ივანიშვილი ამერიკული სატელევიზიო შოუს პერსონაჟს გრაუჩი ოსკარს შეადარა და მას ვლადიმერ პუტინის მარიონეტი უწოდა.

30 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. მოლაპარაკების მთავარი მიზანი იყო ქვეყანაში შექმნილი უაღრესად პოლარიზებული გარემოს გაუმჯობესება და საარჩევნო სისტემაზე შეთანხმების მიღწევა. მოლაპარაკებაში ჩართული იყო ევროკავშირის, აშშ-ს, გერმანიისა და ევროსაბჭოს დიპლომატიური წარმომადგენლები, რომლებიც ფასილიტატორის როლს ასრულებდნენ. ამ ფორმატში რამდენიმე შეხვედრა ჩატარდა, თუმცა, მხარეების მიერ წარდგენილი საარჩევნო სისტემის სხვადასხვა მოდელების განხილვის შემდეგ შეთანხმება ვერ შედგა. ფასილიტატორების ძალისხმევით და საერთაშორისო ზეწოლის ფონზე დიალოგი არაოფიციალურ ფორმატში გაგრძელდა და 8 მარტს, საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება შედგა, რის შესახებაც მხარეებმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის თანახმად,

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს შერეული საარჩევნო სისტემით 120 პროპორციული და 30 მაჟორიტარული მანდატის განაწილებით.

11 მაისს ფასილიტატორებმა ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, რომ „შეთანხმება შედგება ორი ნაწილისგან: ერთი ფოკუსირებულია საარჩევნო სისტემაზე, მეორე კი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხების გადაჭრაზე, რაც სასამართლო სისტემაში პოლიტიკურ ჩარევას ჰგავს“ (აშშ-ის საელჩო 2020).

შესაბამისად, საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან მათ შორის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარისა და აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარის მხრიდან გაჟღერდა მოწოდება, რომ ხელისუფლებამ შეასრულოს 8 მარტის შეთანხმება. ხელისუფლებას ე.წ. პოლიტკატიმრებთან დაკავშირებული დაპირება პირველად 7 მაისს ევროპარლამენტარმა ანდრიუს კუბილიუსმაც შეახსენა: „ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, სრულად დაიცვან შეთანხმების ორივე ნაწილი“ (აშშ-ის საელჩო 2020).

აქვე უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ 15 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის შეწყალებას მოაწერა ხელი (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია 2020). ზურაბიშვილის ეს ნაბიჯი საერთაშორისო პარტნიორების მიერ პოზიტიურად იქნა შეფასებული.

საქართველოში მეათე საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა. მოგეხსენებათ, რომ 2008 წლიდან საქართველოს ერთპალატიან პარლამენტში 150 წევრი იყო. 2016 წლამდე კანდიდატების არჩევა შერეული სისტემით ხდებოდა, კერძოდ, დეპუტატების ნახევარი ან ცოტა მეტი პარტიული სიებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი, როგორც პირდაპირი კანდიდატები, ჩვეულებრივ, იყვნენ პარტიების მიერ წარდგენილი და მათ საარჩევნო ოლქში 50% და ერთი ხმა უნდა მიეღოთ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2020).

მოგვიანებით, რამდენიმე პარტიის მხრიდან შერეული საარჩევნო სისტემის მთლიანად პროპორციულზე გადასვლის მოთხოვნა წამოიჭრა. 2018 წელს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვით პარლამენტის არჩევნები

მთლიანად პროპორციული წესით 2024 წლიდან ჩატარდება. თუმცა, ოპოზიციური პარტიები პროპორციული სისტემის შემოღებას უკვე 2020 წლიდან ითხოვდნენ.

2020 წლის თებერვლის დასაწყისში საპარლამენტო დელეგაცია აშშ-ში ჩავიდა. პარლამენტის თავჯდომარის, არჩილ თალაკვაძის, თქმით, ვიზიტის მთავარი მიზანი იყო სწორი ინფორმაციის მიწოდება პარტნიორებისთვის (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2020). არჩილ თალაკვაძე აშშ-ის ელჩთან ერთად აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტის აპარატის უფროსს, კრის სოჩას, შეხვდა. საუბარი ძირითად პოლიტიკურ საკითხებს და 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის როლს შეეხებოდა. არჩილ თალაკვაძემ სენატის საგარეო კომიტეტის მაღალჩინოსანს მიმდინარე საკითხებზე და სამომავლო გეგმებზე მმართველი გუნდის ხედვა გააცნო (თალაკვაძე 2020).

ევროკავშირის დელეგაციისა და თბილისში აშშ-ს საელჩოს ერთობლივი შუამავლობით, 2020 წლის 8 მარტს მიაღწიეს კომპრომისულ პოლიტიკურ შეთანხმებას ყველა პოლიტიკურ დაინტერესებულ მხარეს შორის საქართველოში საარჩევნო სისტემის შესახებ. ახალი კანონის მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 120 წევრი პროპორციული წარმომადგენლობით უნდა აერჩიათ, ხოლო 30 წევრი - ერთმანდატიან ოლქებში. ამავდროულად, იმისთვის რომ პარლამენტი უფრო წარმომადგენლობითი ყოფილიყო, შემოღებულ იქნა დროებითი 1%-იანი საარჩევნო ბარიერი. პროპორციული სისტემის სრული ცვლილება კი 2024 წელს იგეგმება.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, 2020 წლის არჩევნები ასევე პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის ჩატარდა პოლიტიკური ძალების მკაცრი დაპირისპირების ფონზე: მიუხედავად პანდემიისა, საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის უფლების მქონე ადამიანების 56,1% მივიდა. ამის საპირისპიროდ, 2008 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა ისეთ სიტუაციებში, როდესაც ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ „არაფერი შეიცვლებოდა“.

2020 წლის დაბალმა საარჩევნო ბარიერმა ხელი შეუწყო პარტიების დიდი რაოდენობით მონაწილეობას არჩევნებში: რეგისტრირებული იყო 48 პარტია და ორი საარჩევნო ბლოკი. მიუხედავად Covid-19-ის პანდემიისა, რომელიც გულისხმობდა მრავალ

შეზღუდვას მასობრივი შეკრებებისთვის, პარტიებს ჰქონდათ საკმარისი შესაძლებლობა, ჩაეტარებინათ საარჩევნო კამპანია.

არჩევნებს აკვირდებოდა არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია (IEOM). არჩევნებამდე და მის დროს დაფიქსირებული ზოგიერთი დარღვევების მიუხედავად, IEOM-ისა და ზოგიერთი დამკვირვებლის მიერ, საერთო კონსენსუსი იყო:

„არჩევნები კონკურენტუნარიანი იყო ფუნდამენტური თავისუფლების გათვალისწინებით და პარტიებს შეეძლოთ თავისუფალი კამპანიის ჩატარება. ეუთო და ევროკავშირი გარკვეულწილად აკრიტიკებდნენ არჩევნებს, თუმცა, არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ“ (საბოლოო ანგარიში: OSCE–ODHIR 2021).

მრავალჯერადი წინასწარი გამოკითხვებით არაერთხელ გამოვლინდა „ქართული ოცნების“ გამარჯვება, მეორე ადგილი ხმების ნახევარით - „ნაციონალურ მოძრაობას“ ერგო, ხოლო ხმების 3-4%-ზე ნაკლები 6-7 სხვა პარტიას. არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს, სხვადასხვა ტელევიზიის დაკვეთით ჩატარებულმა ოთხმა ეგზიტპოლმა ლიდერობა „ქართულ ოცნებას“ და მეორე ადგილი „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა. რეალურ შედეგებთან ყველაზე ახლოს იყო ედისონ რისერჩის (Edison Research) მიერ ჩატარებული ეგზიტპოლი, რომელიც ოპოზიციური ტელევიზიის „ფორმულა“-ს დაკვეთით ჩატარდა, რომელმაც იწინასწარმეტყველა ხმების 46% „ქართული ოცნებისთვის“ და 28% „ნაციონალური მოძრაობისთვის.“

ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილება „ნაციონალური მოძრაობის“ მეთაურობით არჩევნების შედეგების დისკრედიტაციის შესახებ პარლამენტში შესვლაზე უარის თქმის, არჩევნების მეორე ტურის ბოიკოტის, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ შეცდომად. ანტისამთავრობო აქციების მოწყობის მცდელობებს მხარი დაუჭირა ძალიან მცირე რაოდენობამ. დამაბული პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში თითქმის ექვს თვეს გაგრძელდა და საბოლოოდ მოგვარდა ევროკავშირისა და აშშ-ს მნიშვნელოვანი დიპლომატიური დახმარებით. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა საბოლოოდ პარლამენტს შეუერთდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები ჯერ კიდევ არასრულყოფილი და მყიფეა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებმა საქართველოში კენჭისყრის შედეგები ლეგიტიმურად აღიარეს, ბევრმა ოპოზიციურმა პარტიამ თითქმის ექვსი თვის განმავლობაში ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს (Gachechiladze and Gogsadze 2021).

არაერთმა მკვლევარმა სამეცნიერო ნაშრომი 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე დაწერა. შესწავლილი და განხილული იყო არჩევნები, როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური კუთხით, მედიის, საერთაშორისო საზოგადოების, სტრატეგიული პარტნიორების როლი ამ პროცესში და შეფასებები.

საკვლევი საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შტატების ნეგატიური შეფასება საქართველოში მედიის თავისუფლების მიმართულებით. საარჩევნო პერიოდში საქართველოში კვლავ აქტუალური გახდა მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის საკითხი. დიდი რეზონანსი ჰქონდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“ საქმეს. მოგეხსენებათ, რომ 2019 წლის 18 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ საქმის განმხილველი მოსამართლეების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საჩივარზე დარღვევა არ დაადგინა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2019).

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო სტრასბურგის სასამართლოს მიერ „რუსთავი 2“ საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შესაბამისი განცხადებით გამოეხმაურა. „ჩვენ ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „რუსთავი 2-ის“ საქმეზე 18 ივლისის გადაწყვეტილების ირგვლივ შექმნილ ვითარებას. სიტყვის თავისუფლება და პლურალისტური მედიაგარემო დემოკრატიის საძირკველია. ჩვენ მოვუწოდებთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდეს სამართლიანად, აპოლიტიკურად და რომ უზრუნველყოფილ იქნას მედიაში მოსაზრებათა სიმრავლის შესაძლებლობა“ (დეგნანი 2019).

მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ტელეკომპანია მის ყოფილ მფლობელს, ქიზარ ხალვაშს დაუბრუნებდა. ხალვაშმა „რუსთავი 2“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად პაატა სალია დანიშნა. ამ ცვლილების შემდეგ, ჟურნალისტების განცხადებით, ტელევიზიაში ადგილი ჰქონდა სარედაქციო დამოუკიდებლობისა და შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებს. აგრეთვე საინფორმაციო სამსახურის უფროსი და რამდენიმე წამყვანი ჟურნალისტი გაათავისუფლეს, რის შემდეგაც „რუსთავი 2“ ჟურნალისტების დიდმა ნაწილმა ტელეკომპანია დატოვა.

2019 წელს საქართველოში ორი ახალ ტელეკომპანია დაფუძნდა: „მთავარი არხი“ და „ფორმულა“. ნიკა გვარამიამ ტელეკომპანია „მთავარი არხი“ დააფუძნა „ომეგა ჯგუფის“ საკუთრებაზე არსებულ ტელეკომპანია „იბერიის“ ბაზაზე, ხოლო ტელეკომპანია „ფორმულა“, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის ყოფილ მინისტრის დავით კეზერაშვილის დაფინანსებით შეიქმნა.

თუმცა, საქართველოს პროკურატურამ 9 აგვისტოს ნიკა გვარამიას ბრალი წარუდგინა სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლის საფუძველზე, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ადგენს პასუხისმგებლობას და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენებას გულისხმობს.

საყურადღებოა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის განცხადება „რუსთავი -2“ საქმეზე. „ამერიკის შეერთებული შტატები შემფოთებით უყურებს უზენაესი სასამართლოს მიერ „რუსთავი 2-ის“ შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შედეგს, რამაც შესაძლოა ფაქტობრივად შეზღუდოს სამაუწყებლო მედიისადმი ოპოზიციური ხმის წვდომა. პლურალისტური მედია უმნიშვნელოვანესია საქართველოს დემოკრატიული ზრდისა და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებებისთვის. ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ მედიაგარემო დარჩეს თავისუფალი, ღია და პლურალისტური“ (აშშ-ის საელჩო 2019).

გარდა ამისა, 2020 წელს ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო დავალიანების გადაუხდელობის გამო საინკასო დავალება წარადგინა „ტვ პირველის“, ტელეკომპანია „მთავარი არხისა“ და ტელეკომპანია „კავკასიის.“ საინტერესოა ის ფაქტი, რომ წარსულში ფინანსთა სამინისტრომ ასევე გამოაქვეყნა ინფორმაცია „იმედისა“ და „მაესტროს“ შესახებ, თუმცა მათ სანქცია არ შეეხოთ. შესაბამისად, ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიამ ეს ფაქტი, კერძოდ, მაუწყებლის მიმართ შერჩევითი საგადასახადო პოლიტიკის წარმოება, ხელისუფლების მხრიდან მაუწყებლების მიმართ ზეწოლად შეაფასა.

საარჩევნო პერიოდში გააქტიურდა და კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა სოციალური მედია, განსაკუთრებით პოპულარული იყო სოციალური პლატფორმა ფეისბუქი. ამიტომაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „სამართლიანი არჩევნები“ სოციალური მედიის მონიტორინგს ატარებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საზოგადოებამ მედიისადმი ნდობა გარკვეულწილად დაკარგა, მაგრამ ადამიანების უმეტესობა ჯერ ისევ მათი გავლენის ქვეშ არის და ზოგჯერ ვერ ხედავს რეალურ სურათს, თუ რა ხდება საქართველოში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართული მედიის როლი და გავლენა არჩევნებზე და პოლიტიკურ მოვლენებზე კვლევის საგანი გახდა რუსი მეცნიერებისთვის. მათ სტატიაში „მედია გარემო საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს“ («Медийная среда в Грузии в ходе парламентских выборов 2020 года») მოცემულია საქართველოს სახელმწიფო და კერძო მედია კომპანიების მუშაობის ანალიზი 2020 წლის საპარლამენტო წინასაარჩევნო რბოლის დროს. მათი აზრით, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო აგრესიული და რადიკალური ხდებიან ქართული მედია-კომპანიები ერთმანეთთან და აუდიტორიასთან მიმართებაში. სიტუაციის დესტაბილიზაციაში მნიშვნელოვანი როლი მასმედიას ეკუთვნის (Абазов, Скворцова 2022, 115).

თუ შევადარებთ საინფორმაციო გამოშვებას ორ არხზე – „მთავარი არხი“ და „იმედი“ ან „ფორმულა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი აზრი დაახლოებით ერთი და იმავე მოვლენაზე იქნება რადიკალურად განსხვავებული, რაც ნაკარნახევია მედიასაშუალების პოლიტიკური და ფინანსური



კუთვნილებით. აშკარაა, რომ მედია საქართველოში ემსახურება გარკვეული ჯგუფის ინტერესებს და ხშირ შემთხვევებში აღრმავებს განხეთქილებას საზოგადოებაში და ხელს უწყობს დესტაბილიზაციას ქვეყანაში.

ვფიქრობთ, რომ ამ პირობებში მედიას გაუჭირდება ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და კეთილდღეობას, რაც აჩვენა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა ბოლო წლებში, როდესაც მთავრობამ და ოპოზიციამ მედია საკუთარი ინტერესების გასაძლიერებლად გამოიყენა.

ამას ადასტურებს ავტორიტეტული ქართული ტელეარხების არსებობის ისტორია, რომ მედია აშკარად ემსახურება განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების ჯგუფებს და შექმნილია პოლიტიკური იარაღად გამოყენების მიზნით (Абазов, Скворцова 2022).

ნეგატიური სარეკლამო კამპანია საქართველოში, როგორც სხვა სახელმწიფოების უმრავლესობაში, დამკვიდრებული მიდგომაა. პოლიტიკური რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან თავად პოლიტიკური სუბიექტები. აშკარად კანონსაწინააღმდეგო პოლიტიკური რეკლამების აკრძალვა საკუთარ ეთერში ევალებათ თავად მაუწყებლებს (ტულუში, კუპრაშვილი, ქორიძე, რუხაძე 2022, 31).

სწორედ ასეთი მიდგომა განაპირობებს იმას, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიაში ყველაზე დიდი რაოდენობით გამოიყენეს სარეკლამო რგოლები, რომელიც ძირითადად შეიცავდა ნეგატიური შინაარსს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნეგატივი არა მხოლოდ მმართველი პარტიის მისამართით ვრცელდებოდა, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მისამართითაც. ამასთანავე, ერთ-ერთი პარტია მთლიანად ფოკუსირებული იყო ნეგატიურ სარეკლამო სატელევიზიო კამპანიის გავრცელებაზე და საერთოდ არ საუბრობდა საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებზე და ხედვებზე.

ნეგატიური სარეკლამო საარჩევნო კამპანიის წარმოების შესანიშნავი მაგალითია „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, საარჩევნო ნომრით 33. ისინი იყენებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების ცრუ დაპირებებისგან შექმნილ კოლაჟს და ხაზს უსვამდნენ, რომ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები დასცინიან ხალხს საკუთარი

გამოსვლებით. მაგალითად, მათი ერთ-ერთი უფასო პოლიტიკური რეკლამის განმავლობაში მკაფიოდ ისმოდა ბიძინა ივანიშვილის ცნობილი გამოსვლა იმის შესახებ, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლით ყველას ეგონა, რომ მიიღებდა ყველაფერს და ეს მოლოდინი იყო გადაჭარბებული (მაისურაძე 2021).

მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელ ქართულ მედიას სჭირდება აშშ-ის მხარდაჭერა. ციფრული მედია სიახლეებისა და ინფორმაციის მთავარი წყაროა, მაგრამ მისი შენარჩუნება რთულია. ამ დროს ტრადიციული მედია ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას და მათაც სჭირდებათ მხარდაჭერა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საგამომიებო ჟურნალისტების და რეგიონული მედიის ტრენინგზე, რომელთა მუშაობა გადამწყვეტია სწორი მმართველობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია დეზინფორმაციასთან ბრძოლის გაძლიერებაც.

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წლის არჩევნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა არჩევნებისაგან რამდენიმე ფაქტორით. აღსანიშნავია, რომ ბარიერ-გადალახული 9 პარტიიდან 3 ახალშექმნილი პარტია - „გირჩი“, „ლელო“ და „მოქალაქეები“ საბიუჯეტო დაფინანსებას არ იღებდნენ. „ლელო“ და „მოქალაქეები“ სრულად დამოკიდებულნი იყვნენ შემოწირულობებზე და მიუხედავად უდიდესი განსხვავებისა ამ შემოწირულობებს შორის, ორივე პარტიამ მოახერხა საპარლამენტო მანდატების მოპოვება.

საინტერესოა ისიც, რომ ყველაზე მეტი შემოწირულობა, მმართველი პარტიის შემდეგ, მიიღო პარტია „ლელომ“. მან უფრო მეტი რაოდენობის შემოწირულობა მიიღო ვიდრე ყოფილმა სახელისუფლებო პარტია „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემოწირულობები საკმაოდ უთანაბროდაა განაწილებული არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს შორის და მმართველი პარტიისაკენ მიმართული რესურსები რამდენჯერმე აღემატება ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებულ შემოწირულობებს, ერთად აღებული 8 ბარიერგადალახული სუბიექტი „ქართულ ოცნებას“ ჯობნის მიღებული შემოწირულობების მიხედვით.

მნიშვნელოვანია საარჩევნო კამპანიის, არჩევნების და მისი შედეგების შეფასებები. მაგალითისთვის მოვიყვანთ აშშ-ის საელჩოს განცხადებას საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით: „აშშ-ის საელჩო მიესალმება ამომრჩეველთა მაღალ აქტივობას გუშინდელ საპარლამენტო არჩევნებზე და კოვიდ-19 პანდემიის დროსაც კი, ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიისადმი გამოვლენილ ერთგულებას. ქვეყნის მასშტაბით ათასობით პასუხისმგებლიანი საარჩევნო მუშაკი და პროფესიონალი სადამკვირვებლო ჯგუფები იმსახურებენ დაფასებასა და მაღლიერებას საარჩევნო ყუთებთან ამომრჩეველთა ხმის გამოხატვის უფლების მხარდასაჭერად გაწეული სამუშაოსთვის...“ (აშშ-ის საელჩო 2020).

„ამერიკის საელჩო იზიარებს ეუთო/ოდირის პირველად შეფასებას, რომ „საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა. ამის მიუხედავად, ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვრის ბუნდოვანება საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა“ (აშშ-ის საელჩო 2020).

საელჩომ აგრეთვე მოუწოდა პარტიებს გაითვალისწინონ პირველი ტურის ყველა ხარვეზი მეორე ტურისა და შემდგომი არჩევნებისას. დაფიქსირდა შემდეგი სახის მცდელობები: ამომრჩევლის დაშინება, მოსყიდვა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, პარტიული და ოფიციალური საქმიანობის არამკვეთრი გამიჯვნა და საარჩევნო დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებზე ძალადობა. თუმცა, მათი განმარტებით, მსგავს ფაქტებს არ ჰქონდა გავლენა შედეგებზე, ამიტომაც, არჩევნების არალეგიტიმურად ცნობისთვის არ იყო არანაირი საფუძველი.

ამერიკულმა მხარემ აგრეთვე განაცხადა, რომ „მნიშვნელოვანია, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დასაბუთებული დარღვევის მიუკერძოებელი გამოძიება და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჩივრებზე რეაგირება. სარწმუნო საჩივრების სამართლიანად, გამჭვირვალედ და

დროულად გადაწყვეტა მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ ქართველ ხალხს ჰქონდეს ნდობა არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობის მიმართ“ (აშშ-ის საელჩო 2020).

„შეერთებული შტატები გააგრძელებს არჩევნების მიმდინარეობაზე ყურადღებით დაკვირვებას, მათ შორის, საჩივრების განხილვაზე, აპელაციის პროცესსა და მომდევნო რაუნდის კამპანიაზე. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მოთმინება, რათა პროცესი წარიმართოს წყნარად, მშვიდობიანად და პატივისცემით, საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ყველა მხარე ვალდებულია უზრუნველყოს საარჩევნო კოდექსის იმპლემენტაცია და აღსრულება“ (დეგნანი 2020).

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს (ODIHR) ეუთოს აზრით, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ფუნდამენტური უფლებების დაცვით გაიმართა, თუმცა დაფიქსირდა ხარვეზები, მაგალითად, მმართველი პარტიის თვალსაჩინო ადმინისტრაციული დომინირება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არჩევნების დროს კორონა ვირუსის პანდემიის მეორე ტალღა დაიწყო შემთხვევების საკმაოდ მაღალი სტატისტიკით, რაც მტკივნეული დარტყმა იყო როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ეს განსაკუთრებით არჩევნების წინა პერიოდში გახდა შესამჩნევი. ქართული საზოგადოება იმედგაცრუების გამო ალტერნატიული ძალის საჭიროების წინაშე დადგა. ამის დასტურია ახალი პარტიებისა და ასოციაციების რაოდენობის უპრეცედენტო ზრდა. ასე რომ, განაცხადებით არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 68 პარტია შევიდა, 48 დარეგისტრირდა. რა თქმა უნდა, ეს ნაწილობრივ საარჩევნო ბარიერის 1%-მდე დაწვეის გამო მოხდა, რაც მცირე პარტიებსაც პარლამენტში მოხვედრის შანსს აძლევდა. თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი, ცხადია, საქართველოში „მესამე ძალის“ ძიება მიმდინარეობდა.

ერთ-ერთი პარტია, „ლელო საქართველოსთვის“, ხშირად პარტიას „მესამე ძალად“ წარადგენდა, ხოლო „ქართულ ოცნებას“- თავის მთავარს კონკურენტად, თუმცა, ამ პარტიამ სხვა ოპოზიციურ ძალებთან კოალიციაში შესვლა არ მოისურვა.

ვფიქრობთ, რომ საქმე გვექონდა პარტიის ლიდერის პერსონაში. მამუკა ხაზარაძე, პარტიის დამფუძნებელი, „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი ყოფილი მფლობელი, წარმატებულად თანამშრომლობდა სხვადასხვა ხელისუფლების ლიდერებთან: შვეარდნაძესთან, სააკაშვილთან, ივანიშვილთან. 2012 წელს მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე (თიბისის დამფუძნებელი) მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“, წევრებიც გახდნენ. თუმცა, 2019 წელს საქართველოს პროკურატურამ მათ ბრალი წაუყენა, რის შემდეგაც ორივე ბიზნესმენმა ქართული ოცნება დატოვა.

ქართველი პოლიტოლოგების აზრით, საქართველოში ბევრი ხაზარაძის სახელს უკავშირებს „მევახშეს“, რომელმაც მის მიერ გაცემული ბანკის იპოთეკური სესხებით, მოვალეებისთვის ჩამორთმეული სახლებითა და ქონებით გაზარდა თავისი საკუთარი კაპიტალი. შეიძლება ამიტომაც, პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ ვერც მმართველ „ქართულ ოცნებას“ და ვერც ძველ ოპოზიციას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“ს, ვერ აჯობა და ვერ აღმოჩნდა ე.წ. „მესამე ძალა“.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ნოემბერში, როცა საქართველო მწვავე პოლიტიკურ კრიზისში იმყოფებოდა, საქართველოს ეწვია აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო საქართველოს პოსტსაარჩევნო პოლიტიკური კრიზისის, სასამართლო სისტემის მდგომარეობის, აშშ-საქართველოს პარტნიორობის და სხვა საკითხების განხილვა.

საინტერესოა, რომ პომპეოს ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა მთავრობის წარმომადგენლებთან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან, აგრეთვე ხანმოკლე სესია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, თუმცა არც ერთი შეხვედრა ოპოზიციურ პარტიებთან (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2020).

პომპეოს ვიზიტი პოსტსაბჭოთა დემოკრატიულ ქვეყანაში განსაკუთრებით აღსანიშნავია და ასახავს აშშ-ს ძალისხმევას თავის სტრატეგიულ პარტნიორს ასეთ რთულ რეგიონში მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადოს. ცხადია, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის ჩართულობის შესაძლებლობები სულ უფრო მცირდება იმ დროს, როცა რუსეთის ძალის გავლენა რეგიონში იზრდება. ვფიქრობთ, რომ ეს ვიზიტი

იყო აგრეთვე შესაძლებლობა, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ყურადღების მეტად გადატანისა დიდი ძალების, კერძოდ, ჩინეთის და რუსეთის კონკურენციაზე.

პომპეოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან და სხვა ქართველ ოფიციალურ პირებთან შეხვედრების დროს რეგიონული უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომმა შეცვალა რეგიონალური გეოპოლიტიკა რუსეთთან და თურქეთთან, რომელიც გაძლიერდა დასავლეთის ჩარევის გარეშე რეგიონული საზღვრების გადაცვლით. ეს ნიშნავს, რომ საქართველო აღმოჩნდა გარშემორტყმული რუსული ჯარით ჩრდილოეთით, სადაც არის რუსეთის ბორდერიზაციის მუდმივი საფრთხე და სამხრეთით, სადაც ომის შემდეგ მთიან ყარაბაღში რუსეთის ფედერაციამ ორი ათასი რუსი ჯარისკაცი დააყენა.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის მონაწილეობა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების განეიტრალებაში შემცირდა და რეგიონში რუსეთის ჩართულობა გაიზარდა, საქართველო სარგებლობს ორპარტიული კონგრესის ძლიერი მხარდაჭერით ვაშინგტონში, სადაც რესპუბლიკელი კონგრესმენი ადამ კინზინგერი და დემოკრატი კონგრესმენი გერი კონოლი თანათავმჯდომარეები არიან საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს პომპეოს გარკვეულ მოქნილობას აძლევს რეგიონში აშშ-ის უსაფრთხოების მხარდაჭერისა და საბოლოოდ, ნაბიჯების გადადგმაში რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესაჩერებლად.

საინტერესოა 2020 წლის ივნის-ივლისის ანგარიში „საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, საქართველოს მაცხოვრებლები“ (Public Opinion Survey Residents of Georgia), რომლის თანახმად მოსახლეობის 65%-მა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არის საქართველოს უდიდესი პოლიტიკური პარტნიორი, ხოლო 51%-მა განაცხადა იგივე ევროკავშირის შესახებ (დაშვებული იყო მრავალი პასუხი). 82 პროცენტმა განაცხადა, რომ რუსეთი ყველაზე დიდი პოლიტიკური საფრთხეა. მაშინ როცა ქართველების 94 პროცენტმა შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას „კარგი“ უწოდა, 93 პროცენტმა იგივე თქვა ევროკავშირთან ურთიერთობაზე, ხოლო 84 პროცენტმა რუსეთთან ურთიერთობას „ცუდი“ უწოდა (Public Opinion Survey Residents of Georgia 2020).

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნები იყო 2020 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომელიც ჩატარდა პოლიტიკური კრიზისისა და პანდემიის ფონზე. მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის მხარდაჭერა როგორც არჩევნების დროს, ასევე ოპოზიციის ბოიკოტის შემდეგ ფასილიტატორის როლში ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორმა არჩევნების შედეგები ლეგიტიმურად ცნო, აშშ-მ ბევრჯერ გააკრიტიკა და უარყოფითად შეაფასა ანტიდემოკრატიული მოვლენები, ისეთი, როგორცაა მედიის თავისუფლების შეძლუდვა და სხვა. პომპეოს ვიზიტმა საქართველოში კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა და ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში სამხრეთ კავკასიაში.

ვფიქრობთ, აშშ-იმ უნდა გაზარდოს დახმარება, რათა საქართველო დარჩეს დემოკრატიის განვითარების გზაზე. სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებდა როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის კონტროლი მთავრობაზე, სჭირდება მხარდაჭერა და განსაკუთრებული ყურადღება და დაცვა ნებისმიერი ზეწოლისგან, იქნება ეს ოფიციალური პირების ან არაოფიციალურ წრეების მხრიდან.

სამოქალაქო საზოგადოება არის ქვეყნის ხერხემალი. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსური მხარდაჭერაც სჭირდებათ. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მათ შეინარჩუნონ სრული გამჭვირვალობა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სვლამ ერთპარტიული მმართველობისკენ დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტება გამოიწვია, შესაბამისად, აშშ-ს მხარდაჭერა უნდა იყოს ფოკუსირებული ამ ინსტიტუტების, განსაკუთრებით სასამართლო სისტემის, თავისუფალი მედიის, სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და მრავალპარტიული პარლამენტის დამკვიდრებაზე.

### 3.2. შტატების დახმარება პანდემიის დროს

2020 წლის თებერვლის ბოლოს საქართველოში პოლიტიკურმა მდელვარებამ ცოტა ხნით უკანა პლანზე გადაიწია, რადგან მთელი მსოფლიო და საქართველოც ახალი კორონა ვირუსის გავრცელების საფრთხის წინაშე დადგა.

პანდემია ოფიციალურად დაიწყო, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) გამოაცხადა ის 2020 წლის მარტში. საქართველომ „კოვიდ-19“-ის პირველი შემთხვევა დაადასტურა 2 თებერვალს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2020).

„კოვიდ-19“-ის პანდემიამ სხვადასხვა სფეროზე მსოფლიო მასშტაბით ნეგატიური გავლენა მოახდინა. ძლიერ დაზარალდა ქვეყნების ეკონომიკა. თითქმის ყველა საერთაშორისო რეისი, ისევე როგორც ყველა სატრანსპორტო საშუალება, შეჩერდა ქვეყნების დიდ უმრავლესობაში. შესაბამისად, ნავთობის ფასმა მიაღწია დაბალ ნიშნულს მოთხოვნის ვარდნის გამო. შესაბამისად, პანდემიამ შეამცირა ქვეყნების ეკონომიკური ზრდა დაბალი ინვესტიციების, უმუშევრობის ზრდისა და გლობალური ვაჭრობის შეფერხების გამო.

საქართველოს მთავრობამ იცოდა თუ რა საფრთხე ემუქრებოდა ჯანდაცვის სისტემას ინფექციის სწრაფი ზრდის გამო. ამიტომ, ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, შეჩერდა ყველა ფრენა, დაწესდა შეზღუდვები უცხოელებისთვის, დაიხურა საზღვრები, დაიხურა ბიზნესი და სახელმწიფო ინსტიტუტები, შეჩერდა საზოგადოებრივი ცხოვრება. თავიდანვე აუცილებელი გახდა ინფიცირების შემთხვევების ზრდის შენელება.

ცნობილია, რომ საქართველოში მოქალაქეების 19,5% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და კორონავირუსმა მკვეთრად გააუარესა არსებული მდგომარეობა. პანდემიამ განსაკუთრებით მძიმე ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკის ალბათ ყველაზე წარმატებულ სექტორს - ტურიზმს. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ტურიზმის სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 150 ათასი ადამიანი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 4%. თუმცა, სინამდვილეში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.



ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ტურიზმიდან შემოსავალი 2020 წლის იანვარ-ივლისში 4-ჯერ შემცირდა 2019 წელთან შედარებით. ამ ინდუსტრიამ მიიღო 1,4 მილიარდ დოლარზე ნაკლები, სავალუტო შემოსავალიც მინიმუმამდე დაეცა. 2020 წლის აპრილიდან ყოველთვიურმა ვარდნამ 96% მიაღწია.

უმუშევრობის დონე კიდევ უფრო საგანგაშო გახდა, რაც 2020 წლის მეორე კვარტალში გამოჩნდა. უმუშევრობის მაჩვენებელი საქართველოში 0,9 პროცენტით გაიზარდა და 12,3 პროცენტი შეადგინა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020). რეალური მაჩვენებელი შეიძლება იყოს საგრძნობლად მაღალი, რადგან ბევრი ადამიანი ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული. ამ ყველაფერმა, რასაკვირველია, უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე საარჩევნო პერიოდში. ამ ვითარებაში ოპოზიციას ჰქონდა შანსი გამოეყენებინა იმ მოქალაქეების უკმაყოფილება, რომელთა ცხოვრების დონეც საგრძნობლად დაეცა პანდემიის გამო.

პანდემიის პერიოდში ახალი ტერმინიც კი შეიქმნა „კორონომიკა“ პროფესორ აჯიტ დე ალვისის მიერ. ის არის კომბინაცია ორი სიტყვის – „კორონა“ და „ეკონომიკა“ და მისი შესწავლის საგანია კორონავირუსის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.

ეს საკითხი დეტალურად განხილულია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ვლადიმერ პაპავას, და ეკონომიკის დოქტორ ვახტანგ ჭარაიას სანეცნიერო ნაშრომში „კორონომიკური კრიზისი და გამოწვევები საქართველოს ეკონომიკისთვის“ (The Coronomic Crisis and some Challenges for the Georgian Economy). ისინი წერენ, რომ ეკონომიკური კრიზისი არ არის ენდოგენური, ის ეგზოგენურია; ანუ მისი მიზეზები არ არის გენერირებული ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის გარეთ - კორონავირუსით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მთელი მსოფლიო ახალი ტერმინის მიხედვით, „კორონომიკური კრიზისის“ რისკის ქვეშ არის (Charaia and Papava 2021).

საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად არის ევროკავშირსა და ჩინეთს შორის და მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანში, იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. როგორც საქართველოს, ასევე აშშ-ს ინტერესშია მიიღონ

თავისუფალი ვაჭრობის კანონი. საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი გახდეს რეგიონული ეკონომიკური ჰაბი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას და ქვეყნის განვითარებას, არის საგარეო ვაჭრობა. ექსპორტმა 2020 წლის იანვარ-ივლისში 1758,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (17%-ით შემცირდა), ხოლო იმპორტმა 4272.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 18%-ით ნაკლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015-2020 წლების იანვარ-ივლისში სავაჭრო ბალანსი უარყოფითია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020).

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს ამ რთულ ვითარებაში დახმარება სჭირდება.

საკვლევი საკითხის ფარგლებში შევისწავლეთ ამერიკის დახმარების მნიშვნელობა კრიზისულ სიტუაციაში მყოფ საქართველოსთვის.

შეერთებულმა შტატებმა დახმარება გაუწია პანდემიით დაზარალებულ ქართულ ბიზნესს. 2020 წლის აგვისტოში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციამ (DFC) ხელი მოაწერა 50 მილიონი აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულებას საქართველოს თიბისი ბანკთან პანდემიით დაზარალებული მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად.

გასაკვირია ის ფაქტი, რომ ტრამპის ადმინისტრაციას არ ჰქონდა სტრატეგიული ხედვა „კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა, რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრი თბილისში, რომელიც 2011 წელს აშშ-ს დაფინანსებით გაიხსნა, ძალზე დაეხმარა საქართველოს პანდემიის გავრცელების შეჩერებაში. დღეს ცენტრს მთლიანად საქართველო მართავს. „ლუგარის ლაბორატორია“ და სხვა რეგიონალური ლაბორატორიები ქვეყანაში აშენდა აშშ-ის კოოპერატიული საფრთხის შემცირების პროგრამის ფარგლებში, რომელიც შეიქმნა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ბიოუსაფრთხოების შესაძლებლობების ჩამოყალიბების მიზნით. ცენტრი ატარებს გარდაცვლილი

რესპუბლიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის სახელს, რომელმაც თავის დემოკრატიკოლეგა სემ ნანთან ერთად ხელი შეუწყო ინიციატივის განხორციელებას საქართველოში.

გახსნის შემდეგ ლუგარის ლაბორატორია კრიტიკის და თავდასხმების ობიექტი არაერთხელ გახდა პრორუსული აქტივისტების მხრიდან როგორც საქართველოში, ასევე რუსეთიდან. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებას, რადგან ის აწარმოებდა ბიოლოგიურ იარაღს. როდესაც „კოვიდ-19“-ის პანდემია დაიწყო, მსგავსი შეტევები კიდევ უფრო გამძაფრდა. არაერთი დეზინფორმაცია გავრცელდა ზემოხსენებული ცენტრის მუშაობაზე ძირითადად რუსეთის მთავრობის მიერ. მოგვიანებით, ჩინური არხები შეუერთდნენ რუსულ დეზინფორმაციულ კამპანიას და ამტკიცებდნენ, რომ ლუგარის ლაბორატორია და სხვა ობიექტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იყო ამერიკული ქსელის ნაწილი და რომ ისინი ჩართულნი იყო მიმდინარე კრიზისში.

სინამდვილეში, ლაბორატორია არის ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის მაგალითი, რომელმაც პირდაპირი სარგებელი მოუტანა მოსახლეობის დიდ ნაწილს. თანამშრომლობა ჯანდაცვის მიმართულებით ვაშინგტონსა და თბილისს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ნაწილია. ამერიკელმა ხალხმა 140 მილიონი დოლარის დახმარება აღმოუჩინა საქართველოს ძლიერი, მოქნილი და მაღალი ხარისხის ეროვნული ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის.

„კოვიდ-19“-ით გამოწვეულ საგანგებო ვითარებისას ნათლად ვხედავთ ამ სექტორში ჩვენი მუშაობის სასიცოცხლო მნიშვნელობის შედეგებს. საქართველოს ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა, ერთობლივი ძალისხმევით, სწრაფად და ეფექტურად იმოქმედეს კრიზისის მართვისა და კოვიდ 19-ის გავრცელების შემცირების კუთხით“ (დეგნანი 2020).

დღესაც ამერიკის მთავრობის მრავალ უწყებას შეაქვს წვლილი საქართველოს დახმარების საქმეში. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), რომელიც აგრძელებს ფართო სპექტრის დახმარების პროგრამების განხორციელებას სოფლის მეურნეობის, განათლების, ბიზნესის განვითარების, დემოკრატიისა და მართლმსაჯულების მიმართულებით, დაიწყო 1.1 მილიონი დოლარის ოდენობის

საგანგებო ჯანდაცვის დახმარების პროგრამა „კოვიდ-19“-თან ბრძოლაში საქართველოს მხარდასაჭერად (დეგნანი 2020).

გამოკითხვაში, რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ 2020 წლის აგვისტოში, 47 პროცენტმა თქვა, რომ პანდემიის პერიოდში შეერთებული შტატები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გარე მხარდამჭერი; მხოლოდ 6 პროცენტმა დაასახელა ჩინეთი.

ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, კორონა ვირუსის შემცირებისთვის ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) საქართველოს კიდევ 1 მილიონი დოლარით დაეხმარა. ეს დახმარება, რომელიც განხორციელდა UNICEF-თან პარტნიორობით, მოიცავდა სამედიცინო დაწესებულებებისათვის ჰიგიენური და სამედიცინო აღჭურვილობის გადაცემას, სწრაფი რეაგირების ჯგუფების ხელშეწყობას, ინფექციის კონტროლსა და ვირუსის გავრცელების პრევენციას და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომუნიკაციის გაძლიერებას. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ მთლიანობაში, კორონა ვირუსის შესაჩერებელი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის 2.7 მილიონი დოლარის დახმარება გამოყო (USAID 2020).

აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრებმა, თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტომ და უოლტერ რიდის სახელობის სამხედრო კვლევითმა ინსტიტუტმა განახორციელა მნიშვნელოვანი სამუშაო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან პარტნიორობით, რამაც ხელი შეუწყო „კოვიდ-19“-ის სადიაგნოსტიკო ტესტირების შესაძლებლობის განვითარებას ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრში (კაკულია 2021).

გარდა ჯანმრთელობის რისკებისა, ქვეყანა ეკონომიკური გამოწვევების წინაშეც დადგა. საქართველოს მთავრობამ გადადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკონომიკის დასახმარებლად, რაშიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წვლილი შეიტანა სხვადასხვა გზით. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ გადასცა საქართველოს სურსათის უვნებლობის სააგენტოს 800 000 დოლარის ღირებულების თანამედროვე აღჭურვილობა იმისათვის, რომ ფერმერებმა შეძლონ ფაროსანასგან თხილის მოსავლის

დაცვა. იმ წლის უხვი მოსავალი მნიშვნელოვანი იყო როგორც ფერმერებისთვის, ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე საქართველოდან თხილის ექსპორტისთვის.

„კოვიდ-19“-ის პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა სახალხო დიპლომატიის ჩართულობას განსაკუთრებით საკომუნიკაციო აქტივობებში. პანდემიამ აჩვენა რამდენად აუცილებელია სახალხო დიპლომატიისთვის სწრაფი და ეფექტური რეაგირების მექანიზმების არსებობა, განვითარება და დროული გამოყენება.

საქართველოში განხორციელებული ციფრული ადვოკატირებით ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მიმართ დიპლომატიურ პასუხისმგებლობას, მხარდაჭერასა და ერთგულებას გამოხატავს. სწორედ კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდში ციფრული საკომუნიკაციო აქტივობები საქართველოს გაძლიერებას უწყობდა ხელს.

ფეისბუქ პოსტებით მარტივად და სწრაფად ვრცელდებოდა საჭირო ინფორმაცია, მაგალითად, იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც შეერთებული შტატების მთავრობამ პანდემიასთან გასამკლავებლად საქართველოს გამოუყო. ეს დახმარება იყო როგორც ფინანსური - სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამა, 1.1 მილიონი დოლარის დაფინანსება ჯანდაცვის სფეროს დასახმარებლად, დამატებითი 600 000 დოლარის დაფინანსება გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის, ასევე ინტელექტუალური - COVID-ის შემდგომი რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებაში დახმარება (ხატიამვილი 2021).

გარდა ამისა, საქართველოსთვის ამერიკული დახმარება პანდემიის პერიოდში მოიცავდა სამედიცინო ინვენტარისა და ჰუმანიტარული დახმარების გადაცემას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის, საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, დაცვის პოლიციისთვის და რუხის საუნივერსიტეტო კლინიკისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრისთვის. პანდემიის პერიოდში გაცემული ეს ამერიკული დახმარება არა მხოლოდ პანდემიის თანმდევი გამოწვევების გადასაჭრელად არის აუცილებელი, არამედ პოსტპანდემიურ პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით

შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობის განმტკიცებისთვის არის საჭირო (ხატიამვილი 2021).

„ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს შესაძლებლობას გაუმკლავდეს კორონა ვირუსს. ამერიკის მთავრობის დახმარება, რომელიც USAID-ის საშუალებით განხორციელდება, ამ რთულ პერიოდში, ეკონომიკის აღდგენაშიც დაეხმარება საქართველოს“ (დეგნანი 2020).

2020 წლის აპრილში ამერიკის მთავრობამ საქართველოს დასახმარებლად დამატებითი 600 000 დოლარი გამოყო. ეს თანხა COVID-19-ის საპასუხო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას მოხმარდება.

2020 წლის მაისში საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის, განცხადებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს აჩუქა დამატებით 27 000 ტონა ხორბალი, ასევე, 3 მლნ დოლარი გამოყო „კოვიდ-19“-ზე რეაგირების მხარდასაჭერად (აშშ-ის საელჩო 2020).

„კოვიდ-19“-ის პანდემიის დროს გაეროს ბავშვთა ფონდმა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ საქართველოში ახალგაზრდების ჩართულობის ახალი პროგრამა დაიწყეს. კამპანია „იმოქმედე ჯანმრთელობისთვის“ მიზნად ისახავდა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის, უსაფრთხო ჰიგიენისა და ზოგადი კეთილდღეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

USAID-ის სწრაფი რეაგირება COVID-19-ზე მარტიდან USAID-მა უპასუხა მთელი რიგი მხარდაჭერით. ეს მოიცავს მომავალ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას: ტესტირების კომპლექტებს, ლაბორატორიულ აღჭურვილობას ტესტების დასამუშავებლად და ვიდეოკონფერენციის აღჭურვილობას, რომელიც დაეხმარება საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (NCDC) კოორდინაცია გაუწიოს ქვეყნის მასშტაბით რეაგირებას. ამ ყველაფრის საშუალებით ჩვენ მხარს ვუჭერთ ექიმებს, რათა მათ უსაფრთხოდ მართონ შემთხვევები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომუნიკაციების გაძლიერებისას, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ინფორმაცია საკუთარი თავის დასაცავად. მთელი ეს დახმარება ავსებს ეფექტურ ზომებს, რომლებსაც

ჩვენი ქართველი პარტნიორები უკვე იღებენ, რაც ასახავს ქართული საზოგადოების მზარდ თვითდაჯერებულობას.

ამავდროულად, აშშ დახმარებას უწევდა გაჭირვებულ ადამიანებს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციასთან (IFRC) და საქართველოს წითელ ჯვართან პარტნიორობით.

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით წითელი ჯვრის მოხალისეებმა მთელი საქართველოს მასშტაბით 40 000-ზე მეტ ადამიანს მიაწოდეს საკვები და ჰიგიენური საშუალებები (IFRC 2020).

პანდემიამ რთული ვითარება შეუქმნა საგანმანათლებლო სივრცეს, რადგანაც მსოფლიო არ იყო მზად ახალ ფორმატზე გადასვლისთვის, ანუ ციფრული განათლებისათვის. რასაკვირველია, არც საზოგადოება იყო მზად ამ ციფრული ეპოქისათვის, თუმცა როცა მსოფლიოს მოსახლეობა ამ პრობლემის წინაშე დადგა, მოქმედების დრო იყო. გლობალურად შეიქმნა ბევრი ონლაინ პლატფორმა, სპეციალურ ვირტუალურ სამყაროში შეიქმნა სასწავლო გარემო: მოეწყო კლასები და კურსები, გაკვეთილები და ლექციები, სემინარები და ვებინარები, შეხვედრები და კონფერენციები. ინტერნეტმა მთელ მსოფლიოში ხალხს მუშაობისა თუ სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა. ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელსაც დიდი ძალისხმევა, ფინანსები და ადამიანური რესურსი დასჭირდა (Basilaia and Kvavadze 2020).

სამომავლოდ, ეტაპობრივად შესაძლებელია საზოგადოებას ჰქონდეს სურვილი, საგანმანათლებლო სივრცე და მისი საბოლოო ლოკაცია გახდეს ციფრული სერვისები, თუმცა დღევანდელი რეალობით ეს არ არის შესაძლებელი, რამდენადაც პირისპირ შეხვედრებს, სწავლას, ლექციებს, გაკვეთილებს, სხვადასხვა ტრენინგებსა თუ შენეცნებით საქმიანობას არ აქვს ალტერნატივა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დახმარება გაუწია საქართველოს პანდემიის დროს აუცილებელი საჯარო სერვისების მიწოდებაში. მნიშვნელოვანი იყო ამერიკელების თანამშრომლობა საქართველოს განათლების სამინისტროსთან, რომლის ფარგლებში მოხერხდა მასწავლებლების დახმარება დისტანციურ სწავლებასთან ადაპტაციაში და

ონლაინ რესურსების მიწოდება სტუდენტების ჩართულობისთვის. მათი ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ინსტიტუტების გადასვლა ონლაინ მუშაობაზე.

ასევე, ამერიკულმა მხარემ უზრუნველყო პროგრამული უზრუნველყოფით, რათა ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორცაა იურიდიული დახმარების სამსახური და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, გააგრძელონ ქართველი ხალხის მხარდაჭერა და აუცილებელი დახმარება პანდემიის დროს. დროული იყო თანამშრომლობა საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რაც დაეხმარა მას შეიმუშაოს გაიდლაინები კრიზისულ პირობებში მუშაობისთვის, რათა დაეხმაროს საქართველოს მთავრობას კიდევ უფრო ეფექტური რეაგირება მოახდინოს მომავალში სხვა კრიზისის შემთხვევაში. ეს ყველაფერი მხარს უჭერს საქართველოს საჯარო ინსტიტუტების თვითდამკვიდრებას: ეხმარება მათ შექმნან შესაძლებლობები, მოქნილობა და მომავალში გაუიმჯობესონ გამოწვევებზე და კრიზისებზე რეაგირების უნარი (აშშ-ის საელჩო 2020).

აშშ-ის დახმარება აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, თეა ახვლედიანის, განცხადებით, მხარეებმა ვრცლად და დეტალურად განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ვითარება, რომელიც პანდემიის დროს კიდევ უფრო დამძიმდა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ე.წ. „გადასასვლელი პუნქტის“ ხანგრძლივი ჩაკეტვის შედეგად ახალგორის რაიონში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისზე, რომელსაც უკვე 14 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვის გამო. სახელმწიფო მინისტრმა ელჩის ყურადღება გაამახვილა საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავების ფაქტებზე და ხაზი გაუსვა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ძალისხმევის გაგრძელების აუცილებლობას, ამჟამად უკანონოდ დაკავებული პირების დაუყოვნებელი გათავისუფლების უზრუნველსაყოფად (ახვლედიანი 2020).



მნიშვნელოვანი დახმარება პანდემიის დროს საქართველოს მსოფლიო ბანკმა „განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების“ ფარგლებში აღმოუჩინა, რომელიც სამ-ეტაპიან საკრედიტო ოპერაციებს მოიცავდა. პირველი საკრედიტო ოპერაცია - 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარების პაკეტი, ჯანმრთელობისა და სოციალურ სფეროებზე COVID-19-ის ზემოქმედების შემცირების მიზნით „სწრაფი დახმარების მექანიზმის“ საშუალებით გაიცა.

მეორე- COVID-19 პანდემიის ეკონომიკური გავლენის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად, მესამე ტრანში ფოკუსირებული იყო იმ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებასა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე, რომლებზეც COVID-19-ის პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2020).

„ჩვენი სწრაფი მხარდაჭერით ვებმარებით სიცოცხლის გადარჩენასა და ამ რთულ პერიოდში პანდემიის შედეგად დაზარალებულთა საარსებო წყაროს დაცვაში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის მთლიანი საფინანსო პაკეტი საქართველოს COVID-19-ზე რეაგირებისთვის იქნება დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი ახალი დაფინანსების სახით, დამატებით დაახლოებით 300 მილიონი აშშ დოლარი ფართო განვითარების საჭიროებების მხარდასაჭერი პროექტებისთვის. როგორებიცაა ციფრული კავშირი და ინფრასტრუქტურა“ (მოლინეუსი 2020).

გარდა ფინანსური დახმარებისა, შეერთებულმა შტატებმა ჰუმანიტარული დახმარება გაუწია პანდემიით დაზარალებულ საქართველოს სოციალურად დაუცველ თემებს. 2020 წლის მაისში, აშშ-ის საელჩომ საქართველოში თბილისის ინფექციურ საავადმყოფოსა და ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოს სამედიცინო აღჭურვილობა გადასცა, ხოლო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დაუცველ ოჯახებს საკვები და ჰიგიენური საშუალებები მიაწოდა.

საერთო ჯამში, პანდემიის დროს საქართველოს რესპუბლიკისთვის აშშ-ს ფინანსურმა და ჰუმანიტარულმა დახმარებამ აჩვენა ორ ქვეყანას შორის ძლიერი თანამშრომლობა და რეგიონში ჯანმრთელობისა და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობის ორმხრივი ვალდებულება.

მისი წინამორბედების მსგავსად, „ქართული ოცნების“ მთავრობაც აქტიურად მუშაობს ამერიკასთან საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობისა და პარტნიორობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით ის პრიორიტეტს ანიჭებს უსაფრთხოებასა და თავდაცვას („შავი ზღვის უსაფრთხოება“) და ბოლო დროს ასევე ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრომლობას („საქართველო როგორც რეგიონის სავაჭრო ჰაბი“).

ეს იმაზე მეტყველებს, რომ შესაძლებელია ინოვაციები ორმხრივ თანამშრომლობაში, სადაც ინსტიტუციური ინტერესი არსებობს.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კოვიდ პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე, განათლებაზე, ჯანდაცვის სექტორზე და სხვა. ყველაზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სფერო-ტურიზმი, აგრეთვე, მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ფენა. ურთულესი გამოწვევის წინაშე დადგა ჯანდაცვის სისტემა. თუმცა, აშშ-ის მრავალწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ჯანდაცვისთვის გამოყოფილი დახმარება უფრო მეტად გამოვლინდა პანდემიის დროს, რისი შესანიშნავი მაგალითია ლუგარის ლაბორატორიის მუშაობა. აშშ-ის დახმარება საქართველოსთვის პანდემიის დროს იყო მრავალმხრივი და დროული. ის მოიცავდა ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკისა და სხვა მიმართულებით.

### 3.3. გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში 2020 წელს

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ტრამპის ადმინისტრაციის რამდენიმე მთავარი ინტერესი სამხრეთ კავკასიაში. პირველი არის რეგიონის ჩართვა ირანის წინააღმდეგ „მაქსიმალური ეკონომიკური ზეწოლის“ პოლიტიკაში. როგორც სომხეთი, ასევე აზერბაიჯანი ესაზღვრება ირანს და საქართველომ ასევე შეიძლება ითამაშოს ირანის ალტერნატიული მარშრუტის როლი ევროპისკენ სომხეთისა და შავი ზღვის გავლით. აშშ-ის პოლიტიკა მიზნად ისახავდა რეგიონის ირანთან ურთიერთობების მაქსიმალურად შემცირებას. ირანის საკითხი იყო აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის, ჯონ ბოლტონის, რეგიონში ვიზიტის მთავარი პრიორიტეტი.

ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მიზანი იყო სამხრეთ გაზის დერეფნის გაშვების ხელშეწყობა, რომელიც აზერბაიჯანულ გაზს ევროპაში შემოიტანდა, რუსეთის გვერდის ავლით, როგორც ეს იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით მიწოდებული აზერბაიჯანული ნავთობის შემთხვევაში. აშშ-ს გაცილებით ნაკლები ენთუზიაზმი ჰქონდა აზერბაიჯანის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სტრატეგიულად შეემცირებინა ევროპის გაზზე დამოკიდებულება რუსეთზე, რადგან გაირკვა, რომ ბაქოს მხოლოდ ჰქონდა ევროპაში მაქსიმუმ 20 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ყოველწლიურად გადატუმბვის პოტენციალი. თუმცა, ევროპისთვის აზერბაიჯანული გაზის შემცირებული მნიშვნელობის მიუხედავად, აშშ-სთვის მაინც მნიშვნელოვანი იყო ევროპაში გაზის მიწოდების ალტერნატიული მარშრუტები.

2017-2020 წლებში რეგიონში აშშ-ის პოლიტიკის გავლენის მესამე ფაქტორი იყო რუსეთის შეკავების პოლიტიკა. მიუხედავად პრეზიდენტ ტრამპის ერთი შეხედვით ნორმალური დამოკიდებულებისა რუსეთისა და პრეზიდენტ პუტინის მიმართ, ტრამპის ადმინისტრაციამ მკაცრი პოლიტიკა გაატარა რუსეთის მიმართ, დააწესა სხვადასხვა ახალი სანქცია და მიაწოდა ლეტალური იარაღი უკრაინასა და საქართველოს. როგორც ყოფილი საბჭოთა სივრცის ნაწილი, სამხრეთ კავკასია შედიოდა რუსეთის შეკავების პოლიტიკაში. ვაშინგტონი მიზნად ისახავდა საქართველოსა და აზერბაიჯანში რუსეთის გავლენის შესაძლო გაზრდის თავიდან აცილებას და სომხეთში რუსეთის ჩართულობის შემცირებას.

ირანის წინააღმდეგ „მაქსიმალური ზეწოლის კამპანიამ“ მნიშვნელოვანი გართულებები შეუქმნა სომხეთს. სომხეთის გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ირანთან მისი ურთიერთობების ნებისმიერი გაუარესება ან მეზობელ ქვეყანაში მნიშვნელოვანი დესტაბილიზაცია, სერიოზულ საზიანო გავლენას მოახდენს ერევანზე. ირანი, საქართველოსთან ერთად, იყო სომხეთის მსოფლიოსთან დამაკავშირებელი ორი სახმელეთო დერეფნიდან ერთ-ერთი. მიუხედავად იმისა, რომ გაზპრომი ფლობს სომხურ ნაწილს, ირანი-სომხეთის გაზსადენი სომხეთს გაზის მიწოდების სასიცოცხლო ალტერნატივას აძლევს. მას აქვს 2,2 მილიარდი კუბური მეტრი წლიური სიმძლავრე, რათა დაფაროს სომხეთის ბუნებრივი აირის ყველა საჭიროება. ამ დროისთვის მილსადენი მხოლოდ გაზის მიწოდებისთვისაა, რომელიც ელექტროენერჯის წარმოებასა და ირანში ექსპორტისთვის გამოიყენება. სომხეთი ასევე აფასებდა ირანის პოზიციას ყარაბაღის კონფლიქტში. შიიტურ მუსულმანურ ქვეყანას, ირანს, გააჩნდა დაბალანსებული მიდგომა, დე ფაქტო მხარს უჭერდა „სტატუს ქვოს“ 2020 წლის ყარაბაღის ომამდე. ამდენად, სომხეთი ვერ დაუჭერს მხარს პრეზიდენტ ტრამპის მკაცრ პოლიტიკას ირანის მიმართ და ცდილობს არ გააღიზიანოს აშშ და ამავდროულად შეინარჩუნოს ირანთან ურთიერთობების ამჟამინდელი დონე (Nuruzzaman 2020).

სამხრეთის გაზის დერეფნის განვითარებამ და გაშვებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სომხეთზე. ჯერ კიდევ 2022 წლის ომამდე უკრაინაში, მან გაზარდა აზერბაიჯანის სტრატეგიული პოტენციალი, ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის ურთიერთობებს ევროკავშირთან და აშშ-სთან და მოიტანა დამატებითი ფინანსური რესურსები. რუსეთის შეკავების პოლიტიკამ, სამხრეთ კავკასიაში რუსული გავლენის შესაძლო შემცირებით, ვერ გახდა სომხეთი და ყარაბაღი უფრო უსაფრთხო. სომხეთმა უნდა გააგრძელოს მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა. ნატოსთან თანამშრომლობა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმებით. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი ათწლეულის განმავლობაში, არცერთ ამ აქტორს არ შეუძლია სომხეთს მოუტანოს უსაფრთხოების გარანტიების საჭირო დონე, როგორც რუსეთთან მისი სტრატეგიული ალიანსი. ერევანს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო აშშ-ს მიერ დაფინანსებულ ანტირუსულ პოლიტიკაში რეგიონში, მთიანი ყარაბაღის და შესაძლოა თავად სომხეთის უსაფრთხოების

გამო. ამრიგად, ტრამპის ადმინისტრაციის სამი რეგიონული სტრატეგიული მიზნებიდან არც ერთი არ ემთხვევა სომხეთის ეროვნულ ინტერესებს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ სომხეთს არ უნდა ჰქონოდა ურთიერთობები აშშ-სთან და არ უნდა ეცადოს მათ განვითარებას. 2017-2020 წლებში სომხეთისთვის მთავარი საკითხი იყო აშშ-ს მიდგომა ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით და აშშ-ს ადმინისტრაციის პოზიტიური დამოკიდებულების უზრუნველყოფა ამერიკული ინვესტიციების სომხეთში შემოტანის მიმართ.

დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს ბაქოსთან სამხედრო მიმართულებით თანამშრომლობა ორიენტირებული იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრის გაძლიერებაზე ირანთან. ეს განპირობებული იყო ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ირანის დაპირისპირების ამოცანის გაზრდილი მნიშვნელობით. ეს სტრატეგია, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნას, კონტროლისა და თვალთვალის სისტემების დამონტაჟებას და სატრანსპორტო მხარდაჭერას აზერბაიჯანელი მესაზღვრეებისთვის. დაფინანსება იყო პენტაგონის „პარტნიორთა შესაძლებლობების გაძლიერების“ პროგრამის ნაწილი და შეადგენდა 2018 და 2019 წლებში 100 მილიონ დოლარზე მეტს.

ცხადია, რომ აზერბაიჯანი შეიძლება კვლავ იყოს გეოპოლიტიკურად მიმზიდველი ქვეყანა შეერთებული შტატებისთვის, მაგრამ მათ დიპლომატიურ ურთიერთობებს შესაძლოა გარკვეული შეზღუდვები ჰქონდეს. ფაქტობრივად, უახლოეს მომავალში აზერბაიჯანი არ აპირებს რაიმე სამხედრო ალიანსის წევრობას. ყარაბაღის კონფლიქტის გამო აზერბაიჯანი ამჯობინებს პოლიტიკური ურთიერთობების შენარჩუნებას ორივე ქვეყანასთან - ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთის ფედერაციასთან.

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და მისი ადმინისტრაციის პრიორიტეტები არ იყო აზერბაიჯანში დემოკრატიული ინსტიტუტების გაუმჯობესების ან თუნდაც ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში სრულად ჩართვის მცდელობები; შესაბამისად, ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში შეერთებულ შტატებსა და აზერბაიჯანს შორის პოლიტიკური ურთიერთობები უფრო ღრმა განვითარებამდე არ წასულა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიკოლ ფაშინიანს სომეხი ხალხის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა (დაახლოებით 75 პროცენტი). ადამიანების უმეტესობას სჯეროდა და იმედოვნებდა, რომ ახალი მთავრობის დაპირება, რომელიც სომხეთს „დემოკრატიის შუქურად“ აქცევს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ რეგიონის გარეთაც, წარმართავს ქვეყანას მომავალში უფრო პერსპექტიული და არსებითი აღიანსების დასამყარებლად. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა გამოაცხადეს თავიანთი მხარდაჭერა სომხეთის მიზნების მიმართ, რომ მან ქვეყანაში უკეთესი დემოკრატიული სისტემა ააშენოს. ამავდროულად, რუსეთის ნეიტრალურმა პოზიციამ ახალი პოლიტიკის მიმართ გაზარდა სომხეთის შანსები მიზნების მისაღწევად.

ხელისუფლებაში ყოფნის დროს და მისი პირველი წლის განმავლობაში, ფაშინიანი ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა სომხეთის დემოკრატიული გარღვევის იდეა, მაგრამ 2018 წლის ივლისში ნატოს სამიტზე ბრიუსელში მისი პირველი ვიზიტის დროს ევროპელმა ლიდერებმა ნათლად განაცხადეს, რომ მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა არ იქნებოდა. არც შეერთებული შტატები, რომელიც მიჰყვებოდა მაშინდელ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იზოლაციონისტურ გზას, არ ავლენდა დიდ ინტერესს „დემოკრატიული სომხეთის“ მიმართ, მიუხედავად სომხური ლობისტური ჯგუფების ძალისხმევისა (Ministry of Foreign Affairs of the Republic of Armenia 2022).

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა, რომელიც 2020 წელს ომში გადაიზარდა, დიდად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში. ომი, რომელიც დაახლოებით ექვს კვირას გაგრძელდა, საბოლოოდ დასრულდა 2020 წლის 10 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის მიერ მხარდაჭერილი ცეცხლის შეწყვეტით.

2020 წლის ყარაბაღის ომმა მნიშვნელოვნად იმოქმედა სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დინამიკაზე. ბევრი ექსპერტი თანხმდება, რომ ომის ძირითადი ბენეფიციარები რუსეთი და თურქეთი იყვნენ. კრემლმა ალბათ მიაღწია თავის მთავარ მიზანს ყარაბაღში - რუსული „ჩეკმების“ ადგილზე დაყენება და ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო კონტინგენტი სომხეთში. თურქეთმა გააძლიერა თავისი პოზიცია აზერბაიჯანში, რადგან აზერბაიჯანული საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ თურქეთის აშკარა მხარდაჭერისა და ჩართულობის გარეშე, ბაქო ვერ მოიგებდა ომს. თურქეთი ასევე არის

აზერბაიჯანის აღდამის რეგიონში მოქმედი ერთობლივი მონიტორინგის ცენტრის ნაწილი, თუმცა თურქეთი იმედოვნებდა, რომ მეტი სამხედრო ჩართულობა ექნება ომის შემდგომ ყარაბაღში (Бочарников 2021).

კიდევ ერთი აქტუალური თემა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ ექსპერტთა დისკუსიებში არის დასავლეთის გავლენის შემცირება რეგიონში. აშშ-მ და საფრანგეთმა, ეუთოს მინსკის ჯგუფის ორმა თანათავმჯდომარემ, არ მიიღო მონაწილეობა 2020 წლის 10 ნოემბრის სამხრეთი, სომხეთ-აზერბაიჯანი-რუსეთის, განცხადების შემუშავებაში, რომელმაც ბოლო მოუღო ომს. ომის დროს ორივე ქვეყანა ცდილობდა ცეცხლის შეწყვეტას, მაგრამ უშედეგოდ (Petrosyan 2021). 2020 წლის ყარაბაღის ომი დაემთხვა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიას და ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ვაშინგტონი ასეთი პასიური იყო საომარი მოქმედებების დროს.

სამხრეთ კავკასია დიდი ხნის განმავლობაში არ იყო აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ სიაში. უკრაინა იყო ვაშინგტონის ყურადღების ცენტრში პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაშინ, როცა 2010-იანი წლების დასაწყისიდან აზია-წყნარი ოკეანისაკენ ზოგადი ცვლა დაიწყო. ეს პროცესი დაჩქარდა პრეზიდენტ ტრამპის დროს, რომელმაც წამოიწყო სავაჭრო ომი ჩინეთთან.

ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების განთავსებამ ყარაბაღი ფაქტობრივად რუსეთის პროტექტორატად აქცია. მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის სამთავრობო ორგანოები ნომინალურად აგრძელებენ საქმიანობას (პრეზიდენტი, მთავრობა, ეროვნული ასამბლეა, თავდაცვის არმია), მაგრამ, ცხადია, ყარაბაღის ნამდვილი „მმართველი“ ახლა რუსეთია. თუმცა, ახალმა ომმა კონფლიქტი ვერ გადაჭრა. სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის დამლუპველი დამარცხების მიუხედავად, ყარაბაღის 3000 კვადრატულ კმ-მდე ტერიტორია კვლავ სომხებითაა დასახლებული და ამჟამად რუსეთის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ეს ხალხი აზერბაიჯანის შიგნით ვერასდროს მიიღებს სტატუსს და აზერბაიჯანმა უკვე განაცხადა, რომ სტატუსის საკითხი ბაქოსთვის დახურულია.

გარდა იმისა, რომ თურქეთმა დიდი დახმარება გაუწია აზერბაიჯანს ომის მოსაგებად, მნიშვნელოვანია გვესმოდეს მისი მთავარი მოკლევადიანი მიზანი: მეღრის გავლით აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის მარშრუტის გახსნა, რაც შეამცირებს ტვირთების

გადაზიდვის მანძილს და შესაძლებლობას ქმნის თურქეთის ეკონომიკური გავლენის გაფართოებისა თვით სომხეთზე. შეთანხმების თანახმად, აზერბაიჯანი ახლა კვლავ აკონტროლებს მთიანი ყარაბაღის მიმდებარე შვიდ ოლქს, რომლებიც სომხურ ძალებს წინა ომის შემდეგ ეკავათ. მას ასევე უჭირავს თავად მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვანი ნაწილი. დანარჩენ ტერიტორიაზე რუსული სამშვიდობო ძალები პატრულირებენ, მაგრამ მაინც თვითგამოცხადებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იმართება.

თუმცა, ჩვენ ვერ ვხედავთ იმავე რეაქციას ან რაიმე პოზიტიურ ნაბიჯებს სამხრეთ კავკასიაში ტრამპის ადმინისტრაციის მხრიდან ჰუმანიტარული და ეკონომიკური მხარდაჭერის გარდა. ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღების შემცირება სამხრეთ კავკასიის მიმართ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მთიანი ყარაბაღის 2020 წლის ომის დროს. ორივე მხარის მიმართ ბრძოლის შეწყვეტისა და ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყნების პრეზიდენტების ერთობლივი განცხადებებისა და აშშ-ს მიერ 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს ვაშინგტონში ორგანიზებული წარუმატებელი შეხვედრის გარდა, აშშ-ს მთავრობის მხრიდან ხელშესახები ქმედება არ ყოფილა (Пономарев 2021).

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ, გააკრიტიკა თურქეთის აქტიური ჩართულობა კონფლიქტში და ანკარის მხარდაჭერა აზერბაიჯანის მიმართ.

„ვიმედოვნებთ, რომ სომხები შეძლებენ თავის დაცვას იმისგან, რასაც აზერბაიჯანელები აკეთებენ და მანამ, სანამ ეს [კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით გადაჭრა] მოხდება, ისინი შეწყვეტენ ცეცხლს და შემდეგ დასხდებიან მაგიდასთან და დალაგებენ ყველაფერს — ამ მართლაც ისტორიულ და რთულ პრობლემებს“ (პომპეო 2020).

„ამერიკის უინტერესობა მთიანი ყარაბაღის მიმართ პირველად დაფიქსირდა 2017 წლის აგვისტოში, როდესაც შეერთებულმა შტატებმა დანიშნა თავისი ახალი წარმომადგენელი ენდრიუ შოფერი მინსკის ჯგუფში, მაგრამ არ მიაჩნია მას ელჩის სტატუსი, რამაც იგი მის ფრანგ და რუს კოლეგებთან შედარებით დაბალ რანგში დააყენა“ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში აშშ-მ უბრალოდ თავი შეიკავა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონფლიქს უკვე რუსეთი აკონტროლებდა (Safi and Borger 2020). თეთრი სახლის უმოქმედობა განპირობებული იყო შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო კამპანიის დასკვნითი ეტაპით. ამ ფაქტის გარდა, უნდა აღვნიშნოთ სომხური,



აზერბაიჯანული და თურქული ლობის საკმაოდ ძლიერი გავლენა შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დესტრუქციული რეგიონული კონფლიქტი, პრობლემად იქცა არა მხოლოდ კონფლიქტის მხარეთათვის, არამედ სხვა რეგიონული და თუნდაც არარეგიონული აქტორებისთვის, თუნდაც ავიღოთ შეერთებული შტატები. შეერთებული შტატების პოლიტიკა კონფლიქტის მიმართ შეზღუდული იყო მისი საშინაო პოლიტიკითა და ლობიებით, რომლებიც მოქმედებდნენ თავიანთი ვიწრო ინტერესებით, აშშ-ს გლობალურ როლთან და ინტერესებთან შედარებით. ერთი მხრივ, აშშ-ს ინტერესები მოითხოვს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისა და სტაბილურობის დაცვას, რადგან მას აქვს მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსები. მეორე მხრივ, საშინაო შეზღუდვებმა ხელი შეუშალა აშშ-ს ადმინისტრაციას კონფლიქტების მოგვარების შუამავლის როლში, ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანისთვის (Kasim 2012).

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა გამოხატა შემფოთება ძალადობის ესკალაციის შესახებ და მოუწოდა მხარეებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი, ტრამპის ადმინისტრაციამ არ დააფიქსირა მკაფიო პოზიცია არც სომხეთისა და არც აზერბაიჯანის მხარდასაჭერად. ამის ნაცვლად, შეერთებული შტატები მუშაობდა ისეთ საერთაშორისო პარტნიორებთან, როგორებიც არიან: რუსეთი და საფრანგეთი, რათა მათ შეძლონ სიტუაციის დეესკალაცია. ასევე იყო აშშ-ს კონგრესის ზოგიერთი წევრის მოწოდება, რომ ტრამპის ადმინისტრაციამ უფრო აქტიური როლი შეასრულოს სომხეთის მხარდასაჭერად, ქვეყნის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირებისა და რეგიონში სტრატეგიული პარტნიორის სტატუსის გათვალისწინებით.

თუმცა, ტრამპის ადმინისტრაციის საერთო მიდგომა იყო მხარის დაკავების თავიდან აცილება და კონფლიქტის დეესკალაციისთვის დიპლომატიურ ძალისხმევაზე ფოკუსირება (Пентагон 2020).

აღსანიშნავია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ 2021 წელს უფრო აქტიური როლი ითამაშა სომხეთის მხარდასაჭერად და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობაში. 2021 წლის აპრილში პრეზიდენტმა ბაიდენმა ოფიციალურად აღიარა სომეხთა გენოციდი, რომელიც დიდი ხანია სადავო საკითხი იყო აშშ-სომხეთის

ურთიერთობებში და მას შემდეგ მისმა ადმინისტრაციამ გაზარდა ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარება სომხეთისთვის.

2020 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა გამოიწვია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით კონფლიქტში ჩართულ ქვეყნებს შორის ძალთა ბალანსის თვალსაზრისით (Чернявский 2021).

უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტმა აზერბაიჯანი გამოავლინა აშკარა გამარჯვებულად, რომელმაც დაიბრუნა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ეთნიკური სომხური ძალების კონტროლის ქვეშ იყო 1990-იანი წლების დასაწყისიდან. ამან გამოიწვია ძალთა ბალანსის შეცვლა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. აზერბაიჯანს ახლა უფრო ძლიერი პოზიცია უჭირავს როგორც ტერიტორიის, ისე სამხედრო ძლიერების მხრივ.

მეორეც კონფლიქტმა დაამყარა კავშირები აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, რომელმაც მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაუწია აზერბაიჯანს კონფლიქტის დროს. ამან გამოიწვია ზოგიერთი ანალიტიკოსის შემფოთება რეგიონში თურქეთის უფრო თავდაჯერებული საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობის შესახებ.

მესამე კონფლიქტმა გავლენა მოახდინა რეგიონულ ენერგეტიკულ პოლიტიკაზე, რადგან მან გახსნა ახალი შესაძლებლობები რეგიონის გავლით ენერჯის ტრანსპორტირების მარშრუტებისთვის. ეს მოიცავს ახალი გაზსადენის პოტენციალს აზერბაიჯანიდან ევროპაში თურქეთის გავლით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ევროპის დამოკიდებულება რუსულ გაზზე.

მეოთხე კონფლიქტს ასევე ჰქონდა მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული გავლენა. იყო ათასობით იძულებით გადაადგილებული ადამიანი და მნიშვნელოვანი ზიანი ინფრასტრუქტურისა კონფლიქტის ზონაში. საერთაშორისო თანამეგობრობა, მათ შორის გაერო და ევროკავშირი, მუშაობენ ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფისა და დაზარალებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების მხარდაჭერაზე.

საერთო ჯამში, 2020 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს შორსმომავალი გეოპოლიტიკური შედეგები მოჰყვა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის. კონფლიქტს ასევე

ჰქონდა უფრო ფართო რეგიონალური გავლენა, მათ შორის ზემოქმედება ისეთ მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე, როგორებიცაა თურქეთი, რუსეთი და ირანი.

აშშ-ის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში 2020 წლის არცახის ომამდე და შემდეგ ტრანსფორმირდება, ცდილობს კონსტრუქციულად გადაჭრას არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და გეოპოლიტიკური რისკები პოსტსაბჭოთა სივრცეში. სახელმწიფოს მშენებლობის საკითხი პოსტსაბჭოთა სივრცეში კვლავ სადავოა, რადგან სამხრეთ კავკასია კვლავ დაპირისპირების ადგილად იქცა.

საქართველოს და შტატების პარტნიორობის განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვისუნარიანობა ერთ-ერთი სტრატეგიული გახდა აშშ-თვის და თავად საქართველო განიხილება ვაშინგტონში მთელი ევროპის რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. სავარაუდოდ, ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენის ზრდისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენების გათვალისწინებით, აშშ გააგრძელებს პოზიციების განმტკიცებას საქართველოში, რომელიც არის "ამერიკის შეერთებული შტატების ფასდაუდებელი მოკავშირე რეგიონში".

საქართველოს პოზიცია განსაკუთრებული ანალიზის საგანია, რადგან მის ტერიტორიაზე თურქეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ინტერესები ეჯახება და რეგიონული განვითარების წარმატება სწორედ საქართველოს საგარეო პოლიტიკაზეა დამოკიდებული, მათ შორის აფხაზეთთან და ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე.

საქართველო ინარჩუნებს შედარებით ნეიტრალურ პოზიციას ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ, მხარეებს მოუწოდებს მშვიდობიანი მოგვარებისკენ და მხარს უჭერს საერთაშორისო ძალისხმევას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკებებში შუამავლობისთვის. საქართველოს ისტორიულად მჭიდრო კავშირები აქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან და ცდილობს დააბალანსოს ურთიერთობები ამ ორ ქვეყანასთან და ასევე შეინარჩუნოს ძლიერი პარტნიორობა ისეთ რეგიონულ ძალებთან, როგორებიცაა თურქეთი და რუსეთი.

აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის მეორე ომის დროს ეთნიკური აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა ხშირად მართავდა მიტინგებსა და დემონსტრაციებს და მოუწოდებდა

მხარდამჭერებს ომში ჩაბმისაკენ (მამედლი, ჩაჩიბაია და თარზიანი 2021). საქართველოს მოქალაქეებს ეთნიკური კუთვნილების გამო საბრძოლველად წასვლაც სურდათ ყარაბაღის ომის დროს. იყო ცნობები მათ შორის ცალკეული დაპირისპირების შესახებ. მეტიც, საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეები ხშირად ომის თემაზე სოციალურ ქსელში კამათზე და შეურაცხყოფაზეც გადადიოდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება 27 სექტემბერს, შეტაკებების დაწყებიდან მალევე, გაავრცელა, სადაც მოუწოდა მხარეებს დეესკალაციისკენ, მოლაპარაკებებისა და უფრო ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილების შესახებ.

სექტემბერში ეთნიკურად სომეხმა, საქართველოს მოქალაქეებმა შეაგროვეს ყარაბაღში გასაგზავნად გარკვეული ნივთები, რომელთაგან ზოგიერთს საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცეს. ამან გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და ჯავახეთში საქართველო-თურქეთის გზის გადაკეტვა. მოქალაქეთა პროტესტი კიდევ უფრო გამწვავდა, როცა ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა დეზინფორმაცია, რომლის მიხედვითაც საქართველომ თურქეთიდან აზერბაიჯანში იარაღის გადატანა დაუშვა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2020).

საქართველოს ხელისუფლებას ახსნა-განმარტების გაკეთება მოუწია ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა, განაცხადა, რომ საქართველო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს არც ერთი მხრიდან სამხედრო ტვირთის გადაზიდვას არ დაუშვებდა (სესიაშვილი 2020).

ყარაბაღის მეორე ომმა დროებით დამაბა ურთიერთობა საქართველოს ეთნიკურ აზერბაიჯანელებს და სომეხებს შორის. ომის დროს სოციალურ ქსელებში ხშირი იყო დაპირისპირებები. დაფიქსირდა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტიც.

კონფლიქტის ერთ-ერთი პოტენციური გავლენა საქართველოზე არის ის, რომ მან შესაძლოა გაზარდოს ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც სატრანსპორტო ცენტრისა რეგიონული ვაჭრობისა და კომერციისთვის. მას შემდეგ, რაც სომხეთი ფაქტობრივად მოწყვეტილია პირდაპირ სახმელეთო წვდომას ირანსა და რუსეთთან აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის კონტროლის გამო, საქართველოს პოზიცია, როგორც

ამ ქვეყნებს შორის საქონლის გადაადგილების სატრანზიტო პუნქტისა, შესაძლოა კიდევ უფრო გადამწყვეტი გახდეს.

კიდევ ერთი პოტენციური გავლენა არის ის, რომ კონფლიქტმა შესაძლოა გაზარდოს რეგიონული დამაბულობა და კონკურენცია მეზობელ ძალებს შორის, რასაც შეიძლება ჰქონდეს უფრო ფართო გავლენა სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. როგორც ასეთი, საქართველო, სავარაუდოდ, გააგრძელებს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების ფრთხილად მართვას, შეეცდება შეინარჩუნოს ნეიტრალური აქტორის სტატუსი და ასევე ხელი შეუწყოს რეგიონულ თანამშრომლობას და სტაბილურობას (Tavberidze 2019).

სომხეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ მთიან ყარაბაღში რუსეთის 2000-მდე სამშვიდობო ძალების შეყვანაზე, რაც გავლენას მოახდენს საქართველოს უსაფრთხოებაზე და ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანების მისწრაფებებზე.

ამ შეთანხმებით უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია რუსეთს აქვს. მას ახლა ძალები ჰყავს განლაგებული სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში, ბაზები სომხეთში, სამშვიდობო ძალები აზერბაიჯანში და საოკუპაციო ძალები საქართველოში ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. დასავლეთი გავლენა, ფაქტობრივად, მინიმუმამდეა შემცირებული, რაც ასუსტებს მის პოზიციებს რეგიონში.

როგორც ვხედავთ, 2020 წლის ყარაბაღის ომმა რადიკალურად შეცვალა რეგიონის გეოპოლიტიკა. მკვეთრად გაიზარდა რუსეთის ფედერაციის ზეგავლენა, უფრო გაძლიერდა მისი სურვილი დომინირებისა და, შესაბამისად, ამ ფონზე, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ქვეყნის უსახრთხოების საკითხი, სტაბილურობის შენარჩუნება, დემოკრატიის განვითარება და ახალი გამოწვევების სათავისოდ გამოყენება სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერითა და დახმარებით.

## დასკვნა

საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობა დაფუძნებულია ორი ქვეყნის ინტერესებსა და ღირებულებებზე. ის წარმოადგენს ურყევ და სანდო პარტნიორობას მრავალი მიმართულებით. იმ დღიდან, როცა ორ ქვეყანას შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა დაიწყო, ის აღმავალი გზით ვითარდება და მუდმივ ევოლუციას განიცდის. საქართველოს, როგორც ამერიკის ნომერ პირველ მოკავშირეს რეგიონში, არჩეული აქვს დასავლური დემოკრატიის განვითარების გზა.

საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აშშ-საქართველოს ურთიერთობა 2017-2020 წლებში. საკვლევ კითხვაზე თუ როგორ შეიცვალა აშშ-საქართველოს პარტნიორობა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლისას, რატომ გაიზარდა მხარდაჭერა თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით და რა გავლენა ექნება ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკის ცვლილებას როგორც საქართველოს უსაფრთხოების, ასევე მისი სამხედრო გაძლიერების დონეზე, კვლევის შედეგების თანახმად შეგვიძლია გავცეთ პასუხი: ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში აშშ-საქართველოს ურთიერთობა გაძლიერდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. ამის ნათელი მაგალითია შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უცვლელი მხარდაჭერა, GSIOA შეთანხმება, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხებში, იარაღის და ხომალდების გადაცემა, ნატოს სამხედრო წვრთნების გაფართოება საქართველოს ტერიტორიაზე, ფინანსური დახმარების გაზრდა სამხედრო სფეროში, და სხვ. ამას დადებითი გავლენა ექნება როგორც საქართველოს უსაფრთხოებაზე, ასევე მისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაზე.

უფრო ღრმად რომ გავაანალიზოთ მიღებული შედეგები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ასეთი სტრატეგია საქართველოსადმი იყო განპირობებული რუსეთის გავლენის გაზრდის ფაქტორით, შტატების და რუსეთის განსხვავებული ეროვნული ინტერესებით სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებში,

როგორებიცაა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ცვლილებები და, კერძოდ, სირიის ფაქტორით, უკრაინის კრიზისითა და ბოლოს რუსეთის ფედერაციის ჯარის გაფართოებით სამხრეთ კავკასიაში.

კვლევა პირობითად სამ ნაწილადაა დაყოფილი, შესაბამისად, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შეგვიძლია შევაჯამოთ სამი ძირითადი საკითხის გათვალისწინებით.

**1. ტრამპის ადმინისტრაციის სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხი:**

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა, რომ საქართველოსთვის, როგორც ამერიკის ყველაზე სანდო სტრატეგიული პარტნიორისთვის შავი ზღვის რეგიონში, ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა და პრიორიტეტები ამ რთულ რეგიონის სხვა ქვეყნებთან, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ შტატების პოლიტიკურ ურთიერთობას აზერბაიჯანთან და სომხეთთან ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში, განსაკუთრებით თავიდან, ინერციული ხასიათი ჰქონდა. ქვეყნების ინტერესები ძირითადად ეკონომიკის სფეროში გადაიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში თურქეთი არის ნატოს წევრი ქვეყანა, მისი პრეზიდენტი ხშირად ზოგიერთ საკითხში უპირისპირდებოდა ტრამპის ადმინისტრაციას, რასაც ორი ქვეყნის ურთიერთობის გართულება მოჰყვა. რასაკვირველია, ეს დამაბულობა აწყობდა რუსეთის ფედერაციას.

ტრამპის ადმინისტრაციის პირველივე წელს ბევრი პოლიტიკური ნაბიჯი გადაიდგა. აქედან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ ტრამპის რუსეთთან თანამშრომლობის გაუმჯობესების სურვილი. თუმცა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობის მიუხედავად, დონალდ ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ გაამკაცრა სანქციები, ბევრჯერ გააკრიტიკა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა უკრაინაში, დაგმო ყირიმის ანექსია და 2019 წელს უკრაინას სამხედრო სფეროში დახმარების სახით 250 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო.

2017 წელს საქართველო-აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა და ახალ ეტაპზე გადავიდა. ასევე უფრო აქტიური გახდა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

ამერიკელმა კანონმდებლებმა შესთავაზეს და შეცვალეს 6 მნიშვნელოვანი კანონპროექტი და რეზოლუცია. 2017 წელს აშშ-მა დაფინანსება შეუჩერა ნაურუს, რომელიც არ სცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რასაკვირველია, ეს პოლიტიკური ქესტი საქართველოსთვის ნამდვილი მხარდამჭერი სიგნალი იყო. აგრეთვე, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უკვე არსებული სანქციები რუსეთს არათუ მოუხსნა, არამედ უფრო გაუმკაცრა და გაუფართოვა.

მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი ოკუპირებულია და 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ რუსეთმა გააძლიერა და გააფართოვა თავისი გავლენა რეგიონში, საქართველო მეტი გამოწვევების და რისკების წინაშე აღმოჩნდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ კავკასიაში შტატების ნომერ პირველი პარტნიორი და გეოპოლიტიკური მოკავშირე საქართველოა, რომელიც დიდი ხანია ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის იბრძვის. არც აზერბაიჯანს და არც სომხეთს, ამ დრომდე მკაფიოდ გამოხატული დასავლური კურსი არ აქვთ. არც ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში შეცვლილა დიდად ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ამერიკასთან მიმართებაში, პირიქით, აზერბაიჯანმა თურქეთის დიდი დახმარებით მოიგო ყარაბაღის ომი, სომხეთმა კი ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ტრამპის ადმინისტრაციამ არ გამოავლინა აქტიური მხარდაჭერა რომელიმე ქვეყნისადმი. ცხადია, ამით რუსეთს თავისი ავტორიტარული პოლიტიკის გაძლიერების და პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის გაფართოების შანსი მიეცა.

ნაშრომის ეს ნაწილი ზემოაღნიშნული საკითხის მომავალში უფრო ღრმა შესწავლის და გაანალიზების საშუალებას იძლევა. ტრამპის ადმინისტრაციის ურთიერთობა სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, უკრაინასთან და მისი მიღწევების შესწავლა საინტერესო იქნებოდა საქართველოსთვისაც. მაგრამ, რადგან საკვლევი საკითხი ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობას ეხება, კვლევამ რეგიონის სხვა ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობის და ინტერესების უფრო დეტალური შესწავლის საშუალება არ მოგვცა.



## 2. მთავარი მიღწევები და პრიორიტეტები აშშ-საქართველოს ურთიერთობებში ტრამპის პრეზიდენტობის დროს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2018-2019 წლებში ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა აქტიური და ნაყოფიერი იყო, ის განსაკუთრებით განვითარდა და გააქტიურდა სამხედრო სფეროში. ეს უფრო მკვეთრად ჩანს, თუ შევადარებთ ობამას ადმინისტრაციის დროს ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებას იმ ე.წ. პაუზის ფონზე, რაც გამოწვეული იყო პრეზიდენტ ობამას მიერ რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის არჩევით. ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში საქართველომ შეერთებული შტატებიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და დახმარება მიიღო, აქედან პრიორიტეტული თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება იყო. ამას ადასტურებს ოფიციალური ვიზიტების რიცხვი, ორმხრივად მიღებული გადაწყვეტილებები და მიღწევები.

ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მიგვაჩნია ტრამპის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, რომელმაც კანონის დონეზე აიყვანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა, აგრეთვე სიტყვა „ოკუპაცია“ პირველად დაიწერა ოფიციალურ საბუთებში და ტრამპის გადაწყვეტილება დაფინანსების შეწყვეტაზე იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ან რამენაირად მხარს უჭერდნენ ამას.

კვლევამ აჩვენა, რომ სტრატეგიული პარტნიორობა გაღრმავდა უსაფრთხოების მიმართულებით (შეთანხმება GSOIA), რაც დროული და აუცილებელი იყო რეგიონში გართულებული მდგომარეობის გამო.

ამას ადასტურებს, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსა და მთლიანად შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უცვლელი მხარდაჭერა, რომელიც მკაფიოდ გამოვლინდა „აილენდის“ კლასის ხომალდების, „ჯაველინის“ (Javelin) „მ-240“ (M-240) და „სტინგერის“ (Stinger) გადმოცემით.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო ტრამპის ადმინისტრაციის პირველი პირების ვიზიტები. გამოვყოფ:

- შტატების ვიცე-პრეზიდენტის, მაიკ პენსის, ვიზიტს;

- ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის, ჯონ ბოლტონის, გენერალ კურტის მ. სკაპაროტის, გენერალ-მაიორ რასელ სანზორნის, საზღვაო ძალების ევროპის/აფრიკის მეთაურის, სტივენ რ. ლიონის, სატრანსპორტო მეთაურის, და CG აშშ-ს არმიის ევროპის LTG კავოლის ვიზიტს;
- აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს, ვიზიტს საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და ნატოს თანამშრომლობა საკმაოდ გაფართოვდა, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში საქართველოს ისევე მხოლოდ ასპირანტი ქვეყნის სტატუსი დარჩა. შტატებთან თანამშრომლობის გაღრმავება თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს სამხედრო თავდაცვის პოტენციალს, უკეთ უზრუნველყოფს მისი საზღვრების დაცვას და, რაც მთავარია, მიუახლოვდება ნატო-ს სტანდარტებს.

გაძლიერდა და გაფართოვდა სამხედრო სწავლება, მაგალითად: „ღირსეული პარტნიორი 2018“, მრავალეროვნული სამხედრო სწავლება, რომელშიც მონაწილეობა ნატოს 13 წევრმა და პარტნიორმა ქვეყანამ მიიღო.

ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის გადამზადება აშშ-ის სამხედრო სასწავლებლებში.

აქტიური თანამშრომლობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა და სხვ.

**3. აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები, რაც განპირობებულია პოლიტიკური კრიზისით და რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებებით.**

საქართველოში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური დაპირისპირების ესკალაცია დაიწყო, რომელმაც 2019 წლის ბოლოს პროპორციული სისტემის მიღების ჩაგდებათ და, დიდი კრიტიკის მიუხედავად, უზენაეს სასამართლოში თოთხმეტი მოსამართლის არჩევის შემდეგ პიკს მიაღწია. საქართველოს საპარლამენტო

არჩევნები იყო 2020 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომელიც ჩატარდა პოლიტიკური კრიზისისა და პანდემიის ფონზე. მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის მხარდაჭერა როგორც არჩევნების დროს, ასევე, ოპოზიციის ბოიკოტის შემდეგ, ფასილიტატორის როლში ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორმა არჩევნების შედეგები ლეგიტიმურად სცნო, აშშ-მ ბევრჯერ გააკრიტიკა და უარყოფითად შეაფასა ანტიდემოკრატიული მოვლენები, ისეთი, როგორცაა მედიის თავისუფლების შეზღუდვა და სხვა. პომპეოს ვიზიტმა საქართველოში კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა და ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში სამხრეთ კავკასიაში.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართველ ხალხში ისევ დომინირებს ანტირუსული განწყობები, საზოგადოებისთვის მიუღებელია რუსული აგრესიული პოლიტიკა ან მასთან ასოცირებული ფიგურები, ისეთი, როგორცაა დუმის დეპუტატი, სერგეი გავრილოვი. მართალია, ამერიკამ გააკრიტიკა ხელისუფლების ქმედებები ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები ფართომასშტაბიანი აქციების დროს, მაგრამ უფრო მიუღებელი იყო ბიძინა ივანიშვილის და ქართული ოცნების დაპირების არშესრულება. პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარების კანონის მიღების ჩაგდებათ ქვეყანაში პოლარიზაცია მკვეთრად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორმა არჩევნების შედეგები ლეგიტიმურად სცნო, აშშ-მ ბევრჯერ გააკრიტიკა და უარყოფითად შეაფასა ანტიდემოკრატიული მოვლენები, ისეთი, როგორცაა მედიის თავისუფლების შეზღუდვა და სხვა.

ამ ყოველივეს დაემატა 2020 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული კოვიდ პანდემია. აშშ-ის მრავალწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ჯანდაცვისთვის გამოყოფილი დახმარება უფრო მეტად გამოვლინდა პანდემიის დროს, რისი შესანიშნავი მაგალითია ლუგარის ლაბორატორიის მუშაობა. აშშ-ის დახმარება საქართველოსთვის პანდემიის დროს იყო მრავალმხრივი და დროული. ის მოიცავდა ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკის და სხვა მიმართულებით. კვლევის ამ ნაწილში

შესწავლილია ეკონომიკის მიმართულებით გამოქვეყნებული პუბლიკაციები და მონაცემები.

ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში საქართველომ ბევრჯერ მიიღო კრიტიკა და ნეგატიური გზავნილები შტატებიდან. მაგალითად: აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა შემფოთება გამოთქვეს მაშინ, როცა მთავრობამ შავი ზღვის სანაპიროზე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა შეაჩერა. კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ამით საქართველომ დაკარგა როგორც ეკონომიკური, ასევე დემოკრატიული განვითარების შანსები რეგიონში. ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა განვითარებისთვისა და წინსვლისთვის გამოიყენოს, რისთვისაც აუცილებელია მსგავსი პროექტების განხორციელება.

2020 წლის ყარაბაღის ომმა რადიკალურად შეცვალა რეგიონის გეოპოლიტიკა. მკვეთრად გაიზარდა რუსეთის ფედერაციის ზეგავლენა, უფრო გაძლიერდა მისი სურვილი დომინირებისა და, შესაბამისად, ამ ფონზე, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი, სტაბილურობის შენარჩუნება, დემოკრატიის განვითარება და ახალი გამოწვევების სათავისოდ გამოყენება სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერითა და დახმარებით.

რეგიონში განვითარებული მოვლენების ფონზე, საქართველოს აქვს მეტი შესაძლებლობა გახდეს სავაჭრო-სატრანზიტო კვანძი და არ იყოს დამოკიდებული რუსეთის რესურსებზე. საკვლევი კითხვა.

### **კვლევის შედეგების მიმართება კვლევის ჰიპოთეზასთან.**

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ კვლევის ჰიპოთეზა-ტრამპის ადმინისტრაციის დროს აშშ-საქართველოს პარტნიორობა გაღრმავდა თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და რუსეთის საფრთხის გამორეალობას შეესაბამება. თუმცა, ამ მიმართულებით აუცილებელია სამომავლოდ კვლევა გაღრმავდეს.

მიგვაჩნია, რომ საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში კარგი იქნებოდა შემდეგ საკითხებზე აქტიური მუშაობა:

- აშშ-ის მხრიდან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის მეტად გააქტიურება;
- საქართველოს წახალისება და მხარდაჭერა დასავლური დემოკრატიის განვითარების გზის გაგრძელებაში;
- საქართველოსთვის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების კარის ღიად შენარჩუნება;
- საქართველოს დახმარება ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია და სხვა;
- შეძლებისდაგვარად თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა;
- შეერთებული შტატების დახმარება სასამართლო სისტემის რეფორმაში, მაგალითად, დასავლური სტილის საარბიტრაჟო სისტემის შემუშავებაში საქართველოში საერთაშორისო ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- საქართველო აღარ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ სამხრეთ კავკასიის პრიზმაში როგორც კონფლიქტში მყოფი ქვეყანა. პირიქით, ის უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე შავი ზღვის რეგიონის ზრდისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში;
- საქართველომ სწორად უნდა გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ჩამოყალიბდეს რეგიონალურ კვანძად და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ანაკლიის პორტის აშენება და მეტი საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა, მათ შორის ამერიკელი ინვესტორების დაინტერესება და ხელსაყრელი უსაფრთხო პირობების შექმნა.

საქართველოსა და შეერთებულ შტატებს აქვთ თანამშრომლობის ძლიერი გამოცდილება. ორმა ქვეყანამ დაადასტურა, რომ ისინი მნიშვნელოვანი პარტნიორები და მოკავშირეები არიან. არსებობს ურთიერთობის კიდევ უფრო მაღალ და პროდუქტიულ დონეზე აყვანის შესაძლებლობა.

შემდგომი კვლევებისათვის, **რეკომენდაციის** სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რადგან საკვლევი საკითხი დაკავშირებულია 2-5 წლის წინანდელ პოლიტიკურ

მოვლენებთან, კარგი იქნება საკითხის უფრო ღრმად შესწავლა 15-20 წლის მერე, როცა სამეცნიერო სივრცეში მეტი კვლევა ჩატარდება, რაც უშუალოდ საკვლევ საკითხთან ახლოს იქნება. შესაბამისად, სხვადასხვა დარგის ექსპერტების დასკვნების, ლიტერატურის დამუშავებისა და გამოყენების საშუალება მოგვეცემა.

საკითხის შემდგომი შესწავლისთვის პერსპექტიული იქნება რამდენიმე აქტივობის გათვალისწინება მომავალში. საინტერესო იქნება, მაგალითად, ინტერვიუების ჩაწერა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პირებთან, კერძოდ, იმ კონგრესმენებთან, რომლებიც სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის მიმართულებით მუშაობენ, ასევე, ამერიკელ დიპლომატებთან, რომლებიც ჩართულნი არიან აშშ-საქართველოს პარტნიორობის საკითხებში, რაც საკვლევ საკითხისა და ჰიპოთეზის ამერიკულ ჭრილში შესწავლის შესაძლებლობას მოგვცემს.

აგრეთვე, საინტერესო იქნება ინტერვიუების ჩაწერა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებთან, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ კვლევის საკითხთან. მიღებული მასალა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას შექმნის.

ასევე, სამომავლო კვლევების ჩასატარებლად რეკომენდირებული შეიძლება იყოს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორების შედარება სხვა ადმინისტრაციების მუშაობის შედეგებთან საგარეო პოლიტიკის საკითხებში. შესაბამისად, აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის შედეგების გამოყენება შეიძლება სამომავლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ადმინისტრაციასთან ურთიერთობის შედარებისთვის.

კვლევის შედეგები შესაძლოა იყოს საფუძველი ახალი საკვლევ საკითხებისთვის ამ მიმართულებით.

აღნიშნულ სადოქტორო დისერტაციაში წარმოდგენილი მასალები და ინფორმაცია ახალი კვლევის წარმოების პერსპექტივას ქმნის.

ვფიქრობთ, რომ ნაშრომის შედეგები ხელს შეუწყობს ნიადაგის მომზადებას სამომავლო კვლევებისთვის და დაეხმარება მსურველებს აშშ-საქართველოს უახლოესი პერიოდის ურთიერთობის ასპექტების უფრო ღრმა შესწავლაში.

## ბიბლიოგრაფია

### წყაროები და დოკუმენტური მასალები

1. აშშ-ის საელჩო საქართველო: „ელჩი დეგნანი საუბრობს COVID-19-ზე რეაგირებისთვის აშშ-ის მიერ საქართველოს დახმარებაზე (13 აპრილი)“. 2020. <https://ge.usembassy.gov/ka/ambassador-degnan-speaks-about-u-s-aid-for-georgias-covid-19-response-april-13-ka/? ga=2.135585074.2090732939.1689053659-1443648392.1561830517>
2. აშშ-ის საელჩო საქართველო. „საელჩოს სიახლეები“. 2017. <https://ge.usembassy.gov/ka/news-events-ka/embassy-news-2017-ka/> (მოძიებულია 2021)
3. აშშ-ის საელჩო საქართველო: „აშშ-ის ელჩი სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს ვიზიტის შესახებ“. 2020. <https://ge.usembassy.gov/ka/ka-ambassador-kelly-degnan-on-secretary-pompeos-visit-to-georgia-ka/? ga=2.140810545.2090732939.1689053659-1443648392.1561830517> (მოძიებულია 2021)
4. აშშ-ის საელჩო საქართველო: „ლუგარის ცენტრი მხარს უჭერს საქართველოს დაავადებათა კონტროლისა ეროვნულ ცენტრს COVID-19-თან ბრძოლაში (9 აპრილი)“. 2020. <https://ge.usembassy.gov/ka/lugar-center-supports-georgian-ncdc-on-covid-19-response-ka/? ga=2.114602372.2090732939.1689053659-1443648392.1561830517>
5. აშშ-ის საელჩო საქართველო: „განცხადება ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესის და აგრეთვე, ლუგარის ცენტრის წინააღმდეგ.“ 2020. <https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-continued-borderization-activities-along-the-abl-as-well-as-the-disinformation-campaign-against-the-lugar-center-may-27-ka/? ga=2.111999495.2090732939.1689053659-1443648392.1561830517>
6. აშშ-ის საელჩო საქართველო: „ფასილიტატორების განცხადება საქართველოში პოლიტიკური დიალოგის შესახებ“. 2020. <https://ge.usembassy.gov/ka/ka-statement-of-the-political-dialog-facilitators-on-agreement-march-8-ka/? ga=2.115316356.2090732939.1689053659-1443648392.1561830517>
7. აშშ-ის საელჩო საქართველოში: „პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორების ერთობლივი განცხადება (11 მაისი)“ 2020. <https://ge.usembassy.gov/ka/joint-statement-by-the->

[facilitators-of-the-political-dialogue-may-11-ka/?\\_ga=2.102612354.2090732939.1689053659-1443648392.1561830517](https://ge.usembassy.gov/ka/us-embassy-dtra-donated-test-kits-and-personal-protection-equipment-to-the-ministry-of-health-of-georgia-may-15-ka/?_ga=2.102612354.2090732939.1689053659-1443648392.1561830517)

8. აშშ-ის საელჩო საქართველოში: „აშშ-ის საელჩომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ტესტირების აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები...“ 2020. [https://ge.usembassy.gov/ka/us-embassy-dtra-donated-test-kits-and-personal-protection-equipment-to-the-ministry-of-health-of-georgia-may-15-ka/?\\_ga=2.137344563.2090732939.1689053659-1443648392.1561830517](https://ge.usembassy.gov/ka/us-embassy-dtra-donated-test-kits-and-personal-protection-equipment-to-the-ministry-of-health-of-georgia-may-15-ka/?_ga=2.137344563.2090732939.1689053659-1443648392.1561830517)
